


178  
1961/3

საქართველოს  
სამართლებრივი  
სისტემა

საბჭოთა 178/3  
სამართალი

48





# საბჭოთა სამართალი

## № 1

იანვარი — თებერვალი

1961 წელი

### საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კოლეგიის ორგანო ო რ ტ ვ ი უ რ ი ჯ უ რ ნ ა ლ ი

#### ზინაარსი

მოწინავე — სოციალისტური კანონიერებისათვის ზრუნვის ახალი გამოხატულება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგები . . . . .	3
უ. ბახტაძე — სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის უფლებრივი მდგომარეობა . . . . .	7
მ. ჩიკვაშვილი — მიწოდების ხელშეკრულების ზოგიერთი პირობის სწორი კვალიფიკაციისათვის . . . . .	11
	20

#### წინადადებანი ახალი კანონმდებლობისათვის

ნ. ლომსაძე — მიწისა და საკომუნურნო კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხისათვის . . . . .	26
--	----

#### საზოგადოებრივია ეპოქის დანაშაულს

ბ. ტაკიძე — საზოგადოებრიობის როლი სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში . . . . .	33
ე. ხითაროშვილი — თავდებით გადაცემის ზოგიერთი საკითხი . . . . .	39
დავრანოთ მთელი საზოგადოებრიობა დანაშაულობათა აღსაკვეთად, ბრძანებულება — მოქმედებაში . . . . .	43
საქალაქო კომიტეტის ბიურო იხილავს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობას . . . . .	47
	49

#### სასამართლო და პროკურატურის ორგანოების მუშაობის პრაქტიკა

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 29 ნოემბრის დადგენილება № 7 . . . . .	51
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1960 წლის 2 დეკემბრის დადგენილება № 8 . . . . .	52
ა. იობიძე — მკაცრად დავსაჯოთ რეციდივისტები და განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირები . . . . .	54
მ. გუგუჩია — დანაშაულობათა წინააღმდეგ საზოგადოებრიობისა და მართლმსაჯულების ორგანოების ერთობლივი მუშაობის გამოცდილებიდან . . . . .	57
ი. ცოგაშვილი — ქუჩებსა და გზებზე მოძრაობის წესების 52-ე მუხლის სწორად გაგებისათვის . . . . .	61
ვ. სიმონიშვილი — შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ . . . . .	64
ა. პაიჭაძე — საშიშ დანაშაულის ჩაძღენ პირთა მიმართ მეტი სიმკაცრეა საჭირო . . . . .	67
ნ. კანდელაკი — ძველი ქართული სამოსამართლო მკვერმეტყველება . . . . .	72

ინფორმაცია . . . . .	81
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია . . . . .	88
სასამართლო პრაქტიკა . . . . .	93

67.58

## СОДЕРЖАНИЕ

Передовая — Новое проявление заботы об укреплении социалистической законности	3
Итоги выборов районных (городских) народных судов Грузинской ССР	7
У. Бахтадзе — Правовое положение Юго-осетинской автономной области	11
Ш. Чиквашвили — К вопросу о правильной квалификации некоторых условий договора поставки	20

### ПРЕДЛОЖЕНИЯ К НОВОМУ ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

Н. Ломсадзе — К вопросу о кодификации земельного и колхозного законодательства	26
--	----

### ОБЩЕСТВЕННОСТЬ В БОРЬБЕ С ПРЕСТУПНОСТЬЮ

Е. Такидзе — Роль общественности в укреплении социалистической законности	33
Е. Хитаршвили — Некоторые вопросы передачи на поруки	39
Мобилизовать всю общественность на борьбу с преступностью	43
Указ — в действии	47
Бюро горкома обсуждает состояние борьбы с преступностью	49

### ПРАКТИКА РАБОТЫ ОРГАНОВ СУДА И ПРОКУРАТУРЫ

Постановление Пленума Верховного Суда СССР от 29 марта 1960 года № 7	51
Постановление Пленума Верховного Суда СССР от 2 декабря 1960 года № 8	52
А. Иобидзе — Строго наказывать рецидивистов и лиц совершающих особо опасные преступления	54
М. Гугучиа — Из практики совместной работы общественности и органов прокуратуры в борьбе с преступностью	57
И. Гогашвили — К правильному пониманию статьи 52 Правил движения по улицам и дорогам	61
В. Симонишвили — Осмотр места происшествия	64
А. Пайчадзе — Строже наказывать виновных в совершении особо опасных преступлений	67
Н. Канделаки — Древнегрузинское судебное красноречие	72
Информация	81
Критика и библиография	88
Судебная практика	93

## სოციალისტური კანონიკების განმკვიხვისათვის ზრუნვის ახალი გამოხატულება

1960 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიამ მიიღო კანონები, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვთ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის, სოციალისტური კანონიერების განუხრელად გატარებისათვის, მართლმსაჯულების სწორად განზორციელებისათვის, სახელმწიფოებრივი დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სესიამ ერთსულოვნად მოიწონა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1961 წლის სახელმწიფო გეგმა, მიიღო კანონი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დაამტკიცა 1959 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში.

1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელიც შედგენილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1961 წლის გეგმის შესაბამისად, უზრუნველყოფს გეგმით გათვალისწინებული ყველა ღონისძიების შეუფერხებელ დაფინანსებას, ხელს უწყობს საქართველოს სახალხო მეურნეობის ყველა დარგისა და კულტურის აღმავლობას, ამ სამუშაოთა საერთო-საკავშირო ამოცანების გადაჭრასთან შეხამებით.

საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესრულება წინაპირობაა რესპუბლიკის წინაშე შეიდრწლედით ვათვალისწინებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტისათვის.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს მთლიანად ჩვენი რესპუბლიკისათვის და განსაკუთრებით მართლმსაჯულების ორგანოებისათვის სესიის მიერ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების მიღებას. ახალი კოდექსები წარმოადგენენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის ზრუნვის ახალ გამოხატულებას. დამთავრდა მეტად ძნელი, შრომატევადი სამუშაოები, საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კანონმდებლობის კოდიფიკაციისა, რაც ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოებდა.

ახალი კოდექსების მიღება განაპირობა თვით ცხოვრებამ, აქამდე მოქმედი კოდექსები, რომლებიც შემუშავებული იყო თითქმის 40 წლის წინათ, საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მოძველდნენ, ვერ პასუხობენ სოციალისტური სახელმწიფოსა და ჩვენი ხალხის განვითარების დღევანდელ დონეს, ჩამორჩებოდნენ იმ გრანდიოზულ ამოცანებს, რაც საბჭოთა ქვეყნის წინაშე დააყენა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის ეპოქამ.

თუ რამდენად აუცილებელი იყო ახალი კოდექსების მიღება ჩანს მართლ-იმ ფაქტიდანაც, რომ აქამდე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსის 340 მუხლიდან როგორც მოძველებული და ძალადაკარგული ახალ კოდექსში შეტანილი არ იქნა 84 მუხლი, სამაგიეროდ კოდექსი შეიქმნა 60 ახალი მუხლით, რომლებიც უპასუხებენ სოციალისტური კანონიერების მოთხოვნებს თანამედროვე ეტაპზე.

ახალი კოდექსები შემუშავებულია საქართველოს სსრ კონსტიტუციის საფუძველზე. მასში სრული ასახვა ჰპოვა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების დებულებებმა, როგორც მატერიალურ, ისე საპროცესო კოდექსებში გათვალისწინებულია სკკპ XX და XXI ისტორიული ყრილობების დიდმნიშვნელოვანი სახელმძღვანელო მითითებები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარების, მართლმსაჯულების განხორციელებაში ეწრომელოა ფართო მასების ჩაბმის შესახებ.

ახალი კოდექსების შემუშავება-განხილვაში მონაწილეობა მიიღეს არა მარტო ჩვენი რესპუბლიკის იურისტ-მეცნიერთა საუკეთესო ძალებმა, სასამართლო-პროკურატურისა და საგამომძიებლო ორგანოების მუშაკებმა, არამედ მუშებმა, კოლმეურნეებმა, ინტელიგენციამ, რომლებსაც განხილვის დროს შემოქონდათ მრავალი წინადადება, დამატება კოდექსების ცალკეული მუხლების მიმართ.

რა ძირითადი თავისებურებით ხასიათდებიან ახალი კოდექსები აქამდე მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან შედარებით?

ახალი კოდექსი იზიარებს რა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პრინციპიალურ მოთხოვნას, სპეციალურად მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა და დასჯა შეიძლება მხოლოდ იმ პირისა, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში. არავინ არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული და გასამართლებული ისეთი მოქმედებისათვის, რაც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული სისხლის სამართლის კოდექსით. უდიდესი მნიშვნელობისაა მითითება იმის შესახებ, რომ სისხლის სამართლის წესით პირის დასჯა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს განაჩენით.

ახალი კოდექსის ერთერთი განმასხვავებელი ნიშანია სასჯელის ზომის მნიშვნელოვნად შერბილება იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაული. ეს წარმოადგენს არა მარტო სოციალისტური ჰუმანიზმის ახალ დადასტურებას, არამედ კიდევ ერთხელ მიუთითებს სასჯელის მიზნებსა და ამოცანებზე ჩვენს ქვეყანაში, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელი ჩვენში მიზნად ისახავს არა მარტო მსჯავრდადებულის დასჯას, არამედ მის გამოსწორებასა და ხელახლა აღზრდას.

ახალი კოდექსით დასახულია აღმზრდელობითი და გამაფრთხილებელ ღონისძიებათა მთელი სისტემა, კერძოდ, ჯარიმები, პირობითი სასჯელები, თანამდებობიდან გადაყენება, წოდების ჩამორთმევა, საზოგადოებრივი გაკიცხვა, გარკვეული საქმიანობის აკრძალვა და სხვა.

ახალგაზრდობის მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული, კოდექსი აწესებს შეღავათებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს შეუძლია ასეთ პირებს არ შეუფარდოს სასჯელი და დაუნიშნოს მათ იძულებითი წესით აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებანი (ბავშვთა სპეციალურ კოლონიაში გაგზავნა, სპეციალურ სამკურნალო-აღმზრდელობით დაწესებულებაში მოთავსება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეთვალყურეობის ქვეშ გადაცემა და სხვა).

ამასთანავე ერთად კოდექსი ითვალისწინებს მკაცრ სასჯელებს საშიში რეციდივისტებისა და ისეთი პირების მიმართ, ვინც ჩაიდინეს განსაკუთრებით მძიმე, საშიში დანაშაული. ამ სახის დამნაშავეთა მიმართ სასჯელის განსაკუთ-

რებული ღონისძიების სახით, როგორც დროებით ზომას, კოდექსი უშვებს სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენებასაც.

კოდექსში განსაზღვრულია ცნება საშიში რეციდივისტისა (განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ითვლება პირი, რომელიც ორჯერ ან მეტჯერ იყო მსჯავრდადებული განსაკუთრებით საშიში დანაშაულისათვის.), რომელიც ისჯება კანონის მთელი სისასტიკით.

ახალ კოდექსში შეტანილია მთელი რიგი ახალი ნორმები, ისეთი მუხლები, რომლებიც დღემდე მოქმედ კოდექსში ან სრულიად არ იყო გათვალისწინებული, ან მოცემული იყო შეკვეცილად, არასრულყოფილი რედაქციით.

კოდექსით სისხლის სამართლის დანაშაულად ითვლება ისეთი მოვლენა, როდესაც ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკების მოუქნელი და უყიარათო მუშაობით სისტემატიურად ან დიდი რაოდენობით ხდება არასტანდარტული ან არაკომპლექტური პროდუქციის გამოშვება. ამ დანაშაულობათა ჩამდენი პირები სისხლის სამართლის წესით ისჯებიან. სისხლის სამართლის წესით ისჯებიან აგრეთვე ის ხელმძღვანელები და თანამდებობის პირები, რომლებიც საპატიო მიზეზის გარეშე სისტემატიურად არ ასრულებენ ეკონომიურ-ადმინისტრაციულ რაიონებისათვის, ან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის, საერთო საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმებსა და დავალებებს.

კოდექსში შეტანილია სპეციალური მუხლები, რომლებიც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის წესით ისეთი პირების დასჯას, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას, ცდილობენ წავლიჯონ საზოგადოებას რაც შეიძლება მეტი, ხოლო თვით არაფერი მისცენ საზოგადოებას. კოდექსში შეტანილია მუხლი, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას ვადით ხუთ წლამდე ქონების კონფისკაციით იმ პირების მიმართ, რომლებიც ეწევიან არაშრომით კომერციულ შუამავლობას. კოდექსი ითვალისწინებს აგრეთვე იმ პირთა სისხლის სამართლის წესით დასჯას, ვინც პირადი საკუთრების ავტონაქანას იყენებს გამორჩენისა და არაშრომით შემოსავლის მიზნით. სპეციალური მუხლი ითვალისწინებს სათანადო ნებართვის უქონლად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებელი პირების სისხლის სამართლის წესით დასჯას.

ახალი კოდექსი შეიცავს აგრეთვე მთელ რიგ ისეთ ნორმებს, დანაშაულთა ისეთ შედგენილობებს, რომლებიც არ იყო შეტანილი აქამდე მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში. ასეთი კატეგორიის ნორმებს განეკუთვნებიან: ავტო-მოტორტრანსპორტის საშუალებით გატაცება. სახანძრო დაცვის წესების დარღვევა, მაწანწალობა და მათხოვრობა, საფლავის შებილწვა, კულტურის ძეგლების განადგურება ან დაზიანება და ბევრი სხვა.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კოდექსში ახალი ნორმების შეტანა სრულიად არ გულისხმობს აქამდე მოქმედ კანონმდებლობასთან შედარებით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გაფართოებას. როგორც ზევით იყო ნათქვამი, ძველი კოდექსიდან გაცილებით მეტი მუხლია ამოღებული, ვიდრე შეტანილია ახალ კოდექსში. ეს იმით აიხსნება, რომ ქმედობა, რაც წინათ დანაშაულად ითვლებოდა ახალ კოდექსში შეტანილი არ არის და მის წინააღმდეგ ბრძოლა წარმოებს საზოგადოებრივი ზემოქმედების გზით. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმასაც, რომ ბევრი ნორმა, რომელიც შესულია ახალ კოდექსში,

სისხლის სამართლის წესით პასუხისმგებლობას იწვევს მხოლოდ მის განმეორებით ან მრავალჯერ ჩადენის შემდეგ.

დიდი ცვლილებები განიცადა აგრეთვე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმაც.

საპროცესო კოდექსის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაუღწეოდა სოციალისტური ჰუმანიზმით. ეს იმაში გამოიხატება, რომ კოდექსი უზრუნველყოფს პროცესში ყველა მოქალაქის ღირსების, პიროვნების სიცოცხლის დაცვას დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, აგრეთვე სამართალში მიცემულთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვას.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მტკიცედ იცავს პიროვნების ხელშეუხებლობას. არცერთი პიროვნება არ შეიძლება დაპატიმრებულ იქნას თუ არ არსებობს სასამართლოს დადგენილება ან პროკურორის სანქცია.

ახალი საპროცესო კოდექსით მნიშვნელოვნად გაფართოებული და განვითარებულია სისხლის სამართლის პროცესის დემოკრატიული პრინციპები. გაუქმებულია პროცესუალური გარანტიების ზოგიერთი შეზღუდვა, რასაც იცნობდა აქამდე მოქმედი საპროცესო კოდექსი. მნიშვნელოვნად ფართოვდება დანაშაულებით დაზარალებული პირის უფლებები.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით მნიშვნელოვნად გაზრდილია საბჭოთა ადვოკატის როლი, გაფართოებულია მათი უფლებები აწარმოონ სამართალში მიცემულთა დაცვა.

საპროცესო კოდექსში შეტანილია მთელი რიგი ახალი ნორმები, რომლებიც გამომდინარეობენ პარტიის იმ მითითებიდან, რომ „უცილებელია ამოღდეს საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი დანაშაულობის თავიდან აცილებისა და დამნაშავეთა ხელახალი აღზრდისათვის. სპეციალური მუხლი ითვალისწინებს სასამართლო პროცესში საზოგადოებრივი ბრალმძებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობას. კოდექსში პირდაპირ მითითებულია, რომ გამომძიებელი მოვალეა დაეყრდნოს საზოგადოებრიობის დახმარებას დანაშაულის გახსნისა და დამნაშავე პირთა გამოსავლინებლად.

კოდექსით წესდება პირობები და წესი, რომლითაც ხდება საქმეთა გადაცემა ამხანაგურ სასამართლოებზე, აგრეთვე საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის იმ დამნაშავეთა გადაცემა, რომლებმაც ჩაიდინეს საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაული.

ახალი კოდექსები ძალაში შედიან მ. წ. 1 მარტიდან.

ახალი კოდექსების მიღება წარმოადგენს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის პარტიისა და მთავრობის დიდი ზრუნვის კიდევ ერთ დადასტურებას. ეჭვი არ არის, რომ სასამართლო-პროკურორატურის და საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში მტკიცედ იხელმძღვანელებენ სისხლის სამართლის ახალი კანონმდებლობით, უზრუნველყოფენ ცხოვრებაში მათ განუხრელ გატარებას, მიაღწევენ ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის მკვეთრად შემცირებას, ხალხის აღზრდას კანონებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

# საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შედეგები

1960 წლის 18 დეკემბერს მიმდინარეობდა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მოსამართლეთა არჩევნები.

იმ ცნობების საფუძველზე, რომლებიც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო საქართველოს სსრ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმებისაგან, მშრომელთა დებუტატების საქალაქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებისაგან, გამოირკვა, რომ საქართველოს სსრ რაიონული და საქალაქო სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 99,99 პროცენტმა. სახალხო მოსამართლეების კანდიდატებს სმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხმების საერთო რიცხვის 99,78 პროცენტმა და ყველა დასახელებული კანდიდატი არჩეულია. არჩეული 144 სახალხო მოსამართლიდან 21 ქალია, 142 სკკპ წევრი და წევრობის კანდიდატია.

საქართველოს სსრ სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა ასარჩევად რესპუბლიკაში მოეწყო ამომრჩეველთა 4.132 საერთო კრება, რომლებმაც აირჩიეს 10.060 სახალხო მსაჯული. აქედან 89, 7 პროცენტს შეადგენენ ქალები, 52,7 პროცენტს სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები და 47,8 პროცენტს უპარტიოები.

არჩევნები გაიმართა ყველა რაიონსა და ქალაქში. ყველა არჩეული სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატია.

არჩევნებმა მშრომელთა დიდი პოლიტიკური აქტივობით ჩაიარა.

ს ი ა

## არჩეული სახალხო მოსამართლეებისა

მ. თბილისი

ლენინის რაიონი

შეწირული გრიგოლ იასონის ძე  
გოგბერაშვილი აკაკი ლევანის ძე  
ბელიავსკაია ლილია ვლადიმერის  
ასული  
თარგამაძე უშანგი გრიგოლის ძე  
ჯაფარიძე ოთარი ნიკოლოზის ძე

სტალინის რაიონი

წიქორიძე ავთანდილ პავლეს ძე  
გერსამია თეიმურაზ ვალერიანის ძე  
კალანდაძე ფაცია კირილეს ასული  
ლომიძე ოთარი ამბაკოს ძე  
ნამორაძე ნინო ივანეს ასული





**ოქტომბრის რაიონი**

ბრელიძე ლუბა დომენტის ასული  
გაბიტაშვილი შალვა ალექსანდრეს ძე  
კერესელიძე ვალერიან რუბენის ძე

**კალინინის რაიონი**

სულავა ავთანდილ დომენტის ძე  
არზიანი ლუბა დიანოზის ასული

**ორჯონიკიძის რაიონი**

იოსავა გიორგი ყირიმის ძე  
უვანია ვახტანგ გრიგოლის ძე  
სვანიძე თინათინ პარმენის ასული  
ჭოლოშვილი რევაზ სერგოს ძე  
მაისურაძე გაიოზ ივანეს ძე

**პიროვის რაიონი**

არავიაშვილი ბარბარე იოსების ასული  
მილორავა სიმონ აპოლონის ძე  
ჭელია გიორგი ესტატეს ძე

**26 კომისრის რაიონი**

სტურუა ალექსანდრე ლუკას ძე  
ბეგლაროვი სოფრომ ბეგლარის ძე  
გაბუნია ტარიელ მეთოდეს ძე  
ყაჭიური დავით იოსების ძე  
კოლუაშვილი ვალენტინა ერმილეს  
ასული

**სამგორის რაიონი**

კაკაურიძე გრიგოლი მიხეილის ძე  
თოფურია გიორგი ივანეს ძე  
სულთანოვა სარა სადი-ყიზი

**ამგროლაურის რაიონი**

რეხვიაშვილი თედორე სარდიონის ძე

**აბაშის რაიონი**

ჩაგანავა კარლო ივანეს ძე

**ასპინძის რაიონი**

მათუშოვი გიორგი გიორგის ძე

**ახმეტის რაიონი**

ჭარელიშვილი შოთა იოსების ძე

**ახალციხის რაიონი**

ჯღარკავა ლევან გიორგის ძე  
ცხადაძე აკაკი ნიკოლოზის ძე

**აღიბენის რაიონი**

პეტრიაშვილი პეტრე გაბრიელის ძე

**ახალქალაქის რაიონი**

მინასიანი ანდრონიკ მისაკის ძე

**გორჯომის რაიონი**

ნოზაძე არჩილ გიორგის ძე  
ჯოხაძე ავთანდილ სოლომონის ძე

**ბოლნისის რაიონი**

აფსაზავა ამირან არკადის ძე

**ბოგლანოვკის რაიონი**

ჩახალიანი სერგი თაჯიტის ძე

**გეგეუჭორის რაიონი**

ჯღარკავა ლიპარტი პეტრეს ძე

**ძ. გორი**

ბიბილაშვილი ნიკოლოზ ივანეს ძე

**გორის რაიონი**

გიორგაძე სტეფანე ანტონის ძე

**გურჯაანის რაიონი**


ფურცველაძე მირიან იოსების ძე  
კოჭლამაზაშვილი იოსებ თომას ძე

**ვანის რაიონი**

მიქაძე ვერა გიორგის ასული

**ღმანისის რაიონი**

მატეოსოვი ნიკოლოზ აბედნაკის ძე



**დუშეთის რაიონი**

გათენაშვილი აკაკი დიმიტრის ძე  
ცქიტიშვილი ზურაბ ფილიმონის ძე

**შესტაფონის რაიონი**

სამხარაძე ვლადიმერ მინასის ძე  
მამულაშვილი გივი რაფაელის ძე

**წუგდიდის რაიონი**

გოგონია გალაქტიონ ზოსიმეს ძე  
ალშიბაია ნათელა ალექსანდრეს ასული  
ქანთარია ვალერიან პრკოფის ძე

**თელავის რაიონი**

აბულაშვილი სალომე ვასილის ასული  
მირიმანიშვილი გიორგი პეტრეს ძე

**თეთრიწყაროს რაიონი**

დადეშქელიანი კონსტანტინე  
ლევანის ძე

**თიანეთის რაიონი**

როყვა შოთა ივანეს ძე

**თარჯომის რაიონი**

გველესიანი არჩილ ვალერიანის ძე

**ტასის რაიონი**

კაკაურიძე დავით ალექსანდრეს ძე  
გვიანიშვილი ნიკოლოზ ალექსის ძე

**ლაგოდეხის რაიონი**

ყაველაშვილი გიორგი ამბაკოს ძე

**ლანჩხუთის რაიონი**

მეგრელიშვილი ქეთევან ვასილის  
ასული

**ლენტეხის რაიონი**

ვაზდელიანი გიორგი იასონის ძე

**მახარაძის რაიონი**

გობრონიძე ნინო ყარამანის ასული  
ელიაძე ნიკოლოზ ბესარიონის ძე

**მაიაკოვსკის რაიონი**

ლილუაშვილი ჯაბულო კლიმენტის ძე

**მცხეთის რაიონი**

კვიციანი შოთა კირილეს ძე

**მესტიის რაიონი**

კვიციანი შოთა ესტატეს ძე

**მარნეულის რაიონი**

კაზაროვი ედუარდ მნაცვანის ძე  
მამედოვი მამედ გასან ისმაილ ოღლი

**ონის რაიონი**

საბანაძე ნოე დიმიტრის ძე

**ორჯონიძის რაიონი**

კამკამიძე ვლადიმერ მინას ძე

**მ. რუსთავი**

გაბუნია გოგმამი გიორგის ძე  
კეჩხუაშვილი ნინო იოსების ასული

**საბარაჯოს რაიონი**

მესხიშვილი იროდიონ ივანეს ძე  
მათიაშვილი გიორგი ალექსანდრეს ძე

**სამტრედიის რაიონი**


სტურუა მიხეილ ბარნაბის ძე  
ფახურიძე დიომიდე აკაკის ძე

**სიღნაღის რაიონი**

წიქარიძე გიორგი იოსების ძე  
რობიტაშვილი ნიკოლოზ ზაქარიას ძე

**საჩხერის რაიონი**

კაპანაძე ვლადიმერ ფილიმონის ძე



**ტყიბულის რაიონი**

ობოლაძე გრიგოლ ვიორგის ძე  
გამყრელიძე ბეჟან ალექსის ძე

**ქ. ფოთი**

კუტალია ჯვებე ალექსანდრეს ძე  
გვილაგა გრიგოლ ივანეს ძე

**ქაბეღის რაიონი**

ღვვდარიანი თეიმურაზ მიტროფანეს ძე

**ქ. ქუთაისი**

იოზიძე ალექსანდრე ვიორგის ძე  
ტუკვაძე ქსენია სევერიანეს ასული  
კუბლაშვილი ეზეკი ესეს ძე  
სანდუხაძე ერმილე ლუკას ძე  
სტურუა ბიძინა ფილიპეს ძე

**შვარალის რაიონი**

ზირაქიშვილი ვარდიკო ალექსანდრეს  
ასული

**უაზგევის რაიონი**

ფაჩიშვილი ვალერიან ივანეს ძე

**ცაგერის რაიონი**

კაბონიძე ლუდმილა თომას ასული

**ცხაკაიას რაიონი**

ბაღათურია ემელიანე სილოვანის ძე  
ტორჩინავა გრიგოლ ელიზბარის ძე

**ქ. ჰიათურა**

თევზაძე ვიორგი აპოლონის ძე  
კაკანაძე არჩილ ერემიას ძე

**წალენჯიხის რაიონი**

გეთია ივანე იასონის ძე

**წითელწყაროს რაიონი**

ბოსტოღანაშვილი სოლომონ  
ბესარიონის ძე

**წყალტუბოს რაიონი**

ესაძე თამარი ვიორგის ასული  
ჩიქია საველი მიხეილის ძე

**წულუპიძის რაიონი**

ზამბახიძე ალექსანდრე ვარდენის ძე

**წალკის რაიონი**

პოპოვი მოსე აბრამის ძე

**ჩოხატაურის რაიონი**

ტაბიძე ვლადიმერ რომანოვის ძე

**ჩხოროწყუხს რაიონი**

გახარია ნიკოლოზ ალექსის ძე

**ხაშურის რაიონი**

ჯანიკაშვილი გაიოზ იორდანეს ძე  
ნეფარიძე გივი კალისტრატეს ძე

**ხობის რაიონი**

ჯანჭლავა დავით ივანეს ძე

# სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის უფლებრივი დემოკრატიზაცია

(ავტონომიური ოლქის დებულების საკითხისათვის).\*

## უ. ბახტაძე

სკკპ XXI ყრილობამ საბჭოთა ხალხს ეკონომიური და კულტურული მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები დაუსახა. მან დიდი ადგილი დაუთმო კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პერიოდში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხებს, მის შემდგომ დემოკრატიზაციასა და სრულყოფას, მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს ხალხთა ძმური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების აუცილებლობას.

ამჟამად უდიდესი ყურადღება ექცევა საბჭოთა დემოკრატიის სრულყოფას, მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენული უფლებების გაფართოებას, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—მშრომელთა დებუტატების საბჭოების როლის ამაღლებას.

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი ავტონომიური ოლქების უფლებათა შემდგომი გაფართოების შესახებ. საჭიროა უფრო მკვეთრად იქნეს გამოხატული მათი თავისთავადობა და თვითმმართველობა, აუცილებელია გაფართოდეს მათი უფლებები ადგილობრივ სამეურნეო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო საქმიანობის სფეროში. ამას გადაუდებლად მოითხოვს საბჭოთა აღმშენებლობის ინტერესები ეროვნულ ოლქებში.

სულ უფრო მეტად და მწვავედ იგრძნობა საჭიროება ავტონომიური ოლქის დებულებისა, რომელიც მკაფიოდ განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის სამართლებრივ მდგომარეობას მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით, მისი ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოთა უფლებებსა და მოვალეობებს, გამგებლობის საგნებს, კომპეტენციებსა და ა. შ.

ავტონომიის საკითხი ხშირად შუქდება ლიტერატურაში. ამ საკითხით დაინტერესებული არიან არა მარტო იურისტები, არამედ ისტორიკოსები და ფილოსოფოსებიც. ავტონომიის პრობლემა ყოველთვის იქცევა მკვლევართა ყურადღებას. მასზე ბევრი იწერება დღესაც. ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს დასახელებული ინსტიტუტის ცხოველყოფილობაზე და მის დიდ მნიშვნელობაზე საბჭოთა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

საბჭოთა ავტონომია წარმოადგენს ეროვნული საკითხის გადაწყვეტის ფორმას და საშუალებას. იგი შესაძლებლობას აძლევს წინათ ჩაგრულ ხალხებს მოაწყონ და განავითარონ „ადგილობრივი სკოლა, ადგილობრივი სასამართლო, ადგილობრივი ადმინისტრაცია, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები, ადგილობრივი საზოგადოებრივ პოლიტიკური და საგანმანათლებლო

\* საკითხის დასმის წესით.

დაწესებულებები... ყველა სფეროში ადგილობრივი მხარის მშრომელი მსახურისათვის მშობლიური ენის უფლებათა სრული გარანტიით“.<sup>1</sup>

საბჭოთა ავტონომია ჩამოთვლილი ინსტიტუტების ჯამს წარმოადგენს, რომელიც განსხვავებულ უფლებრივ ფორმებში გვევლინება. ავტონომიის ფორმა, ე. ი. საკითხი იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოეწყოს ესა თუ ის ეროვნება, თუ როგორი სახე უნდა მიიღოს მისმა კონსტიტუციამ დამოკიდებულია ამ ეროვნების ეკონომიურ, პოლიტიკურ, ისტორიულ და კულტურულ ცხოვრების პირობებზე.

ავტონომიის მოწყობის უფლება ეძლევათ მხოლოდ ისეთ ოლქებს და მხარეებს, რომლებიც განსაკუთრებული ყოფაცხოვრებითა და ეროვნული შემადგენლობით განირჩევიან. მათთვის ყოველთვის უზრუნველყოფილია შესაძლებლობა იმ ფორმაში განახორციელონ ეროვნული თვითგამორკვევა, რომლითაც მეტ სარგებლობას ნახავენ და უფრო ყოველმხრივ განავითარებენ თავიანთ მატერიალურ და სულიერ ძალებს.

საბჭოთა ავტონომიის ძირითადი ფორმებია: ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქა და ნაციონალური ოკრუგი. საბჭოთა ავტონომია არ არის რაღაც აბსტრაქტული და გამოგონილი რამ. მისი მიზანია მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო წინათ ჩამორჩენილ მცირერიცხოვან ხალხებისათვის საბჭოთა ხელისუფლება უფრო მახლობელი, მშობლიური, გასაგები და ჭეშმარიტად სახალხო გახადოს, ხელი შეუწყოს მათი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციას. ეს მიზანი ერთნაირად ახასიათებს საბჭოთა ავტონომიის ყველა ფორმას. ამიტომ სწორი არ არის ლაპარაკი ავტონომიურ რესპუბლიკასთან შედარებით ავტონომიური ოლქის რაღაც ნაკლებ უფლებებზე. ორივე შემთხვევაში მათი ეროვნული განვითარების შესაძლებლობანი, ეროვნული თანასწორუფლებიანობა ერთნაირადაა აღიარებული და დაცული სათანადო კონსტიტუციებით. სხვაობა მათ შორის მხოლოდ ამ ერთნაირი უფლებების განხორციელების ფორმებსა და საშუალებებშია, რასაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს მოცემული ხალხის განვითარების კონკრეტულ-ისტორიული პირობები და შესაძლებლობანი.

მარქსისტულ-ლენინური გაგებით ავტონომიური ერთეულის, როგორც ეროვნული შემადგენლობითა და საყოფაცხოვრებო პირობებით განსხვავებული ადგილის თვითმმართველობის, „გამგებლობაში უნდა იყოს საერთო სახელმწიფო კანონების თანახმად ადგილობრივი, საოლქო ამ წმიდა ეროვნული მნიშვნელობის საკითხები“.<sup>2</sup> ავტონომია არ ნიშნავს და არც შეიძლება ნიშნავდეს გამოყოფას, პოლიტიკური ხელისუფლების დეცენტრალიზაციას. ავტონომია დამოუკიდებლობა არ არის. ავტონომიის აღიარება არ შეიცავს დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური სუვერენიტეტის დაშვებას. ავტონომია ნიშნავს თვითგამორკვევასა და თავისთავადობას შინაურ საქმეებში, სხვა დანარჩენ საქმეებში კი ცენტრალური ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებას. ავტონომია ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის სინამდვილეში განუყრელად უკავშირდება სოციალიზმისა და კომუნისმის მშენებლობის საქმეს. იგი წარმოადგენს ცენტრისა და ეროვნული შემადგენლობის მხრივ განსხვავებული ადგი-

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 4, გვ. 81.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 19, გვ. 599.

ლის ურთიერთკავშირის ფორმას და საშუალებას. ოლქი რომელიც ავტონომიურად არის დაკავშირებული სახელმწიფოსთან, წარმოადგენს ამ სახელმწიფოს განუყოფელ და განუკვეთელ ნაწილს. ავტონომია არ ნიშნავს ჩამოშორებას, იგი ნიშნავს კავშირის შენარჩუნებას და სწორედ ამ კავშირშია ავტონომიური ერთეულის თავისუფლების გარანტია. ავტონომია დემოკრატიული ცენტრალიზმის საფუძველზე, ხელს უწყობს ადგილობრივი გამოცდილებისა და ადგილობრივი პირობების უაღრესად გულმოდგინე და ყოველმხრივ გათვალისწინებას, გულისხმობს ადგილებზე მშრომელი მასების შემოქმედებითი ინიციატივის აქტიურ მხარდაჭერას და წახალისებას, უაღვილებს ცენტრს მათ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. რამდენადაც ავტონომია აუცილებლად გულისხმობს განსაზღვრულ თავისთავადობას, თვითმმართველობას წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებში, ცენტრთან აუცილებელი კავშირის დაცვით. ამიტომ „ავტონომია სრულიადაც არ ეწინააღმდეგება დემოკრატიულ ცენტრალიზმს, პირიქით, დიდსა და ეროვნული შემადგენლობის მხრივ აჭრელებულ სახელმწიფოში მხოლოდ ოლქების ავტონომიით შეიძლება განხორციელდეს ნამდვილად დემოკრატიული ცენტრალიზმი“.<sup>1</sup> ეს შესაძლებელს ხდის მოცულ ოქნას მთელი მრავალფეროვნება მხარისა.

ლიტერატურაში შედარებით დამაკმაყოფილებლად არის გაშუქებული საკითხი ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება, რომ მათი სამართლებრივი სტატუსი მკაფიოდ არის განსაზღვრული სათანადო კონსტიტუციებით. საერთო კანონმდებლობაც მეტ ადგილს უთმობს მას.

სამწუხაროდ, იგივე არ შეიძლება ითქვას ავტონომიური ოლქის შესახებ. ამ დარგში ლიტერატურა და კანონმდებლობაც ღარიბია. რაც არის ისიც ვერ გვაძლევს ნამდვილ წარმოდგენას ავტონომიური ოლქის ბუნებაზე. როგორც წესი მკვლევართა უმრავლესობა ავტონომიურ ოლქს აიგივებს ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულთან (მხარე, ოლქი, რაიონი და ა. შ.)<sup>2</sup> ამის მიზეზია, უმთავრესად ის, რომ ავტონომიური ოლქის შესახებ დებულება არ არსებობს. არსებული კანონმდებლობით კი მართლაც ძნელია მათ შორის სხვაობის დადგენა. აუცილებელია ავტონომიური ოლქის დებულების შემუშავება, რომელიც ბოლოს მოუღებს ასეთ გაუგებრობასა და გაურკვევლობას. სამწუხაროდ, ავტონომიური ოლქის დებულების საკითხი, დღემდე გადაუწყვეტელია.

ამ სტატიაში გვსურს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება აღნიშნული საგნის ირგვლივ.

საქართველო, როგორც მოკავშირე რესპუბლიკა, თავის მხრივ, წარმოადგენს რთულ მრავალეროვან სახელმწიფოს. მის შემადგენლობაში თავისუფალი ეროვნული თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი, როგორც საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი და განუკვეთელი ნაწილები.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გვ. 267—268.

<sup>2</sup> ასეთი შეხედულება დიდი ხანია ტრადიციულად მომდინარეობს: წინათ ავტონომიური ოლქს აიგივებდნენ საგუბერნიო და სამაზრო ერთეულთან. მათ შორის სხვაობას მხოლოდ ავტონომიური ოლქის ფედერალურ სტატუსში ჰხედავდნენ.

ავტონომიური ოლქი აღმოჩნდა ის სასურველი პოლიტიკური ფორმა, რომლითაც, ქართველი ხალხის უანგარო დახმარების საფუძველზე, ოსმა ხალხმა უშოკლეს დროში შეძლო აღმოეფხვრა თავისი საუკუნოვანი ეკონომიური და კულტურული ჩაპორჩინაობა.

სამხრეთ-ოსეთს თავიდანვე მიენიჭა ფართო ავტონომიური უფლებები. ამ უფლებებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციებში და სხვა საკანონმდებლო აქტებში. წლების მახძილზე იხვეწებოდა და ზუსტდებოდა სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის უფლებრივი მდგომარეობა, მისი უფლებრივი გარანტიები საქართველოს რესპუბლიკის შიგნით.

საქართველოს 1927 წლის კონსტიტუციით სამხრეთ-ოსეთის შინაგანი წყობა და მისი ურთიერთობა საქართველოს რესპუბლიკასთან უნდა განსაზღვრულიყო დებულებით ავტონომიური ოლქის შესახებ. ამ დებულების დამტკიცება, მისი შეცვლა და შეესება საბოლოოდ შეეძლო მხოლოდ საქართველოს საბჭოების ყრილობას. თვით დებულებას დებულობდა ოლქის საბჭოების ყრილობა, რომელსაც შემდეგ ამტკიცებდა საქართველოს ცაკი, ხოლო საბოლოოდ კი საქართველოს საბჭოების ყრილობა.

მაგრამ მაშინ ასეთი დებულება მიღებული არ ყოფილა.

სსრ კავშირის 1936 წლის კონსტიტუციამ და მის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების მიერ მიღებულმა კონსტიტუციებმა შემდგომ გააფართოვეს ავტონომიური ოლქის უფლებები: დღეს ავტონომიური ოლქი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში ერთის ნაცვლად ხუთ დეპუტატს ავზავნის; თუ წინათ მოკავშირე რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიური ოლქის შექმნა არ მოითხოვდა საკავშირო ხელისუფლების სანქციას, ახლა ეს აუცილებლად უნდა დაამტკიცოს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ. ეს ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საკითხი ავტონომიური ოლქების შესახებ საკავშირო მნიშვნელობის კონსტიტუციური საკითხია.

1957 წლის 11 თებერვლის კანონით ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულებად დაყოფის უფლება, რაც მანამდე საკავშირო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოთა გამგებლობაში შედიოდა, გადაეცათ მოკავშირე რესპუბლიკებს. მიუხედავად ამისა სსრ კავშირის კონსტიტუციაში დარჩა ავტონომიური ოლქების ჩამოთვლა. ეს გარემოება აგრეთვე, მაჩვენებელია იმისა, რომ ავტონომიური ოლქების ტერიტორიალური უფლებები დაყენებულია სსრ კავშირის უმაღლეს ორგანოთა დაცვის ქვეშ და მოწმობს საკავშირო ხელისუფლების განსაკუთრებულ ყურადღებას ავტონომიური ოლქებისადმი.

მართალია სსრ კავშირის კონსტიტუცია დეტალურად არ განსაზღვრავს ავტონომიური ოლქის უფლებრივ მდგომარეობას მოკავშირე რესპუბლიკის შიგნით, მართალია იგი მას ასახელებს სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოთა შორის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც მკვეთრად ანსხვავებს მას ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულისაგან. სსრ კავშირის კონსტიტუცია ადგენს ავტონომიური ოლქის მხოლოდ ზოგიერთ ძირითად განმასხვავებელ ნიშანს. მათ შემდგომი განვითარება ჰპოვეს მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციებში.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად საქართველოს უმაღლესი საბჭო აწესებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვრებს, ხელმძღვანელობს ავტონომიური ოლქის ადგილობრივი ბიუჯეტის განხორციელებას,

ამტკიცებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს ახალი სასოფლო, სადაბო, საქალაქო საბჭოების შექმნისა და მათი საზღვრების შეცვლის შესახებ; ამტკიცებს დებულებას ავტონომიური ოლქის შესახებ. კონსტიტუციით საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უფლება აქვს გააუქმოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გადაწყვეტილებები და განკარგულებები; საქართველოს მინისტრთა საბჭოს უფლება აქვს შეაჩეროს აღნიშნული აქტები, მასვე შეუძლია გააუქმოს საოლქო აღმასკომის გადაწყვეტილებები და განკარგულებები. სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუციებით უზრუნველყოფილია ავტონომიურ ოლქში მართლმსაჯულების განხორციელება დედაენაზე, აგრეთვე რესპუბლიკური კანონმდებლობის ავტონომიური ოლქის ენაზე თარგმნა და სხვ.,

საქართველოს კონსტიტუცია სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს უძღვნის ცალკე თავს, რითაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის განსხვავებულ უფლებრივ მდგომარეობას. სამწუხაროდ ამ თავში ნაჩვენებია არ არის ის სპეციფიკური და თავისებური, რაც ავტონომიურ ოლქს განასხვავებს ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ-ტერიტორიალურ ერთეულისაგან. ყველაზე მეტად კი სწორედ აქ უნდა ყოფილიყო ამის შესახებ მითითებული.<sup>1</sup>

ამრიგად, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის განმასხვავებელი ნიშანია ის, რომ

1) მას ჰყავს წარმომადგენლობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოში;

2) იგი იწოდება იმ ეროვნების მიხედვით, რომელიც კომპაქტურ უმრავლესობას შეადგენს მოცემულ ოლქში და არა ადმინისტრაციული ცენტრის მიხედვით;

3) ავტონომიური ოლქის შექმნას ამტკიცებს სსრ კავშირის და არა მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო;

4) საქართველოს სსრ-ის კონსტიტუციაში სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ ლაპარაკია ცალკე თავში;

5) აქვს საკუთარი დებულების მიღების უფლება, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო და, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ეროვნულ, სამეურნეო და ყოფით თავისებურებებს;

6) აქვს დედა ენის შეუზღუდველი ხმარების უფლება საზოგადოებრივი და სამეურნეო-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში;

7) აქვს უფლება ეროვნულ ტერიტორიაზე — მისი ტერიტორიალური საზღვრები და რაიონული დაყოფა კი არ წესდება, არამედ მტკიცდება სათანადო რესპუბლიკური ორგანოების მიერ; იგულისხმება, რომ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორია არ შეიძლება შეიცვალოს მისი თანხმობის გარეშე.

მიუხედავად ასეთი მნიშვნელოვანი უფლებრივი გარანტიებისა რაც სსრ

<sup>1</sup> ამ მხრივ გაცილებით მეტია თქმული იმ მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამის თავებში, რომელთაც თავიანთ შემადგენლობაში ჰყავთ ავტონომიური ოლქები.



კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებით აღიარებულია სამხრეთ-ოსეთისათვის, მაინც, ამ მიმართულებით, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი; ჯერ კიდევ გადაწყვეტას ელის საკითხი საქართველოს რესპუბლიკის შემადგენლობაში სამხრეთ-ოსეთის უფლებრივი სტატუსის შესახებ. ეს უნდა გააკეთოს დებულებამ სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს მის უფლებებსა და მოვალეობებს.

სკკპ XXI ყრილობამ მიუთითა, რომ კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როდესაც ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში მოხდა დიდმნიშვნელოვანი ძვრები, აუცილებელია სსრ კავშირის კონსტიტუციაში შეტანილ იქნეს ზოგიერთი ცვლილება-დამატება. სათანადო ცვლილება-დამატებანი უნდა იქნეს შეტანილი, აგრეთვე საქართველოს სსრ კონსტიტუციის სათანადო მუხლებში.

საქართველოს სსრ კონსტიტუციამ სხვა საკითხთა შორის უფრო მკაფიოდ უნდა ასახოს და განსაზღვროს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სპეციფიკა და მისი უფლებრივი სტატუსი საქართველოს რესპუბლიკის შიგნით. მაგრამ, რადგანაც კონსტიტუცია არის სახელმწიფოს ძირითადი კანონი, აპიტომ მასში დეტალურ ასახვას ვერ პოვებს ყოველივე ის, რაც ავტონომიური ოლქის მდგომარეობას განსაზღვრავდა. ეს უნდა გააკეთოს დებულებამ ავტონომიური ოლქის შესახებ.


რამდენადაც ჯერ კიდევ ასეთი დებულება სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის შესახებ მიღებული არ არის, გვსურს გამოვთქვათ ზოგიერთი მოსაზრება აღნიშნული საკითხის ირგვლივ, რომელიც ერთგვარად ხელს შეუწყობს ასეთი დებულების შემუშავების საქმეს:

1. სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის დებულება მოცულობით არ უნდა იყოს დიდი, გადატვირთული ისეთი ნორმებით, რომლებიც განსაზღვრავენ საოლქო ორგანოების მიმდინარე საქმიანობას. დებულებას უნდა ჰქონდეს ერთგვარად კონსტიტუციური ხასიათი, წარმოადგენდეს ოლქის ძირითად კანონს, ოლქის პოლიტიკურ წყობილების ამსახველ ზოგად ნორმას და აგებულ უნდა იქნეს საქართველოს კონსტიტუციის პრინციპების შესაბამისად.

2. დებულებით უფრო დეტალურად უნდა განისაზღვროს მისი მიღებისა და დამტკიცების წესი, მან ძირითადად უნდა მოიცვას და ასახოს ოლქის სამეურნეო-ყოფითი და ეროვნული თავისებურებანი.

მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ავტონომიური ოლქის დებულების დამტკიცების ფაქტი მოწმობს მოკავშირე რესპუბლიკის პასუხისმგებლობას საკავშირო ხელისუფლების წინაშე ავტონომიური ოლქის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული განვითარებისათვის, და, ამავდროს, წარმოადგენს ავტონომიური ოლქის მიმართ მოკავშირე რესპუბლიკის სუვერენიტეტის კონკრეტულ გამოხატულებას. ასეთი წესი მოკავშირე რესპუბლიკას შესაძლებლობას აძლევს კონტროლი გაუწიოს ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოების საქმიანობას, მათ იურისდიქციას. ავტონომია, ცენტრალური ხელისუფლების მხრივ ასეთი კონტროლის გარეშე, საერთოდ წარმოუდგენელია. ასე რომ არ იყოს, მაშინ ავტონომიისთან კი არა პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან გვექნებოდა საქმე;

3. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ როგორც საქართველოს კონსტიტუციამ,



ასევე ავტონომიური ოლქის დებულებამ, სასურველია. შემდგომ განამტკიცოს სამხრეთ ოსეთის ფედერალური სტატუსი მოკავშირე რესპუბლიკის მიმართ.

აქ ჩვენ ვგულისხმობთ იმას, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ნაცვლად ორი მოადგილისა, ავტონომიური რესპუბლიკათა რიცხვის მიხედვით, ჰყავდეს სამი მოადგილე, საქართველოს ავტონომიური ერთეულთა რიცხვის მიხედვით. ეს უთუოდ აამაღლებს ავტონომიური ოლქის პრესტიჟს და უფრო განამტკიცებს მის კავშირს საქართველოს რესპუბლიკასთან.

4) მომავალმა დებულებამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს ავტონომიური ოლქის ცნება. უნდა განმარტოს თუ რას ნიშნავს ავტონომიური მმართველობა. მან უნდა მოგვცეს ნათელი პასუხი კითხვაზე ავტონომიური ოლქი ეროვნულ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნია, თუ ეროვნული ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური თვითმმართველი ერთეული. აღნიშნული საკითხი დღესაც მკვლევართა შორის ბევრ აზრთა სხვადასხვაობას იწვევს.


5. განსაზღვრავს რა ავტონომიური მმართველობის სფეროს, დებულებამ აუცილებლად უნდა მიუთითოს წმინდა ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებში დამოუკიდებელი სამართალ-შემოქმედებითი საქმიანობის უფლებაზე საქართველოს სსრ სათანადო ორგანოების მხრივ აუცილებელი კონტროლის დაცვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ რესპუბლიკურ ორგანოთა გარდა არცერთ სხვა ორგანოს არ უნდა ქონდეს უფლება ჩაერიოს აღნიშნულ სფეროში და შეაჩეროს ან გააუქმოს ის ნორმატიული აქტები, რასაც სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის სათანადო ორგანოები გამოსცემენ ავტონომიური მმართველობის სფეროში. ეს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მკვეთრად განსხვავდება ავტონომიური ოლქის სამართლებრივი აქტების იურიდიულ ძალას ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ორგანოების აქტებისაგან.

8579

საქართველოს სსრ კონსტიტუციით კი ჩვენ ვერავითარ სხვაობას ვერ ვხედავთ მათ შორის. ისინი სავსებით ანალოგიურნი არიან და იწოდებიან ჩვეულებრივ გადაწყვეტილებებად და განკარგულებებად. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს კონსტიტუციის 158 მუხლი, რომელშიც ლაპარაკია საოლქო აღმასკომის მიერ გამოცემულ დადგენილებებსა და გადაწყვეტილებებზე. მაგრამ თუ რა იგულისხმება ამ დადგენილების ცნების ქვეშ და როგორი იურიდიული ძალის მქონე აქტია იგი, ამის შესახებ კონსტიტუცია პასუხს არ იძლევა. საჭიროა ხაზი გავსვას ავტონომიური მმართველობის სფეროში გამოცემული აქტების განსხვავებულ იურიდიულ ბუნებას.

ჩვენ ვფიქრობთ ავტონომიური მმართველობის სფეროში გამოცემულ აქტებს, რომელთაც მიიღებენ მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ-ოსეთის საოლქო საბჭო და მისი აღმასრულებელი კომიტეტი, ყველა შემთხვევაში ეწოდოს დადგენილება. ეს არ იქნება კანონი, ამ სიტყვის ნამდვილი გაგებით, და არ იქნება არც ჩვეულებრივი ადმინისტრაციული აქტი, რომელსაც დებულობენ მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, სარაიონო და ა. შ. საბჭოები და მათი აღმასრულებელი კომიტეტები. ასეთი დადგენილებანი, თუ ისინი კა-

1 ასეთი პრეცედენტი ჩვენ გვაქვს აზერბაიჯანის სსრ-ში, სადაც უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ორი მოადგილიდან, ერთი არის მთიანე ყარაბაღის ავტონომიური ოლქის წარმომადგენელი.



ნონს ეწინააღმდეგებიან, შეჩერება გაუქმების მხრივ უნდა ექვემდებარებოდეს მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს სსრ-ის ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს და არავის სხვას.

შეიძლება ზოგმა თქვას, რომ ასეთი უფლების აღიარება ავტონომიურ ოლქისათვის ნიშნავს მისთვის შეზღუდული კანონმდებლობის მინიჭებას, მაგრამ თუ კარგად ჩაუფიქრდებით საქართველოს სსრ-ის ამჟამად მოქმედ კონსტიტუციის მე-24 მუხლის შინაარსს, დაეინახავთ, რომ პრინციპში მას ეს არასოდეს არ უარყვია და პირიქით, აუცილებლობით გულისხმობს კიდევ მას.

ამრიგად დებულებამ ავტონომიური ოლქის შესახებ უნდა დაახუსტოს გამოცემული აქტების იურიდიული ძალა და მათი სამართლებრივი გარანტიები. მან მკაფიოდ უნდა განსაზღვროს თუ რას ნიშნავს წმინდა ადგილობრივი და ეროვნული საკითხები, რაში გამოიხატა ავტონომიური ოლქის თავისებურება და სპეციფიკა, ე. ი. შემოხაზვის საკითხთა ის წრე, რომლის გადაწყვეტაც ავტონომიური ოლქის მიერ უნდა ითვლებოდეს საბოლოოდ და არ ექვემდებარებოდეს რესპუბლიკის მასშტაბით მმართველობის ორგანოთა მხრივ გაუქმებას.

6. საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის საფუძველზე, რომლებიც ეროვნულ განვითარებისა და აღმშენებლობის საკითხს შეეხება, დებულებამ კიდევ უფრო ნათლად უნდა განსაზღვროს ეროვნული ენის გამოყენების სფერო;

7. აუცილებლად მიგვაჩნია დებულებაში შემდგომი განვითარება კპოვოს ავტონომიური ოლქის განსაკუთრებულმა უფლებებმა ეროვნული ტერიტორიის, საზღვრებისა და რაიონული დაყოფის მიმართ, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, მხოლოდ მტკიცდებიან საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მიერ.

8. არსებული წესის თანახმად, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ფანყოფილები მოქმედებენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ მიღებულ და დამტკიცებულ დებულებათა საფუძველზე.

ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია არსებული წესი შეიცვალოს და ავტონომიური ოლქის აღმასრულებელ კომიტეტს მიენიჭოს უფლება დამოუკიდებლად წილოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემდგომი დამტკიცებით თავისი განყოფილებების, სექტორების, სამმართველოების და სხვა ორგანოთა შესახებ დებულებები, რომელთა შექმნასაც მეურნეობისა და ოლქის სხვა თავისებურებებთან დაკავშირებით იგი მიზანშეწონილად ჩათვლის. ეს ხელს შეუწყობს უფრო უკეთ იქნეს მოცული ის მრავალფეროვნება, რაც უთუოდ ახასიათებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს და რაც მის სპეციფიკას შეადგენს.

9. და ბოლოს გვინდა შევჩერდეთ ავტონომიური ოლქის დებულების კონსტრუქციაზე.

ავტონომიური ოლქის დებულება უნდა შედგებოდეს დაახლოებით ექვსი თავისაგან. პირველ თავს პირობითად შეგვიძლია ვუწოდოთ „ზოგადი დებულებანი;“ სადაც ლაპარაკი უნდა იყოს სამხრეთ-ოსეთის საქართველოს რესპუბლიკაში ავტონომიური ერთეულის სახით შესვლის ფაქტზე, მის ტერიტორიალურ საზღვრებზე, ადმინისტრაციულ ცენტრზე და ა. შ. აქვე უნდა იყოს მითითებული ავტონომიური ოლქის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებზე.

დებულების მეორე თავი უნდა შეეხოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს, მისი შექმნის წესს, წარმომადგენლობით ნორმებს, მუშაობის ხასიათს, გამგებლობის საგნებს, კომპეტენციას, ურთიერთობას რესპუბლიკის სათანადო ორგანოებთან, მის მიერ მიღებულ აქტების იურიდიულ ძალას და ა. შ.

მესამე თავში უნდა აისახოს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შექმნის წესი, შემადგენლობა, ორგანიზაციული წყობა, გამგებლობის საგნები, ქვემდებარეობა და ანგარიშგება, ურთიერთობა რესპუბლიკურ ორგანოებთან მმართველობის ხაზით, მის მიერ გამოცემული აქტების იურიდიული ძალა და ა. შ.

მეოთხე თავი მთლიანად უნდა შეეხოს სამხრეთ-ოსეთის აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებს, სექტორებს, სამმართველოებს, მათი შექმნის წესს, ორგანიზაციულ სტრუქტურას, იურისდიქციის ფარგლებს, ურთიერთობას როგორც საოლქო ასევე რესპუბლიკურ ორგანოებთან, მათ მიერ მიღებულ აქტების იურიდიულ ძალას და ა. შ. მათი მუშაობის სპეციფიკა და მრავალფეროვნება უფრო ვრცლად უნდა განისაზღვროს იმ დებულებებით, რომელთაც მიიღებს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის კომიტეტი.

მეხუთე თავი უნდა მიეძღვნას საოლქო სასამართლოსა და პროკურატურას, მართლმსაჯულების განხორციელების საქმეს ოლქში.

ბოლო მეექვსე თავი უნდა მიეძღვნას ავტონომიური ოლქის ბიუჯეტის საკითხებს. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ დებულების სათანადო მუხლებში აგრეთვე უნდა პოვოს ასახვა ყოველივე იმან, რაზედაც ამ წერილში გვქონდა შესჯელობა.

ცხადია აქ გამოთქმულ მოსაზრებებს ესაჭიროებათ შემდგომი დამუშავება და დაზუსტება, ამიტომ მათ ჩვენ ვაყენებთ განხილვის წესით.

ერთი რამ ფაქტია, თუ აღძრული საკითხების მიმართ ამხანაგები გამოთქვამენ თავიანთ მოსაზრებებს, საქმიან წინადადებებს, კრიტიკულ შენიშვნებს და სხვ. ეს უეჭველად შეუწყობს ხელს, რომ ახლო მომავალში შესაძლებელი გახდეს სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისათვის დებულების შემუშავება.

## მინოლავის ხელშეკრულების უოგნიერთი პირობის სწორი კვალიფიკაციისათვის

უ. ჩიკვათვილი,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

იურიდიულ ლიტერატურაში და საარბიტრაჟო პრაქტიკაში ხშირად ხმა-რობენ „გადახარისხებას“ (пересортица), როგორც გარკვეული დამოუკიდებელი მოვლენის გამომხატველ ცნებას.

ამ ცნების ქვეშ უმრავლეს შემთხვევაში გულისხმობენ, ფაქტიურად მიღებული საქონლის ასორტიმენტის შეუსაბამობას გამოგზავნილ ანგარიშფაქტურებში აღნიშნულ ასორტიმენტთან.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის პირველი სამი ინსტრუქცია (1932, 1933 და 1935 წლები), რომლებიც აწესრიგებენ უხარისხო პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებულ პრეტენზიის წარდგენის საკითხებს, ითვალისწინებდა როგორც მოწესრიგების ობიექტს, აგრეთვე ისეთ შემთხვევასაც, როდესაც მიღებული საქონლის რაოდენობა არ ემთხვევა ამ საქონელზე გამოგზავნილ ანგარიშებში აღნიშნულ რაოდენობას.

1932 წლის ინსტრუქციის მე-7 პუნქტის თანახმად საქონლის ხარისხის არასწორი აღნიშვნის შედეგად საქონლის ჩამოფასებისათვის მიმწოდებელი იხდიდა ჯარმას.<sup>1</sup> ამ სახის დარღვევას 1933 წლის ინსტრუქცია „გადახარისხებას“ უწოდებდა.<sup>2</sup>

1935 წლის 2 იანვრის ინსტრუქციის მე-8 პუნქტის თანახმად არა სათანადო ასორტიმენტის საქონლის მიწოდების ყველა შემთხვევაში უნდა შემდგარიყო აქტი<sup>3</sup>.

მასასადამე, სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციები (1939 წლის ინსტრუქციის გამოცემამდე) ითვალისწინებდნენ ასორტიმენტის დარღვევის ისეთ კერძო შემთხვევებს, როგორც არიან მყიდველის მიერ ფაქტიურად მიღებული საქონლის ასორტიმენტსა და საქონლის ამავე პარტიისათვის განაღდებულ ანგარიშ-ფაქტურაში სხვაობა აღნიშნულ ასორტიმენტს შორის.


ემყარებიან რა სახელმწიფო არბიტრაჟის 1939 წლამდე მოქმედ ინსტრუქციებს, ზოგიერთმა ავტორმა წამოაყენა როგორც დამოუკიდებელი დარღვევა ეგრეთწოდებული „გადახარისხება“.

3. კორექტი „გადახარისხებას“ განასხვავებს „სახელმწიფო არბიტრაჟის“

<sup>1</sup> Бюллетень Госарбитража при СНК СССР, 1932 г., № 8.

<sup>2</sup> Бюллетень Госарбитража при СНК СССР, 1933 г., № 18.

<sup>3</sup> Бюллетень Госарбитража при СНК СССР, 1935 г., № 2.



მენტის დარღვევისაგან<sup>1</sup>. „გადახარისხებას“ ვ. კორეცკი უწოდებს ისეთ შემთხვევას, როცა მიღებული ასორტიმენტი არ შეესაბამება ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნულ ასორტიმენტს, ე. ი. შემთხვევას, რომელიც გათვალისწინებულია 1935 წლის 2 იანვრის ინსტრუქციის მე-8 პუნქტში. როგორც „გადახარისხების“ მაგალითი, ავტორს მოყავს ისეთი შემთხვევები, როგორცაა ერთი საქონლის შეცვლა მეორეთი შეფუთვის დროს (ყუთში, პარკში და სხვ), ან როდესაც მიმწოდებლის საწყობიდან ვაგზავენის დროს ერთი ან რამდენიმე მთელი ადგილი შეცვლილია სხვებით.

ვ. კორეცკი მტკიცედ იცავს „გადახარისხების“ ცნებას და პროტესტს აცხადებს ზოგიერთი სამეურნეო მუშაკის წინააღმდეგ, რომლებიც ავტორის აზრით, სარჩელს „გადახარისხების“ შესახებ ცვლიდა საქონლის ფასისა და ზედმეტად გადახდის დაბრუნების შესახებ წარდგენილ სარჩელით, იმ მიზნით რომ გვერდი აევლოთ ასორტიმენტის დარღვევის შესახებ სარჩელზე დაწესებულ შემცირებული ხანდაზმულობისათვის.

ი. დუელი არ ეთანხმება ვ. კორეცკის თვალსაზრისს, და ჩვენი აზრით, საყვარელით დასაბუთებულად მოითხოვს ამოღებული იქნეს სამართლებრივი ლიტერატურიდან და საარბიტრაჟო პრაქტიკიდან „გადახარისხების“ ცნება<sup>2</sup>.

ი. დუელს მიაჩნია, რომ იმ შემთხვევაში, როცა ფაქტიურად მიღებული საქონლის ასორტიმენტი არ შეესაბამება ანგარიშში აღნიშნულ ასორტიმენტს, ადგილი აქვს არა ასორტიმენტის დარღვევას, არამედ მიღებული საქონლის ნამდვილი ღირებულების ნაცვლად ზედმეტის გადახდას, ან დანაკლისს საქონლის იმ რაოდენობასთან შედარებით, რომელიც აღნიშნულია ანგარიშში. თუ ამ შემთხვევაში „გადახარისხების“ ცნებას გამოვიყენებთ და თუ ამ დარღვევას ასორტიმენტის დარღვევად მივიჩნევთ, მაშინ მნიშვნელოვნად რთულდება ამ მოთხოვნების მიხედვით სასარჩელო ხანდაზმულობის საკითხი და ა. შ.

იაკოვლევა შრომაში „სოციალისტურ სამეურნეო ორგანიზაციებს შორის ვალდებულებათა შესრულება“ მიუთითებს, რომ მიწოდებული საქონლის ასორტიმენტის პირობების დარღვევა შეიძლება გამოიხატოს ორგვარად:

1. ანგარიშში მითითებული ასორტიმენტის მიღებულთან შეუსაბამობა.
2. მოცემულ პერიოდში ხელშეკრულებით განპირობებული ასორტიმენტის მიღებულთან შეუსაბამობა.

იაკოვლევა აღნიშნავს, რომ მიღებული ასორტიმენტის შეუსაბამობას იმ ასორტიმენტთან, რომელიც ანგარიშშია მითითებული, ჩვეულებრივ უწოდებენ „გადახარისხებას“, და მას მიაჩნია, რომ „გადახარისხება“ არის ხარისხობრივი მოახოვნელების დარღვევა, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ შესაბამისი სასწიკები, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებით.<sup>3</sup>

მ. ბრავინსკი თავის შრომაში „პირადი მოხმარების საქონლის მიწოდების

<sup>1</sup> В. Корецки. „Искы по ассортименту“, Журнал „Арбитраж“, 1939 г., № 2.

<sup>2</sup> И. Дуюль. „Недостача, „пересортица“ или нарушение ассортимента“. Журнал „Арбитраж“, 1940 г., № 9—10.

<sup>3</sup> В. Ф. Яковлева. „Исполнение обязательств между социалистическими хозяйственными организациями“. Автореферат кандидатской диссертации, Ленинград, 1952 г.



ხელშეკრულება საბჭოთა სამოქალაქო სამართალში<sup>1</sup> აღნიშნავს, რომ ფაქტურად მიღებული საქონლის შეუსაბამობა ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებთან შეიძლება გამოიხატოს იმაში, რომ მოწოდებულია არასათანადო ხარისხის საქონელი, რის გამოც ნამდვილი ფასი ნაკლებია იმ ფასთან შედარებით, რომელიც მითითებულია ანგარიშში, ან იმაში რომ ანგარიშში მითითებულია საქონელი. რომელიც მოწოდებული უნდა ყოფილიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასორტიმენტით, მაგრამ ფაქტიურად მიღებულია საქონელი, რომელიც არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ ასორტიმენტს, ამასთანავე არასწორადაა განსაზღვრული მიწოდებული საქონლის ფასი.

ამასთან დაკავშირებით მ. ბრაგინსკის მიაჩნია, რომ „გადახარისხების“ დროს ადგილი აქვს ორგვარ დარღვევას:

- ა) პირველ შემთხვევაში — ფასისა და ხარისხის დარღვევას;
- ბ) მეორე შემთხვევაში — ასორტიმენტისა და ფასის დარღვევას.

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოდ აღნიშნული დარღვევები წარმოადგენდნენ სახელშეკრულებო პრაქტიკაში ცნობილ რამდენიმე სახის დარღვევის ერთობლიობას (ხარისხი და ფასი, ასორტიმენტი და ფასი) და იხინი ხელშეკრულებით და მიწოდების ძირითადი პირობებით აღჭურვილნი არიან გარკვეული სანქციებით. ავტორი გვთავაზობს ამოღებული იქნას ტერმინი „გადახარისხება“, რათა შეცდომით არ დაუპირისპიროთ ის ხელშეკრულების პირობების სხვა დარღვევებს.

1954 წელს თევზისა და თევზის პროდუქტების მიწოდების განსაკუთრებული პირობები ითვალისწინებენ მიწოდების ისეთ დარღვევას, როგორიცაა „გადახარისხება“. ეს ცნება გაშიფრული არ არის განსაკუთრებული პირობებით, მაგრამ ამ განსაკუთრებული პირობების 36-ე და მე-11 პუნქტების დაპირისპირების შედეგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ „გადახარისხების“ ქვეშ იგულისხმება დარღვევა ხარისხიანობის პროცენტული თანაფარდობისა, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო კვარტალისათვის.<sup>2</sup>

ამრიგად, საკმაოდ ბუნდოვან ცნებაში, როგორც არის „გადახარისხება“, ზოგიერთი ავტორი გულისხმობდა სახელშეკრულებო პირობების დარღვევის მთელ რიგ შემთხვევებს: ხარისხის დარღვევას, ერთი ხარისხის მეორე ხარისხით შეცვლას, საქონელზე, რომელსაც აქვს სახელმწიფო სტანდარტები ან შეთანხმებული ტექნიკური პირობები, შეცდომებს ანგარიშ — ფაქტურებში, ასორტიმენტის დარღვევა და სხვ.

„გადახარისხების“ ცნების შინაარსის ასეთმა გაურკვევლობამ გამოიწვია მთელი რიგი გართულებანი სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების პრაქტიკაში მიწოდების ხელშეკრულების ამა თუ იმ დარღვევის გამო სამოქალაქო — სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხის გადაწყვეტისას.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან, ხოლო შემდეგ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შემდგომ ინსტრუქციებში აღარ არის მოხსენებული როგორც ამ ინსტრუქციის მოწესრიგების ობიექტი

<sup>1</sup> См. М. И. Брагинский, „Договор поставки товаров личного потребления в советском гражданском праве“. Автореферат кандидатской диссертации, Киев, 1956 г.

<sup>2</sup> Особые условия поставки рыбы и рыбопродуктов, 1954 г., п.и, 11 и 36.

ანგარიშ—ფაქტურაში და ფაქტიურად მიღებულს შორის ასორტიმენტის შეუსაბამობა.

მაგრამ სახელმწიფო არბიტრაჟის უკანასკნელი დროის ცალკეულ კონკრეტულ გადაწყვეტილებებში ხშირად გვხვდება ცნება — „გადახარისხება“.

ზოგიერთი გადაწყვეტილების მიხედვით შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ სახელმწიფო არბიტრაჟს „გადახარისხება“ ესმის როგორც პროდუქციის მიწოდების დროს ერთი ხარისხის საქონლის სხვა ხარისხით შეცვლა, ე. ი. საქონლის ხარისხის მიხედვით ასორტიმენტის დარღვევა. მაგალითად საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საუწყებო არბიტრაჟმა 1960 წლის 20 ივნისის გადაწყვეტილებით საქმეზე № 24/144 დააკისრა მომწოდებელს სანქციები „გადახარისხების“ გამო. თუმცა არბიტრაჟის გადაწყვეტილებაში გაშიფრული არ არის რა უნდა მივიჩნიოთ „გადახარისხებად“, მაგრამ საქმეში არსებული მასალებიდან ჩანს, რომ ერთი ხარისხის ფეხსაცმელი მეტი მიაწოდეს და მეორე ხარისხის ნაკლები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა 1960 წლის 17 აგვისტოს გადაწყვეტილებით საქმეზე № 2/2509 სატრინსკის სატყეო მეურნეობას დააკისრა ხე-ტყის „გადახარისხების“ ღირებულების გადახდა „საქტყემშენვაჭრობის“ სასარგებლოდ იმის გამო, რომ მოწოდებული საქონელი გადაყვანილი იყო მაღალი ხარისხიდან უფრო დაბალ ხარისხში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა სახელმწიფო არბიტრაჟმა 1957 წლის 17 მარტს, საქმეზე № 5/243 გადაწყვიტა ფაბრიკა „სკოროხოლთან“ არსებული „მთავარფეხსაცმელვაჭრობის“ № 1 ბაზას გადაეხადა რიგის უნივერსალის სასარგებლოდ ფეხსაცმლის „გადახარისხებისათვის“ სანქციები, ამასთან გადაწყვეტილებაში „გადახარისხება“ განმარტებულია როგორც საქონლის დაბალ ხარისხში გადაყვანა.

თავიანთ შრომაში „საბჭოთა სამოქალაქო და შრომის სამართლის საფუძვლები“ გ. მ. იამენფელდი და ვ. ვ. პავლოვი თანმიმდევრობით განიხილვენ რა საკითხს საქონლის დანაკლისისა და გადახარისხებასთან დაკავშირებით პრეტენზიებისა და სარჩელების წესის შესახებ, რატომღაც გვერდს უვლიან და არ განმარტავენ გადახარისხების ცნებასა და შინაარსს<sup>1</sup>.

აღნიშნული ავტორები, ისეთ შემთხვევებს, როდესაც მომწოდებლებისაგან მიღებული საქონელი აღმოჩნდება იმაზე დაბალი ხარისხის, რაც აღნიშნულია საქონლის ხარისხის სათანადო დამადასტურებელ დოკუმენტში, მას, ჩვენის აზრით, სწორედ აკვალიფიცირებენ არა როგორც გადახარისხებას, არამედ როგორც პირობების დარღვევას პროდუქციის ხარისხზე.

ასეთ შემთხვევაში საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 59-ე პუნქტის თანახმად, მიმღებს უფლება აქვს უარი განაცხადოს საქონლის მიღებაზე და განაღდებაზე, ხოლო თუ საქონელი უკვე განაღდებულია — უკანვე მოითხოვოს გადახდილი თანხის დაბრუნება, ან საქონელი მიიღოს იმ ფასებში, რაც დაწესებულია შესაბამისი ხარისხის საქონლის პრეისკურანტით, აგრეთვე

<sup>1</sup> Г. М. Яменфельд, В. В. Павлов, „Основы Советского гражданского и трудового права“. Госторгиздат, 1960 г., стр. 396.



მიმწოდებელს გადაახდევინოს ჯარიმა, საქონლის ჩამოფასების თანხის 150 პროცენტი, მაგრამ არა უმეტესი 20 პროცენტისა ამ საქონლის ღირებულების ჩამოფასებამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარმა არბიტრმა იმიერკარპატის საოლქო აღმასკომის სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს 1953 წლის 31 ივლისს გადახარისხების საკითხზე მისცა, ჩვენი აზრით, სწორი განმარტება, რომლის შინაარსი, ძირითადად, შემდეგია:

1. სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქცია არ ცნობს „გადახარისხების“ ცნებას.

2. ჩვეულებრივი დავის არსი ეგრეთწოდებული „გადახარისხების“ შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ რაოდენობრივი შემოწმების დროს ირკვევა ერთი ხარისხის, ზომის და ა. შ. პროდუქციის ზედმეტობა და მეორე ხარისხისა, ზომის და ა. შ. ნაკლებობა, ანგარიშში ან თანდართულ დოკუმენტებში აღნიშნულთან შედარებით. აქ აღვლი აქვს მიმწოდებლის ანგარიშების მიხედვით მყიდველის მიერ ზედმეტის ან ნაკლების გადახდას. ასეთი დავა უნდა მიეკუთვნოს მიწოდებული პროდუქციის რაოდენობის ან ანგარიშსწორების შესახებ აღძრულ დავას, და არა დავას ხარისხის შესახებ.

3. ზოგიერთ შემთხვევაში, სარჩელი, რომელსაც უწოდებენ სარჩელს „გადახარისხების“ შესახებ, გამომდინარეობს ასორტიმენტის დარღვევიდან ან ხარისხის შესახებ დავიდან. და ამის გამო ასეთი სარჩელის საფუძველი იქნება არა „გადახარისხება“, არამედ ასორტიმენტის დარღვევა ან ხარისხის შესახებ პირობათა დარღვევა.

4. პროდუქციის ხარისხიანობასთან დაკავშირებული სარჩელი არ უნდა განვაზოგადოთ ერთი და იგივე განუსაზღვრელი ცნებით „გადახარისხება“, არამედ უნდა გამოვარკვიოთ სარჩელის ნამდვილი საფუძველი.<sup>1</sup>

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ამ წერილში მოყვანილი დებულებანი პრინციპულად არ იწვევს წინააღმდეგობას. სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ ეს წერილი კერძო ხასიათისაა და გაფორმებული არ არის როგორც სახელმწიფო არბიტრაჟის ყველა ორგანოსათვის სავალდებულო საინსტრუქციო წერილი, მათ შორის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრებისათვისაც, რომლებიც დღემდე ხმარობენ ტერმინს — „გადახარისხება“, ისე რომ არ განმარტავენ ამ ცნების კონკრეტულ შინაარსს.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ სხვაობა ანგარიშ-ფაქტურის მონაცემებსა და ფაქტიურად მიღებული პროდუქციის ასორტიმენტს შორის, უეჭველად, წარმოადგენს დავას საქონლის რაოდენობის ან ფასის შესახებ. აქ საქმე ეხება იმას, რომ ანგარიშ-ფაქტურაში აღნიშნული ამა თუ იმ დასახელების პროდუქციის რაოდენობა, მეტი ან ნაკლებია, ვიდრე ფაქტიურად მიღებული საქონელი, ან ანგარიშში მითითებულია პროდუქციის სხვა ფასი. თუ ეს ასეა, მაშინ განსაკუთრებული რაოდენობრივი დარღვევის ან ფასის დარღვევის შეტანა სახელმწიფო

<sup>1</sup> См. письмо главного арбитра Госарбитража при Совете Министров СССР от 31 июля 1953 г., № 5-5/751.

არბიტრაჟის სამ ზემოთდასახელებულ ინსტრუქციაში, საესებით მიზანშეწონილი ნელი იყო.

ცხადია, ამ მიზეზით სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მომდევნო ინსტრუქციაში, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 23 აგვისტოს დადგენილებით უკვე არ ითვალისწინებდა ამ დარღვევას, რომელსაც ზოგიერთმა ავტორმა „გადახარისხება“ უწოდა.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ცნება „გადახარისხება“ დღემდე დაცონკრეტებული არ არის და ზოგჯერ აბრკოლებს საქონლის მიწოდების ხელშეკრულების პირობათა ცალკეული დარღვევის სწორ კვალიფიკაციას, და აღძრულ დავათა სწორ გადაწყვეტას.

იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმწიფო და უწყებრივი არბიტრაჟების ორგანოთა გადაწყვეტილებებში ჯერ კიდევ გვხვდება ბევრი სარჩელი, ეგრეთწოდებული „გადახარისხების“ შესახებ, ისე რომ ამ ცნებაში ათავსებენ თავიანთი შინაარსით სულ სხვადასხვა დარღვევებს (ასორტიმენტის, ხარისხის დარღვევა, საქონლის ერთი ხარისხის მეორე ხარისხში გადაყვანა, მიღებული ხარისხების შეუსაბამობა ანგარიშ-ფაქტურებში აღნიშნულ ხარისხებთან და ა. შ.), რაც ხშირად არეგ-დარეგას იწვევს ამ დავის გადაწყვეტაში; საჭიროა მოისპოს სარჩელის ცნება „გადახარისხების“ შესახებ და ყოველ დარღვევას ეწოდოს თავისი სახელი ამ დარღვევის კონკრეტული შინაარსის მიხედვით.

ცნება „გადახარისხების“ უარყოფა ხელს შეუწყობს მიწოდების ხელშეკრულების იმ პირობების ცალკეულ დარღვევებთან ბრძოლას, რომელნიც კონკრეტულადაა ჩამოყალიბებული როგორც საწარმო-ტექნიკურ დანიშნულების პროდუქციის მიწოდების, ასევე სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების დებულებაში.<sup>1</sup> და აღმოფხვრიდა სიძნელეებს ისეთი დავების გადაჭრისას, რომლებსაც მოსარჩელები არასწორად იხსენიებენ „გადახარისხებად“.

<sup>1</sup> ЦИ СССР 1959 г., № 11, стр. 68.

### მინისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობის კოდიფიკაციის საკითხისათვის

დოც. ნ. ლომსაძე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1959 წლის დეკემბრის და 1961 წლის იანვრის პლენუმებმა დასახეს დიდი ღონისძიებანი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის.

პლენუმებმა მკვეთრად დააყენა მიწათმოქმედების წარმოების კულტურის ამადლებისა და კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა დროზე და ხარისხიანად შესრულების საკითხი, რომ მიღებული იქნას შვიდწლედის ბოლოსათვის წლიურად ჩვენს ქვეყანაში 10—11 მილიარდი ფუთი მარცვლეული.

მიწათმოქმედების წარმოების კულტურა უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია წარმოების უნარიან ორგანიზაციაზე, არსებული რეზერვების ეფექტურად გამოყენებაზე, მეცნიერების მიღწევებისა და სოფლის მეურნეობის ნოვატორთა პრაქტიკის ფართოდ დანერგვაზე, თესლბრუნვისა და სხვა აგრონომიულ ღონისძიებათა მკაცრად დაცვაზე.

პლენუმებზე აღინიშნა მიწების უყაირათოდ გამოყენების შემთხვევები, ნიადაგის დამუშავების უხარისხობა, აგროღონისძიებათა დარღვევის ფაქტები და საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარების ნელი ტემპი.

თანამედროვე პირობებში სოციალისტური მიწათსარგებლობისა და საკოლმეურნეო სამართლებრივი ურთიერთობის შესწავლა, მისი ახლებურად განსაზღვრა მეტად საჭირო და მრავალმხრივ საინტერესოა.

საზოგადოებრივი საკოლმეურნეო მიწებისა და საკარმიდამო მიწათსარგებლობის უფლებრივი რეჟიმის განმსაზღვრელი კანონმდებლობა, მათ შორის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების ცალკეული დებულებები შესამჩნევად მოძველდნენ. საქართველოს სსრ მიწის მოქმედი კოდექსი გვერდს უვლის ამ მეტად მნიშვნელოვან ინსტიტუტს და მხოლოდ ზოგადად განსაზღვრავს მას. არტელის წესდების მეორე განყოფილება კი მინიმალურადაც ვერ ამოსწურავს და ოდნავადაც ვერ ამართლებს დასახულ ამოცანას.

მიწისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობის კოდიფიკაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს, თუმცა ამ საკითხზე საჭირო დისკუსიები საკავშირო მასშტაბით ტარდება და ბევრიც იწერება, მიწისა და საკოლმეურნეო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების ახლებური რეგლამენტაცია საკოდიფიკაციო მუშაობის ერთ-ერთი საყურადღებო და გადაუდებელი საკითხია.

მიწის კანონმდებლობის კოდიფიკაციას საფუძვლად უნდა დაედოს მარქსიზმ-ლენინიზმის მოძღვრება აგრარული საკითხის შესახებ.

ვ. ი. ლენინი 1922 წელს კურსკისადმი მიწერილ წერილში ამ საკითხთან დაკავშირებით მიუთითებდა: „კანონმდებლობის კოდიფიკაცია იმ მიმართულე-ბით უნდა წავიდეს, რომ ახალ კანონებში, მაქსიმალურად უნდა აისახოს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური და სხვა სახის მიღწევები“.

საკავშირო და რესპუბლიკურ კანონმდებლობაში სრულყოფილად უნდა აისახოს მიწისა და საკოლმეურნეო ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საკითხები, აღიკვეთოს ის წარვეხები და შეუსაბამობა, რაც დღემდე ნების დროინდელ და შემდგომ პერიოდში გამოცემულ მოქმედ კანონმდებლობას ახასიათებს. ჩვენის აზრით, მიწათსარგებლობის უფლებრივი რეჟიმი საკავშირო მნიშვნელობის კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს. სსრ კავშირის მიწათმოწყობის და მიწათსარგებლობის ძირითად საწყისების საფუძველზე საჭიროა მიწის, წიაღის, წყლისა და ტყის შესახებ მარეგულირებელი კანონმდებლობის ცალკე კოდექსებად ან დებულებების სახით გამოცემა, ხოლო სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდება გათვალისწინებულ იქნეს სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-14 მუხლით და მას საკავშირო მნიშვნელობის ნორმატიული აქტის ძალა მიეცეს.

ახალი კანონმდებლობით განისაზღვრება რა მიწის, როგორც სახელმწიფო საკუთრების ობიექტის ცნება, მიწათსარგებლობის უფლება (უვადო თუ ვადიანი) და უსასყიდლოების პრინციპები, აქვე უნდა აღინიშნოს საკოლმეურნეო სოციალისტური მიწათსარგებლობისა და მიწათმოწყობის დამახასიათებელი ნიშნები, ერთიანი საკოლმეურნეო მიწის მასივის შექმნის წყაროები, კოლმეურნეობების უფლება-მოვალეობანი და მათი პასუხისმგებლობათა სახეები.

ახალი კანონმდებლობით აუცილებელია მიწის სარგებლობის უფლებასთან ერთად მოხდეს საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობათა მიერ ტყით, წყლით და ზოგიერთი წიაღისეული სიმდიდრით სარგებლობის რეგლამენტირებაც.

**სახელმწიფოს მხრივ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა და კადრებით უზრუნველყოფის საკითხი.** სახელმწიფოს მხრივ ხელმძღვანელობა შინასაკოლმეურნეო დემოკრატიის დაცვის პირობებში და კოლმეურნეობებისადმი მატერიალური მხარდაჭერა მრავალმხრივი და მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი ურთიერთობაა, რომელიც მკვეთრად აუმჯობესებს კოლმეურნეობის სამეურნეო საქმიანობას, ამალეებს კოლმეურნეთა შემოქმედების აქტივობას და საგრძნობლად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

მტკებისა და სოფლის მეურნეობის სხვა ორგანოების რეორგანიზაციის შედეგად კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა კი არ მცირდება, არამედ იგი კიდევ უფრო ოპერატიული ხდება, ახლებურად წარიმართება. პლენუმზე გამოითქვა აზრი შეიქმნას აგრეთვე რაისაკოლმეურნეო კავშირი, რომელიც უხელმძღვანელებს საკოლმეურნეობათა შორის და სარაიონთა შორის წარმოებებს, სადაც კონცენტრირებულ იქნება რაიონის კოლმეურნეთა სახსრები (რეზერვები). იგულისხმება რომ ეს წინ წასწევს ეკონომიურად ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს, უზრუნველყოფს ყოველთვიური ავანსისა და პენსიების გაცემას და სხვა საჭირო ღონისძიებათა გატარების საქმეს.

პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობის შედეგად კოლმეურნეობები ამჟამად უზრუნველყოფილი არიან საკუთარი ტექნიკით და მუდმივი კადრებით. სამწუხაროდ, სასოფლო-სამეურნეო არტელის მოქმედი წესდებით თითქმის არაფერია ნათქვამი კოლმეურნეობებისადმი სახელმწიფოს მხრივ ხელმძღვანელობისა და კოლმეურნეობაში მომუშავე სპეციალისტთა უფლებ-

რივი დგომარეობის შესახებ. ახალ წესდებაში ამ საკითხებს სათანადო ადგილი უნდა დაეთმოს.

აუცილებელია, რომ კოლმეურნეობის თავმჯდომარის, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების (აგრონომის, ზოოტექნიკოსის, ინჟინერ-ტექნიკოსის, ვეტქიმის) და ბუხალტრის (მონაგარიშის) თანამდებობის პირთა უფლებრივი მდგომარეობა განისაზღვროს სპეციალური დებულებით, ხოლო კოლმეურნეობათა გამგეობის, სარევიზიო კომისიის წევრებისა და კოლმეურნეობის თავმჯდომარის არჩევა მოხდეს ფარული კენჭისყრით.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზი გაუსვა იმას, რომ სოფლის მეურნეობაში მექანიზაციის ზრდისა და ტექნიკური პროგრესის გამოყენებასთან ერთად მთავარი ყურადღება დარგობრივი საბჭოთა მეურნეობის მოწყობისა და ცალკეული კოლმეურნეობების სპეციალიზაციას, კოლმეურნეთა პროფესიული მომზადების დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებას უნდა მიექცეს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების შემდგომ ზრდას კოლმეურნეობაში. მხარდაჭერის ღირსია მოსკოვის ოლქის ზოგიერთ კოლმეურნეობაში კოლმეურნეთა კვალიფიკაციის — თანრიგის (მემინდვრე ოსტატთა პირველი, მეორე თანრიგი) შემოღება, რომლებსაც ანიჭებს სპეციალური საკვალიფიკაციო კომისია.

საკუთარ და მუდმივ სპეციალისტთა უკეთ მომზადებას ხელს შეუწყობს აგრეთვე სწავლების ახალი წესი. რომლის თანახმად უმაღლეს სასწავლებელში კოლმეურნეობები მიავლინებენ შესაფერის პირებს, რომელსაც სტიპენდიით თვით კოლმეურნეობები უზრუნველყოფენ და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ისინი მუდმივ სამუშაოდ იმავე კოლმეურნეობაში იგზავნებიან.

საკოლმეურნეო საკუთრების უფლებრივი მდგომარეობა. სკკპ XXI ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე კოლმეურნეობების, როგორც იურიდიული პირების სამოქმედო არე და მათი ეკონომიკა საგრძნობლად იზრდება, რაც მთავარია, გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცებას, განუყოფელ ფონდში არსებული სახსრების შემდგომ ზრდასა და საკოლმეურნეობათა შორისო საწარმოთა ფართოდ გამოყენებას.

განუყოფელ ფონდში არსებულ სახსრებზე დამოკიდებულია როგორც სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა, საზოგადოებრივი მეურნეობის განმტკიცება და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, ასევე სოფლის კეთილმოწყობაც. „ახალ სოფლებში კარგ სამეურნეო ნაგებობებთან ერთად უნდა იყოს მოხერხებული საცხოვრებელი სახლები, სკოლები, ინტერნატები, კლუბები, სასადილოები, საავადმყოფოები, სახლები ღრმად მოხუცებულებისათვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, აბანოები და სხვა“ (ნ. ს. ხრუშჩოვი).

წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხანის კოლმეურნეობა, რომლის განუყოფელი ფონდის სახსრები 16.164 ათას მანეთს აღწევს, დიდ ყურადღებას იჩენს სოფლის კეთილმოწყობაზე, ქოხების ნაცვლად ასობით ორსართულიანი სახლები აშენდა. სოფელი მთლიანად ელექტროფიცირებული და რადიოფიცირებულია, აქ არის საშუალო და ოთხწლიანი სკოლები, აფთიაქი, ამბულატორია, ელექტროწისქვილი, სავაჭრო მაღაზია, 700 ადგილიანი კულტსახლი, საა-

ვადმყოფო, აბანო, გაყვანილია მძლავრი წყალსადენი და ა. შ. ქალაქის კეთილ-  
მოწყობისაგან თითქმის არ განსხვავდება ქობულეთის რაიონის სოფ. ბობოყე-  
-ოი, გურჯაანის რაიონის სოფ. ველისციხე, მახარაძის რაიონის სოფ. შრომა  
და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო არტელში საზოგადოებრივი ინტერესი, ისე როგორც  
საზოგადოებრივი მეურნეობა მთავარია, ძირითადი და შეიძლება ითქვას გადამ-  
წყვეტიც. საზოგადოებრივი მეურნეობის განუხრელი განვითარება, კოლმეურ-  
ნეობათა განუყოფელი ფონდების ზრდა, კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო  
მომსახურების მკვეთრი გაუმჯობესება არწმუნებს კოლმეურნეობებს იმაში,  
რომ ეკონომიურად მათთვის უკვე არახელსაყრელი ხდება პირადი დამხმარე მე-  
ურნეობა და იგი დროთა განმავლობაში ჰკარგავს თავის მნიშვნელობას.


ამჟამად განუყოფელი ფონდის დანიშნულების სფერო და მისი ხვედრითი  
წონა შესამჩნევად იზრდება. კოლმეურნეობათა საერთო კრებების გადაწყვეტი-  
ლებებით ფულადი შემოსავლის ანარიცხების განუყოფელ ფონდში გადარიცხ-  
ვის ოდენობა ვადიდდა, რითაც კოლმეურნეობები გარანტირებულ იქნებიან  
საკუთარი საბრუნავი საშუალებებით, და ამრიგად, უზრუნველყოფენ საჭირო  
რაოდენობით საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტების მშენებლობას.

საკოლმეურნეობათაშორისო ობიექტები, რომლებიც შექმნილი არიან კო-  
ლმეურნეობათა განუყოფელი ფონდებისა და სახელმწიფოს მატერიალური  
დახმარების შედეგად, უკვე საყოველთაო-სახალხო დანიშნულების ხდებიან და  
მასმასაღამე, ისინი წარმოადგენენ არა ცალკეული კოლმეურნეობების კუთვნი-  
ლებას, როგორც ეს მანამდე იყო, არამედ თანდათანობით იქცევიან საყოველ-  
თაო-სახალხო საკუთრებად.

საქართველოს სსრ რიგ რაიონებში მომიჯნავე კოლმეურნეობების სახსრე-  
ბის გაერთიანების საფუძველზე შექმნილია საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდ-  
როელექტრო სადგურები, ავტობაზები, მანქანა-იარაღების კაპიტალური შემკე-  
თებელი სახელოსნოები, რძისა და ხილის დამამზადებელი საწარმოები, მეფ-  
რინველეობისა და პირუტყვის გასასუქებელი ფერმები, სკოლა-ინტერნატები,  
საავადმყოფოები, დასასვენებელი სახლები და ა. შ. ჯერ კიდევ 1955 წელს მა-  
ხარაძეში შეიქმნა რესპუბლიკაში პირველი საკოლმეურნეობათაშორისო ავტო-  
ბაზა, შემდეგში კი ამ მაგალითისამებრ ასეთივე ავტობაზები ჩამოყალიბდა ყვა-  
რლის, ლენტეხის და სხვა რაიონებში. საკოლმეურნეობათაშორისო ავტობაზა  
სამეურნეო ანგარიშზე მყოფ იურიდიულ პირად ითვლება და რაიონში შემა-  
ვალ კოლმეურნეობების თანასაკუთრების ობიექტს წარმოადგენს.

ამრიგად, საკოლმეურნეობათაშორისო კავშირუბრუნების ფართოდ  
განვითარების საფუძველზე იწყება საკოლმეურნეო (ჯგუფი) საკუთრების სა-  
ხელმწიფო (საყოველთაო-სახალხო) საკუთრების დონემდე აყვანის პროცესი,  
რომლის შედეგად მომავალში გვექნება ერთიანი საზოგადოებრივი საკუთრება.

საბჭოთა კანონმდებლობით, კერძოდ კი სამოქალაქო და საკოლმეურნეო  
სამართლის კანონმდებლობით საკოლმეურნეობათაშორისო საკუთრების სამარ-  
თლებრივი ბუნება, მისი ზუსტი რეგლამენტაცია დღემდე არაა განსაზღვრული  
და დამუშავებული. უმართებულოდ მიგვაჩნია, როცა საკოლმეურნეობათაშო-  
რისო საკუთრების უფლებრივ ურთიერთობათა განსაზღვრისას და მისი რეგუ-  
ლირებისათვის უფარდებენ ან იყენებენ სამოქალაქო სამართლის კოდექსის  
61, 62, 63, 64 და 65 მუხლებს. საჭიროა ამ ფრიადნიშვნელოვან და სპეციფი-



კურ ინსტიტუტის სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი წესდებით გათვალისწინება და მისი რეგლამენტირებისათვის კი შესაბამისი დებულების მიღება.

**სამეურნეო ანგარიშის დანერგვა და შრომის ანაზღაურების ახალი წესი კოლმეურნეობაში.** შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების კვალობაზე, — აღნიშნულია 1959 წლის დეკემბრის პლენუმის დადგენილებაში, — სისტემატურად გადაისინჯოს და დაწესდეს კოლმეურნეობებში გამომუშავების უფრო პროგრესული ნორმები და შრომის ანაზღაურების შეფასებანი, ისევე როგორც ეს ხდება სამრეწველო საწარმოებში. სსრ კავშირში საკუთრების ფორმების ურთიერთ დაახლოების გამო, როცა საკოლმეურნეო საკუთრება სახელმწიფო საკუთრებას უტოლდება და ახალ პირობებთან დაკავშირებით იცვლება კოლმეურნეობათა ეკონომიკა, მათი ორგანიზაციული და უფლებრივი მდგომარეობა, ასევე შესაბამისად იცვლება შრომის ანაზღაურებაც. გამომუშავების ძველი ნორმები და შრომადღებების ანაზღაურების არსებული წესი დღევანდელ პირობებში ჰკარგავს თავის მნიშვნელობას და საგრძნობლად აფერხებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებას, კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას.

შრომის ორგანიზაციაში ახალი ის არის, რომ კოლმეურნეობები თანდათან სანარდო სისტემიდან, სამეურნეო ანგარიშზე და შრომის ანაზღაურების საგარანტიო ფულად ანაზღაურებაზე გადადიან. სამეურნეო ანგარიშის გატარებისათვის საჭიროა ბრიგადებისა და რგოლების ხელახალი დაკომპლექტება, მათი საწარმოო დავალებათა, მუშა-ხელისა და გამწვევი ძალის რაოდენობის თანაბარი განსაზღვრა. ამ შემთხვევაში თითოეული საწარმოო ბრიგადის და რგოლის მიერ გაწეული შრომა, მათი შემოსავალ-გასავალი ცალ-ცალკე აღირიცხება, რადგან ანაზღაურება მოცემულ ბრიგადის ან რგოლის მიერ წლის განმავლობაში ფაქტურად მიღებული მოსავლის კვალობაზე ხდება და არა კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის მიხედვით.

შრომადღე, როგორც კოლმეურნის დანახარჯი, შრომისა და ანაზღაურების ძირითადი საზომი — თავის დროზე საჭირო და აუცილებელი იყო, თუმცა იგი დღეისათვის უკვე სრულყოფილად ვერ ასახავს დახარჯული შრომისა და ანაზღაურების კონკრეტულობას, რაც შესამჩნევად აფერხებს საკოლმეურნეო წარმოების განვითარებას, ხელს უშლის სამეურნეო ანგარიშის დანერგვას და უგულვებელყოფს კოლმეურნეთა მატერიალურ დაინტერესებას.

საკანონმდებლო თვალსაზრისითაც შეუსაბამისობაა, შრომადღეებისა და საკოლმეურნეო ქონების უფლებრივი დაცვა ერთნაირი პასუხისმგებლობით არ წარმოებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თითქმის ერთნაირი ეკონომიური მნიშვნელობის მქონენი არიან. ასე მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების მე-18 მუხლის თანახმად, საკოლმეურნეო ქონებისადმი ხელყოფა კვალიფიცირებულია, როგორც დანაშაული და დამნაშავენი პასუხს აგებენ სისხლის სამართლის წესით. რაც შეეხება შრომადღეების უსწოროდ დარიცხვის, უკანონოდ გადახარჯვისა და მითვისების შემთხვევებს, — დამნაშავეებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1948 წლის 19 აპრილის დადგენილების მე-12-ე მუხლის თანახმად ჩამოეჭრებათ მხოლოდ 5 შრომადღემდე.

კოლმეურნეობაში პროგრესული და საგარანტიო ანაზღაურების ახალი წესი ნიშნავს კოლმეურნის შრომის პირდაპირ ფულად ანაზღაურებას უშრომადღეოდ, ე. ი. შრომადღის დაურიცხავად. ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში

შრომადღე გადაყვანილია ფულად გამოსახულებაში. ერთი შრომადღე შეფასებულია 20-30 მანეთად. (2-3 მანეთი ახალი ფულით).

სამეურნეო ანგარიშზე და შრომის ფულად საგარანტიო ანაზღაურებაზე მყოფ კოლმეურნეობებს ფართო შესაძლებლობა აქვთ შექმნან სპეციალიზირებული ფერმები და ბრიგადები; ხელი მოჰკიდონ მათთვის რენტაბელური დარგების ფართოდ გამოყენებას და განდევნონ ზარალიანი კულტურები, გაადიდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება და შეამცირონ მათი თვითღირებულება. ამასთან ერთად კოლმეურნეობის პროდუქციის ფასები არ უნდა აღემატოს მოწინავე საბჭოთა მეურნეობის პროდუქციის ფასებს, ხოლო კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურებამ არ უნდა გაუსწროს მოცემულ რაიონის კვალიფიციური მუშის ხელფასის დონეს. ასევე დიდი სხვაობა არ უნდა იყოს კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა, ბუხჰალტერისა და რიგითი კოლმეურნის შრომის ანაზღაურებას შორის. ყოვლად უმართებულოა, როცა მარნეულის რაიონის სოფელ შაუმიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს თვეში 130 შრომადღე ერიცხებოდა, მაშინ, როდესაც აქ ზოგიერთი შრომისუნარიანი კოლმეურნის საშუალო გამომუშავება მხოლოდ 315 შრომადღეს უდრიდა, ე. ი. თავმჯდომარეს 12-ჯერ მეტი ანაზღაურება ჰქონია ვიდრე კოლმეურნეს.

ფულად ანაზღაურების დროს შრომისუნარიან კოლმეურნეთათვის წესდება კაცდღეების ანუ ნორმადღეების გამომუშავება. ქობულეთის რაიონის სოფელ ბობოყვათის კოლმეურნეობამ გამომუშავების წლიური სავალდებულო მინიმუმი 120 კაცდღე დააწესა.

ამრიგად, კოლმეურნეობაში შრომის ფულადანაზღაურებას წინ უნდა უსწრებდეს სამეურნეო ანგარიშის დანერგვა, ნაცვლად დღემდე არსებულ გამომუშავების ნორმების 9 თანრიგიანი სანარდო სისტემის გამოყენებისა, რომელიც ხელს უშლიდა პროდუქციის თვითღირებულების დადგენას, ართულებდა აღრიცხვიანობისა და ანგარიშვიანობის საქმეს კოლმეურნეობაში. საკოლმეურნეო წარმოებაში შრომის ანაზღაურების ახალი წესის გამოყენება, უზრუნველყოფს იმ კოლმეურნეობის საწარმოთა, შრომისა და მოხმარების ოდენობის ზუსტ აღრიცხვასა და სათანადო კონტროლს, რომელიც ამა თუ იმ უბანზე სრულდება. ე. ი. შრომის გარანტირებულ ფულად ანაზღაურებაზე გადასვლა, ხელს უწყობს საბუხჰალტრო აღრიცხვის შემდგომ გაუმჯობესებას, ჰქმნის წარმოებისა და კოლმეურნეობათა შორის ფულად შეფასებით გამოხატულ ხარჯებზე მანეთით კონტროლის გაძლიერების ყველა შესაძლებლობას.

სამეურნეო ანგარიშზე და ფულად ანაზღაურებაზე გადასვლით დაინტერესებულია სახელმწიფოც. კოლმეურნეობებს საშუალება ეძლევათ სახელმწიფოს მიყიდონ და საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდონ უფრო მეტი პროდუქტები, ვიდრე მანამდე იყო. სასაქონლო პროდუქციის ზრდა კი ხელს უწყობს ფულადი შემოსავლის ზრდას, რაც საშუალებას აძლევს კოლმეურნეობებს გაზრდილი პროცენტით შეავსონ განუყოფელი ფონდები და ფართო მასშტაბით განავითარონ საკოლმეურნეობათა შორისო საწარმოები.

შრომის ფულადი ანაზღაურების ახალი წესი არ უარყოფს შრომის დამატებითი ანაზღაურების პრინციპს. კოლმეურნეობის საერთო კრების დადგენილებით ნატურით და ფულადი დამატებითი ანაზღაურება გაიცემა ზეგვემეორე მიღებული პროდუქციიდან, კოლმეურნეთა და კოლმეურნეობის თანამდებობის პირთა მიერ გამომუშავებული თანხის პროპორციულად.



კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესებისა და მათი ეკონომიური პირობების გაუმჯობესების მიზნით უმჯობესი იქნება სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვა და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურების საბოლოო წლიური ანგარიშსწორება ერთდროულად მოხდეს. ამის შემდეგ კი შეიქმნოს საწესდებო ფონდები და პროდუქციის ან ფულადი სახსრების სხვადასხვა საჭიროებისათვის გამოყენება.

\* \* \*

თანამედროვე საკოლმეურნეო ურთიერთობა მეტად რთული, მრავალმხრივი და სპეციფიური ნიშნების მქონე ორგანიზაციულ-სამეურნეო უფლებრივი ურთიერთობაა, რომლის სამეურნეო რეგულირება და სამართლებრივი თვალსაზრისით განსაზღვრა ახლებურად შესწავლასა და რეგლამენტაციას მოითხოვს. მიწისა და საკოლმეურნეო კანონმდებლობის კოდიფიკაციასთან დაკავშირებით სრულყოფილად უნდა განისაზღვროს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქმედობაუნარიანობისა და უფლებრივი მდგომარეობის ყველა ძირითადი საკითხები.



# საზოგადოებრივობის როლი სოციალისტური კანონიერების განმგვიხების საქმეში

ე. ტაბიძე

საბჭოთა ხალხი, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით წარმატებით ახორციელებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 21-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც მოცემულია კომუნისტური მშენებლობის დიდი პროგრამა. ჩვენმა ქვეყანამ არნახული მიღწევები მოიპოვა ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. შვიდწლედის პირველი ორი წლის მონაცემები მოწმობენ, რომ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანები ვადაძლევ და გადაჭარბებით შესრულდება.


ამ გრანდიოზული მამარჯვებების ფონზე სავსებით მოუთმენელია, როცა ცალკეული პირები, რომელთა შეგნებაში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის კაპიტალისტური მანვე ვადმონაშთები, არღვევენ სოციალისტური ქცევის ნორმებს და ჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს, რაც ხელს უშლის ჩვენი ქვეყნის გიგანტურ წინსვლას კომუნისტურად.

„ჩვენი, — აღნიშნავდა ნ. ს. ხრუშჩოვი პარტიის 21-ე ყრილობაზე, — ჯერ კიდევ არა იშვიათად გვხვდებიან ადამიანები, რომლებიც არაკეთილსინდისიერად ეკიდებიან საზოგადოებრივ შრომას, ეწვეიან სპეკულაციას, არღვევენ დისციპლინას და საზოგადოებრივ წესრიგს. არ შეიძლება დამშვიდებით ველოდოთ, თუ როდის გაქრება თავისთავად კაპიტალიზმის ვადმონაშთები. საჭიროა ვადამწყვეტი ბრძოლა ვაწარმოოთ მათ წინააღმდეგ, მივმართოთ საზოგადოებრივი აზრი ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა ყოველგვარი ვამოვლინებების წინააღმდეგ, ანტისაზოგადოებრივ ელემენტების წინააღმდეგ“.

ჩვენ ყველა შესაძლებლობა ვავაჩნია ვავართვათ თავი ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ამოცანას, რადგან ჩვენი სახელმწიფოს წყობილებაში არ არსებობს ისეთი პირობები, რამაც დანაშაული უნდა წარმოშვას.

როგორ, რა ვზებით და რა მეთოდებით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური ქცევის ნორმების დამრღვევ პირთა მიმართ? რა ღონისძიებები უნდა იქნას ვატარებული, რომ ჯერ მინიმუმამდე ვადვიყვანოთ, ხოლო შემდეგში მთლიანად აღმოიფხვრას დანაშაულებრივი მოქმედება?

მრავალი წლის ვანმავლობაში დამნაშავეთა მიმართ ბრძოლა ძირითადად წარმოებდა მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების სა-



შუალებით, თვით მშრომელთა და მათი მასიური ორგანიზაციების დახმარების გარეშე.

ბ. ს. ხრუშჩოვი ამასთან დაკავშირებით პარტიის 21-ე ყრილობაზე აღნიშნავდა — „განა საბჭოთა საზოგადოებრიობას არ შეუძლია მოერიოს სოციალისტური წესრიგის დამრღვევთ? — რა თქმა უნდა შეუძლია, ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს ამისათვის ნაკლები შესაძლებლობანი, სახსრები და ძალები როდი აქვთ, ვიდრე მილიციისა და პროკურატურის ორგანოებს... საჭიროა განვახორციელოთ ისეთი ღონისძიებანი, რომლებიც თავიდან აგვაცილებენ ხოლმე, შემდეგ სრულიად გამორიცხავენ ცალკეული პირების მიერ რაიმე საქციელის ჩადენას, რომელიც ზიანს აყენებს საზოგადოებას. მთავარია პროფილაქტიკა, აღმზრდელითი მუშაობა“.

გამომდინარეობენ რა პარტიის 21-ე ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებიდან ქუთაისის პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა და მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა ფართო საზოგადოებრიობაზე დაყრდნობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები განახორციელეს საბჭოთა კანონიერების განმტკიცებისა და ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებისათვის. ამასთან მთელ ჩვენს საქმიანობაში ვხელმძღვანელობდით პარტიისა და მთავრობის იმ მითითებებით, რომ საბჭოთა კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში უფრო აქტიურად და ფართოდ ჩაგვება საზოგადოებრიობა, მასობრივი ორგანიზაციები, მთავარი ყურადღება მიგვექცია პროფილაქტიკური მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისათვის, ადამიანთა აღზრდილობისა და სოციალისტური თანაცხოვრების წესრიგის პატივისცემის სულისკვეთებით.

პარტიის საქალაქო კომიტეტი რეგულარულად სწავლობს, ბიუროს სხდომებზე იხილავს ისეთ საკითხებს რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას. მართო გასულ წელს პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა და ბიუროს სხდომებზე განიხილა შემდეგი საკითხები: „ქ. ქუთაისში დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, „წარმოება-დაწესებულებებში სოციალისტური ქონების დაცვის მდგომარეობის შესახებ“, „სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე და ორგანიზაციებში ამხანაგური სასამართლოების მუშაობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების შესახებ“, „მილიციის, პროკურატურის და სასამართლო ორგანოებში სოციალისტური კანონიერების დაცვის მდგომარეობის შესახებ“, „საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობის მდგომარეობის და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ და სხვა საკითხები.

ვატარებული ღონისძიებების შედეგად უკანასკნელ წლებში ქალაქში მნიშვნელოვნად შემცირდა სისხლის სამართლის დანაშაულებათა ჩადენის შემთხვევები. 1957 წელთან შედარებით 1958 წელს, სისხლის სამართლის დანაშაულებათა ჩადენის შემთხვევები შემცირდა 7,8 პროცენტით 1959 წელს წინა წელთან შედარებით 8,7 პროცენტით, 1960 წელს 1959 წელთან შედარებით 13 პროცენტით, ხოლო 1960 წელს 1958 წელთან შედარებით 32,3 პროცენტით.

მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი საშიში ხასიათის დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევები, როგორც არის მკვლელობა, ძარცვა და სხვა დანაშაული.

იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დაცვის საქმეში ფართოდ ჩაება საზოგადოებრიობა, საგრძნობლად შემცირდა მსჯავრდადებულთა რაოდენობა. მარტო 1960 წელს 1959 წელთან შედარებით მსჯავრდადებულ პირთა რაოდენობა 58 პროცენტით შემცირდა, ხოლო 1958 წელთან შედარებით კიდევ უფრო მეტად.

ქალაქის პარტიულ ორგანიზაციებს კარგად ესმით, რომ რა რიგ ოპერატიულადაც არ უნდა მუშაობდეს მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოები, მარტო მათ არ შეუძლიათ სოციალისტური კანონიერების მტკიცედ დაცვა და ქალაქში სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება. იმ მიზნით, რომ მობილიზებულ იქნა მშრომელთა ყურადღება საბჭოთა კანონიერების დაცვის უზრუნველსაყოფად, მოსახლეობასთან, წარმოება-დაწესებულებებში რეგულარულად ტარდება ლექცია-მოსხენებები და საუბრები. მარტო 1960 წელს პროკურატურისა და მილიციის მუშაკების მიერ მოსახლეობასთან და წარმოება-დაწესებულებებში ჩატარებულია 218 ლექცია, 876 საუბარი და 212 ინფორმაცია, ხოლო პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული პოლიტიკური განათლების კაბინეტის და საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების მიერ 150-ზე მეტი ლექცია-მოსხენება.

სერიოზული მუშაობა წარმოებს იმ ახალგაზრდების შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად, რომლებიც არსად არ მუშაობენ, არ ეწევიან საზოგადოებრივ შრომას და დროის უმეტეს ნაწილს უქმად ატარებენ. პარტიის საქალაქო კომიტეტის მითითებით პერიოდულად ეწყობა დროებით უმუშევარ მოქალაქეთა შეკრებები, სადაც მონაწილეობას იღებენ ქალაქის ხელმძღვანელი მუშაკები, წარმოების მოწინავე ადამიანები, რომლებიც განუშარტავენ მათ საზოგადოებრივი შრომის მნიშვნელობას სოციალისტურ საზოგადოებაში.

გატარებულ ღონისძიებათა შედეგად დროებით უმუშევარ მოქალაქეთა უმრავლესობა ჩაება საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, და საქმიანობას ეწევა ფაბრიკა-ქარხნებში, იქ სადაც უმუშაოდ იქმნება მატერიალური დოვლათი, მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ბრავტიკამ დაადასტურა, რომ საბჭოთა კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის და მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 მარტის დადგენილების „წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმების შექმნის შესახებ“ ცხოვრებაში გატარებას. აღნიშნული დადგენილების ცხოვრებაში გატარების უზრუნველსაყოფად პარტიის საქალაქო კომიტეტმა და საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ქალაქის ყველა მსხვილ ორგანიზაციასთან ჩამოაყალიბეს წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები, რომლებიც 2.600-ზე მეტ მშრომელს აერთიანებს. მათ შორის სკკპ წევრია 1175, კომკავშირელი 900-ზე მეტი. რაზმების უფროსებად არჩეული არიან საწარმო-დაწესებულებათა ხელმძღვანელები და პარტორგანიზაციის მდივნები.



სახალხო რაზმელებად შერჩეული არიან პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანიზაციების აქტივისტები, მოწინავე მუშები და მოსამსახურეები, პენსიონერები, სწავლაში წარმატების მქონე სტუდენტები, რომლებიც თავიანთი სანიმუშო ყოფაქცევით გვიჩვენებენ საბჭოთა ადამიანის მაღალ მორალურ თვისებებს.

შეიქმნა საქალაქო შტაბი 43 კაცის შემადგენლობით. საქალაქო შტაბი რეგულარულად იწვევს სხდომებს და ატარებს საინსტრუქტაჟო თათბირებს. აქტიურად ჩაებნენ რა საბჭოთა კანონიერებისა და წესრიგის განმტკიცების საქმეში, სახალხო რაზმელებმა გამოავლინეს და აღკვეთეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის 183 შემთხვევა. მასალები საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევ პირთა მიმართ სათანადო ზომების მისაღებად ეგზავნებათ ამხანაგურ სასამართლოებს, პარტიულ ორგანიზაციებს და წარმოება-დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, ხოლო უფრო მძიმე ხასიათის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს.

მთელ თავის საქმიანობაში სახალხო რაზმელები ხელმძღვანელობენ მითითებით: აწარმოონ პროფილაქტიკური მუშაობა, მიიღონ საჭირო ზომები საზოგადოებრივი წესრიგის აღსაკვეთად უწინარეს ყოვლისა დარწმუნებისა და გაფრთხილების გზით. მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობიდან.

მოქ. ზ. კრავჩენკო არსად არ მუშაობდა და ეწეოდა წვრილმან სპეკულაციას. იგი დაკავებულ იქნა №1 საკოლმეურნეო ბაზრის სახალხო რაზმელების გ. ჩიხლაძის და ა. ვახსოლიანის მიერ. გადაწყვიტული ზ. კრავჩენკო წარმოდგენილ იქნა საქალაქო შტაბში, სადაც მას ესაუბრნენ. ამავე დროს შტაბის მიერ მიღებულ იქნა ზომები ზ. კრავჩენკოს შრომით საქმიანობაში ჩასაბმელად.

მოქ. ა. გულიაევი წასწრებულ იქნა სამტრედიის ქუთაისის ღვინის ქარხნის სახალხო რაზმელების გ. სიმსიევსა და ა. გიორგაძის მიერ იმ მომენტში, როცა მან ერთ-ერთ მოქალაქეს ამოაცალა ჯიბიდან ფული, რაზმელებმა აქტიური მოქმედების შედეგად ქურდი ა. გულიაევი დაკავებულ იქნა და წარდგენილი მილიციის განყოფილებაში.

პატიმრობიდან განთავისუფლებული გ. გურაბანიძე ნაცვლად იმისა, რომ ჩაბმულიყო საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში, კვლავ დანაშაულებრივ ღზას დაადგა. გასული წლის 10 სექტემბერს, ღამის 12 საათზე გაქურდვის მიზნით იგი შეიპარა მინისტარის ქარხნის საერთო საცხოვრებელში, რა დროსაც იგი დაკავებულ იქნა ამავე ქარხნის სახალხო რაზმელების ვ. აბდლოვისა და გ. ჯანელიძის მიერ. გამოუსწორებელი გ. გურაბანიძე სასამართლოს მიერ სათანადოდ იქნა დასჯილი.

დაუღალავად ემსახურება ქალაქში წესრიგის დაცვის საქმეს ტყავფხსაცმლის ქარხნის მუშა ა. ჩირგაძე. მის მიერ გამოვლინებული და აღკვეთილია წესრიგის დარღვევის არა ერთი შემთხვევა, რის გამოც ეს უკანასკნელი დაჯილდოებულ იქნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში განსაკუთრებით გამოირჩევიან ლიტოპონის ქარხნის (რაზმეულის უფროსი, ქარხნის პარტიული ბიუროს მდივანი შ. სანიკიძე), ელექტრომექანიკური ქარხნის (რაზმეულის


უფროსი პარტიული ბიუროს მდივანი დ. სეანიძე), სამკერვალო ფაბრიკის (რაზმეულის უფროსი ქარხნის დირექტორი კ. აფრიდონიძე), სამთო ტექნიკუმის (რაზმეულის უფროსი პარტიუროს მდივანი ა. კანდელაკი) და სხვა წარმოებებისა და ორგანიზაციების წესრიგის დამკველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ ყველა პარტიული ორგანიზაცია როდი მიუღღა სწორად რაზმეულების დაკომბლექტებას, მათდამი ხელმძღვანელობასა და კონტროლს. ზოგიერთი ორგანიზაცია დაქმნაყოფილდა მხოლოდ ამ რაზმეულების ფორმალურად შექმნით. მაგ. მე-4 სამშენებლო ტრესტში, სპეც-საკონსტრუქტორო ბიუროში, ადგილობრივი მრეწველობის მექანიკურ ქარხანაში და სხვა.

დღევანდელ ეტაპზე გამსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამხანაგური სასამართლოების მუშაობას.

საგრძნობლად გამოაცოცხლა მუშაობა ქალაქის წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციების ამხანაგურმა სასამართლოებმა. ამადღა მათი როლი საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში, გაფართოვდა მათი მოქმედების სფერო. ისინი სულ უფრო ხშირად განიხილავენ ისეთ საკითხებს, რაც შრომის დისციპლინის დარღვევას, მოქალაქეთა ღირსებისადმი პატივისცემის ვრძნობის განვითარებას, სამართლის დარღვევის თავიდან აცილებას, ყოველგვარი ანტისაზოგადოებრივი საქციელის გამოვლინების აღკვეთას შეეხება. გამსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ს. ორჯონიძის სახელობის ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, აბრეშუმის კომბინატის, ლიტპონის ქარხნის და რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებათა ამხანაგური სასამართლოების კარგი მუშაობა. აქ სასამართლოს სხდომები ორგანიზებულად ტარდება, მას ესწრებიან მუშა-მოსამსახურეთა დიდი ნაწილი, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სასამართლო პროცესებში. პირველმა შედეგებმა უკვე ცხადჰყვეს, რომ იმ საწარმო-დაწესებულებებში, სადაც კარგად არის ორგანიზებული ამხანაგური სასამართლოების მუშაობა, სადაც პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ყოველდღიურ კონტროლსა და დანმარებას უწევენ მათ, მნიშვნელოვნად მცირდება შრომის დისციპლინის, სამართლის დარღვევისა და ამორალურ გამოვლინებათა შემთხვევები. სამკერვალო ფაბრიკის მუშამ ა. კლდიაშვილმა თავის უტაქტო ქცევით ორი საათით შეაჩერა ბრიგადის მუშაობა. ამხანაგურმა სასამართლომ განიხილა საქმე მისი არასწორი მოქმედების შესახებ და მას საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუტანა. მას შემდეგ ა. კლდიაშვილს აღარ დაურღვევია შრომის დისციპლინა და ამჟამად მოწინავე მუშად ითვლება. ამხანაგურმა სასამართლომ განიხილა აგრეთვე წუნდებული პროდუქციის გამომშვები მუშების დ. ბუხნიკაშვილის, ყ. ჯინჭარაძის, ჯ. აბულაძის და სხვათა საქმეები. სასამართლოზე ისინი საჯაროდ გაკიცხეს და სათანადოდ დასაჯეს. ზემოდ დასახელებული პირები ამჟამად მოწინავეთა რიგებში დგანან.

მიუხედავად აღნიშნულისა ზოგიერთი წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელები პირველადი პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ



ბრძოლაში ამხანაგური სასამართლოების როლს. კვლავ არის შემთხვევები, როცა ცალკეულ მუშაკებს დირექციის მიერ დადებული აქვთ დისციპლინარული სასჯელები იმ დროს, როცა საქმე კოლექტივის, ამხანაგური სასამართლოების მსჯელობის საგანს წარმოადგენდა.

მაგ. მაუდის ფაბრიკაში ხშირი იყო შემთხვევა მუშათა მიერ სამუშაო დღეების გაცდენისა. მარტო 3 თვეში 49 მუშამ გააცდინა უმინიმოდ სამუშაო დღეები, სამუშაოს ყველა გამცდენი დასჯილია მხოლოდ დირექტორის ბრძანებით და არც ერთი შემთხვევა ამხანაგური სასამართლოების მსჯელობის საგნად არ გაუხდიათ.

ქუთაისის სასადილოების ტრესტში სხვადასხვა დარღვევისათვის დირექტორის ბრძანებით ბევრია დასჯილი მუშაკი, მათი ქცევა კი იშვიათად ხდებოდა ამხანაგური სასამართლოების მსჯელობის საგნად. არა დამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ აგრეთვე გელათმანბნის, და რიგ სხვა საწარმო-დაწესებულებათა ამხანაგური სასამართლოები. პარტიის საქალაქო კომიტეტმა შეისწავლა და ბიუროს სხდომაზე განიხილა აღნიშნული საკითხი და დასახა კონკრეტული ღონისძიებები ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. ამხანაგური სასამართლოების საქმიანობის დადებითი გამოცდილების გაზიარების, მათი კომპეტენციის გარკვევის და საერთოდ მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით პარტიის საქალაქო კომიტეტის ინიციატივით ჩატარდა ქალაქის საწარმო-დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან არსებული ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეების, მათი მოადგილეებისა და წევრების სემინარი. სემინარზე ქალაქის პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს მუშაკებმა წაიკითხეს შემდეგი მოხსენებები: „საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამღლების შესახებ“, „ამხანაგური სასამართლოების ამოცანები და მათი ორგანიზაციის წესი“, „საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები, რომლებსაც ამხანაგური სასამართლოები იყენებენ“, „ამხანაგური სასამართლოების ხელმძღვანელობა“ და სხვა.

სემინარის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეებმა და წევრებმა. განზრახულია ასეთი ხასიათის სემინარები რეგულარულად მოეწყოს.

საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში მშრომელთა მონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს სახალხო სასამართლოთა საქმიანობაში საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და დამცველების მონაწილეობა, საჩვენებელი პროცესების ფართო მასშტაბით ჩატარება და კოლექტივებისათვის აღსაზრდელად ისეთი პირების გადაცემა, რომელთაც ჩაიდინეს ნაკლებად მძიმე ხასიათის დანაშაული.

პროცესებში საზოგადოებრივი ბრალმდებლის და საზოგადოებრივი დამცველების მონაწილეობა დიდი ხანი არ არის დაიწყო, მაგრამ უკვე დაგროვილი გამოცდილება ნათლად მეთყველეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთი პროცესების ჩატარებას საქმის ობიექტურად და საფუძვლიანად განხილვისათვის.

მაგ. ამას წინად სახალხო სასამართლომ განიხილა მოქ. ა. გავრიშჩაკის საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ტექნიკური უსაფრთხოების წესების დარ-

ღვევში. პროცესზე აქტიური მონაწილეობა მიიღო საზოგადოებრივმა დამცველმა, წყალკანალტრესტის მუშაკმა ა. ნუცუბიძემ, რომელიც სასამართლოს დაეხმარა საქმის ობიექტურად გადაჭრაში.

ასევე ბოროტმოქმედთა კ. ჩხობაძისა და ს. ბერძენაძის საქმეზე საზოგადოებრივ ბრალმდებლად სასამართლო პროცესზე გამოვიდა პედაგოგი დ. კვიციანიძე, რომლის აქტიურმა მონაწილეობამ საქმის განხილვაში დამსწრეთა საყოველთაო მოწონება დაიმსახურა.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება კოლექტივზე აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემულ პირთა მიმართ მზრუნველობასა და ყურადღებას. ფაქტები ცხადყოფენ, რომ, პირები, რომლებმაც ნაკლები ჩასიათის დანაშაული ჩაიდინეს და აღსაზრდელად გადაეცათ კოლექტივებს უმრავლეს შემთხვევაში ამართლებენ კოლექტივის ნდობას.

პარტიული, საბჭოთა პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე დასმულია მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა: ჩავაბათ რაც შეიძლება ფართო საზოგადოებრიობა სოციალისტური კანონიერების განმტკიცების საქმეში. დროა ბოლო მოეღოს ისეთ მდგომარეობას, როცა ზოგიერთი პარტიული და საბჭოთა ორგანო სათანადო ყურადღებას არ უთმობს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეს, ხოლო ზოგჯერ თავსაც კი არიდებენ მას, საბჭოთა კანონიერებისათვის ბრძოლის საქმეს მთლიანად მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებს აკისრებენ.

ჩავაბათ მთელი საზოგადოებრიობა საბჭოთა კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში — აი სადღეისო ამოცანა, რომელიც პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დაგვისახა.

## თავდახით ბალახაშის ზოგადი საკითხი

### ა. ნითარიშვილი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მითითებითა შესაბამისად საზოგადოებრივ გაიგონებთ ლაპარაკს იმის შესახებ, თითქოს დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში. ახლა მას შეუძლია აქტიურად ჩაერიოს თავისი წევრის საქმეში, რომელმაც ჩაიდინა ნაკლებად საშიში დანაშაული, გაუწიოს თავდებობა, იკისროს მისი აღზრდა-გამოსწორება.

სასამართლო-პროკურატურის ორგანოები თავის მხრივ ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ საზოგადოებრიობის აზრს, ფართოდ გამოიყენონ უმნიშვნელო დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებები.

ზოგჯერ გაიგონებთ ლაპარაკს იმის შესახებ, თითქოს დანაშაულობასთან ბრძოლა შესუსტდა, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში აღარ აძლევენ



საშიშ დამნაშავეებსაც კი. ამგვარ მითქმა-მოთქმას სინამდვილესთან საერთო არაფერი არა აქვს.

ახლა, როდესაც ასეული საბჭოთა მოქალაქე გასამართლებული უმნიშვნელო დანაშაულისათვის ვადაზე ადრე განთავისუფლებული დაუბრუნდა თავის საცხოვრებელ ადგილს და ეწევა პატიოსან, საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას, როცა ასეული „ეშმაკისაგან შეცდენილი“ მოქალაქის აღზრდა-გამოსწორება იკისრა კოლექტივმა და ბევრი მათგანი გამოსწორდა, არ შეიძლება არ დავინახოთ დანაშაულობასთან ბრძოლის ახალი პოლიტიკის სიბრძნე და სისწორე.

დანაშაულობასთან ბრძოლა გაძლიერებულია ისე, როგორც არასოდეს, ახლა დანაშაულობათა წინააღმდეგ, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოებთან ერთად მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა იბრძვის. დანაშაულობასთან ბრძოლის გაძლიერება მართლოდენ სასჯელის ღონისძიების გაძლიერებაში როდი მდგომარეობს, მთავარია დანაშაულის დროული პროფილაქტიკა, წვრილმან დამნაშავეთა აღზრდა-გამოსწორება, ის, რომ არცერთი დანაშაული არ დარჩეს გაუხსნელი. მოქალაქეს არ უნდა ქონდეს იმის იმედი, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაული დარჩება გამოუმჯდავნებელი და დაუსჯელი. იმისათვის, რომ საზოგადოება გავწმინდოთ დამნაშავეთაგან ყოველთვის საჭირო არ არის დამნაშავე მოვაცილოთ საზოგადოებას, პირიქით, საჭიროა მათ მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების გაძლიერება.

დანაშაულობასთან ბრძოლის ახალი პოლიტიკის სწორად განხორციელებისათვის ბევრი რამ შეუძლიათ გააკეთონ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და მშრომელთა კოლექტივებმა. კოლექტივი, რომელიც შუამდგომლობას აღძრავს მილიციის, სასამართლოს ან პროკურატურის წინაშე დამნაშავის გამოსასწორებლად აყვანის შესახებ, კარგად უნდა იცნობდეს დამნაშავის პიროვნებას, მის წარსულს, დარწმუნებული უნდა იყოს იმაში, რომ კოლექტივი შესძლებს დამნაშავის აღზრდა-გამოსწორებას, აგრეთვე მხედველობაში უნდა მიიღოს ჩადენილი დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება და სიმძიმე.

მ. მამაგულაშვილი გზაში დაუხვდა სკოლიდან მომავალ მოწაფე გოგონებს, დაიჭირა ერთი მათგანი და ძალით გააუბატურა, შემდეგ სცემა, წაართვა 300 მანეთი ფული და სხვა ნივთები, რისთვისაც 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. ქარელის რაიონის სოფელ დვანის კოლმეურნეობის საერთო კრებამ აღძრა შუამდგომლობა, იმის შესახებ, რომ მამაგულაშვილი თავდებით გადასცემოდა კოლმეურნეობას გამოსასწორებლად და აღსაზრდელად.

საქართველოს სსრ უმაღლესმა სასამართლომ საესეებით სამართლიანად უთხრა კოლმეურნეობის საერთო კრებას უარი ამ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე ვინაიდან ასეთი საზოგადოებრივად საშიში დანაშაულის ჩამდენი პირის თავდებით გადაცემა არ შეიძლებოდა.

დოკუმენტში, რომელიც იგზავნება კოლექტივის სახელით გამოხატული უნდა იყოს მთელი კოლექტივის აზრი და სურვილი. ამ დიდი საზოგადოებრივი საქმისადმი ფორმალური მიდგომა დაუშვებელია.

„საბჭოთა კანონიერებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლების შესახებ“ კანონი, პროექტით გათვალისწინებულია, რომ „შუამდგომლობა

თავდებით გადაცემის შესახებ მიიღება. მხოლოდ საზოგადოებრივი ორგანიზაციების ან მშრომელთა კოლექტივების საერთო კრებებზე“. ეს სავესებით სწორი წესი დაცული უნდა იქნეს ყოველთვის. ამიტომ წარმოება, დაწესებულების ან ორგანიზაციის, ადგილკომის თავმჯდომარის ან სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ გაცემული საბუთი-დახასიათება, შუამდგომლობა და სხვ. კოლექტივის შუამდგომლობად არ ჩაითვლება და სასამართლო მას ვერ გაიზიარებს.

პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როცა წარმოება-დაწესებულების ხელმძღვანელი მუშა მოსამსახურეთა საერთო კრებაზე საკითხის განხილვის გარეშე კოლექტივის სახელით აგზავნის შუამდგომლობას პირის თავდებით აყვანის შესახებ. ეს კოლექტივის აზრის უგულებელყოფაა. ამიტომ გამოძიებისა და სასამართლოს ორგანოებმა ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა შეამოწმონ რამდენად სწორად აღიძრა შუამდგომლობა და გამოხატავს თუ არა ის კოლექტივის სურვილს.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები შუამდგომლობის აღძვრამდე კარგად უნდა იცნობდნენ მათი წევრის მიერ ჩადენილ დანაშაულს და მხოლოდ ამის შემდეგ გამოთქვან აზრი დამნაშავეს თავდებით აყვანის შესახებ.

26 კომისრის რაიონის იურიდიული კონსულტაციის საერთო კრება დაეყრდნო ადვ. ვ. ჩიქოვანის განცხადებას იმის შესახებ, რომ ის მოსკოვში იყო კლიენტის საქმეზე მივლინების სათანადოდ გაფორმების გარეშე, რისთვისაც ადვოკატი მისცა დისციპლინურ პასუხისმგებლობაში და აღძრა ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წინაშე შუამდგომლობა არ მიიღოს მკაცრი ზომები ჩიქოვანის მიმართ და მას კოლექტივი გამოასწორობს. მაშინ როდესაც ვ. ჩიქოვანს ბრალად ედებოდა კლიენტისაგან 30.000 მან. გამოძალვა, რაც კოლექტივისათვის არ იყო ცნობილი.

კოლექტივის მოვალეობა შუამდგომლობის აღძვრით არ მთავრდება, მას შემდეგ რაც დამნაშავე გადაცემული იქნა თავდებით, კოლექტივი ვალდებულია იზრუნოს მისი გამოსწორებისათვის, განახორციელოს აღმზრდელობითი ხასიათის საჭირო ზომები და კონტროლი დააწესოს თავდებით აყვანილი პირის ქცევისადმი. მაგრამ ზოგჯერ კოლექტივები არავეითარ ზომებს არ ღებულობენ თავდებით აყვანილი პირის გამოსწორებისათვის.

ერთ-ერთი სამუშენებლო ორგანიზაციის მუშა დ. ხშირად აცდენდა სამუშაოს, დაუკავშირდა საექვო პირებს და ბოლოს ხულიგნობისათვის მიესაჯა 3 წლით თავისუფლები ალკვეთა. მსჯავრდადებულის ნათესავების თხოვნით ზემდგომ სასამართლოში გაიგზავნა კოლექტივის შუამდგომლობა და დ. თავდებით გადაეცა კოლექტივის, მაგრამ პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ დ. სამუშაოზე არ გამოცხადებულა მეორედ იქნა დაპატიმრებული ქურდობის თაობაზე. კოლექტივმა მეორედაც მოითხოვა დ-ს თავდებით აყვანა, სასამართლომ დააკმაყოფილა ეს შუამდგომლობა. სამუშაოზე არც ამჯერად გამოცხადდა დ. იმსამედ ჩაიდინა დანაშაული და დაპატიმრებულ იქნა.

მოტანილი მაგალითი იმაზე მიუთითებს, რომ კოლექტივის, რომელმაც თავდებით აყვანა დ. არავეითარი ზომები არ მიუღია მისი აღზრდა-გამოსწორებისათვის, არ დაინტერესებულა მისი საქმიანობით პატიმრობიდან ორჯერ განთა-

ვისუფლებების შემდეგაც კი. პირი, რომელმაც ვერ გაამართლა ნდობა და შეგნებულად დაადგა დანაშაულებრივ გზას არ უნდა სარგებლობდეს კოლექტივის მხარდაჭერით.

სკკპ XXI ყრილობის დირექტივების შესაბამისად სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს მიეცათ სახელმძღვანელო მითითება დანაშაულობასთან ბრძოლის ახალი პოლიტიკის სწორად წარმართვის მიზნით. ამ მითითებათა შესტად შესრულება სავსებით უზრუნველყოფს დანაშაულობასთან ბრძოლის სწორად წარმართვას.

მთავარია მკაცრი ინდივიდუალური მიდგომა, ყოველი დამნაშავის მიმართ გათვალისწინება დანაშაულის ხასიათისა, დამნაშავის პიროვნებისა, მისი ქცევა სამუშაოზე და ცხოვრებაში, გულწრფელი აღიარება, მონანიება და სხვ.

სასამართლო, პროკურატურის ორგანოები მჭიდრო კავშირში უნდა იყვნენ კოლექტივთან, ჩვენ ვფიქრობთ სწორად იქცევიან სასამართლო-პროკურატურის ის მუშაკები, რომელნიც მიდიან ადგილზე — ორგანიზაციებში, კოლექტივს აცნობენ მათი წევრის მიერ ჩადენილ დანაშაულს, სწავლობენ დამნაშავის პიროვნებას და აძლევენ სათანადო განმარტებას, რომ კოლექტივი არ შეცდეს შუამდგომლობის აღძვრისას.

დამნაშავეთა გამოსწორების საქმეში საზოგადოებრიობის როლის შეუფასებლობა პრაქტიკაში იწვევს უხეშ შეცდომებს. კოლექტივს უფლება აქვს მოითხოვოს თავისი წევრის აყვანა გამოსასწორებლად; ეს მოთხოვნა სასამართლო, პროკურატურის ორგანოებისათვის სავალდებულო არ არის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ უფლება ქონდეთ არ დააკმაყოფილონ სწორი შუამდგომლობა.

მილიციის სასამართლოს და პროკურატურის ორგანოებს კოლექტივის მიმართ ადმინისტრირების უფლება არ აქვთ. მათ არ შეუძლიათ გადასცენ კოლექტივს გამოსასწორებლად ისეთი დამნაშავე, რომლის მიმართაც შუამდგომლობა არ აღძრულა. ასევე კოლექტივს არ შეიძლება გადაეცეს გამოსასწორებლად თავისი წევრი, რომლის მიმართ შუამდგომლობა აღძრულ იყო, მაგრამ კოლექტივი მოითხოვდა სასჯელის შემსუბუქებას და არა დამნაშავის თავდებით აყვანას.

კოლექტივი შუამდგომლობას აღძრავს მას შემდეგ როცა დარწმუნდება, რომ მისმა წევრმა ჩაიდინა უმნიშვნელო დანაშაული ის აღიარებს ამას და კოლექტივი შეძლებს მის გამოსწორებას. თუ პირი საერთოდ უარყოფს დანაშაულის ჩადენას მაშინ კოლექტივმა შუამდგომლობა არ უნდა აღძრას ვინაიდან პიროვნების უდანაშაულობის მტკიცება არ შედის კოლექტივის კომპეტენციაში საწინააღმდეგოს თქმა, რომ პირი დამნაშავეა და გამოსასწორებს, მას ასეთ შემთხვევაში არ შეუძლია.

გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები თავის მხრივ კოლექტივს შუამდ-

გომლობას ასეთ შემთხვევაში ვერ დააკმაყოფილებენ, საქმეს წარმართავენ და დაამთავრებენ ჩვეულებრივი წესით.

ჩვენს პრესაში სავსებით სწორად წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, რომ მილიციის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოების მუშაობა არ უნდა დამთავრდეს კოლექტივისათვის დამნაშავეს გადაცემით არამედ ისინი კონტროლს უნდა უწევდნენ ორგანიზაციას რომელსაც დამნაშავე გადაეცა გამო-სასწორებლად, ამოწმებდნენ თუ რა ზომებს ღებულობს ის დამნაშავეს გამო-სასწორებლად.

ასევე კონტროლს უნდა უწევდნენ თავდებით გადაცემულ დამნაშავეს თუ როგორ სწორდება ის, — ამოწმებდნენ მის ქცევას დაწესებულებაში მისვლით, გამოითხოვონ დახასიათება, გამოიძახონ და ესაუბრონ პირადად და სხვ.

ამ მუშაობაში შეიძლება ჩაებათ ის ადვოკატიც, რომელიც იცავდა თავდებით გადაცემული დამნაშავეს ინტერესებს, რისი ორგანიზაციაც შეუძლიათ გამოძიებისა და სასამართლოს ორგანოებს.


## დავრახმით მთელი საზოგადოებრიობა დანაშაულობათა აღსაკვეთად

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის როლის საკითხებს მიეძღვნა თბილისის კალინინის რაიონის პარტიული აქტივის კრება.

მოსხენებით „სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმების დაცვის საქმეში რაიონის საზოგადოებრიობის მონაწილეობის მდგომარეობისა და პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ“, გამოვიდა საქართველოს კპ თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონის მეორე მდივანი, სახალხო რაზმეულთა რაიონული შტაბის უფროსი ნ. ბერიძე.

მომსხენებელმა ვრცლად ილაპარაკა რაიონში სოციალისტური მართლწესრიგის დაცვის, ამ საქმეში საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების ამხანაგური სასამართლოებისა და ქალთა საბჭოს საქმიანობის ამოცანებზე.

მოსხენებაში აღნიშნულ იქნა, რომ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნებაყოფლობითი რაზმეულების კალინინის რაიონული შტაბი, რომელიც 1.800 რაზმეულს აერთიანებს, ნაყოფიერ მუშაობას ეწევა. რაზმელთა უმრავლესობა პასუხისმგებლობით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას, გვერდს არ უვლის წესრიგის დარღვევის შემთხვევებს, ენერგიულად იბრძვის მათი დროულად აღმოფხვრისათვის. მიმდინარე წელს რაიონში გამოვლინებული, ლიკვიდირებული და დროულად აღკვეთილი იქნა წესრიგის დარღვევის 263 შემთხვევა. ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საუქეთესო მაგალითებს იძლევიან თბილისის საქალაქო საბჭოს, საქართველოს სსრ პროფსაბჭოს, განათლების სამინისტროს, „საქმშენპროექტის“ ინსტიტუტის, „კავკავპროტრანსის“, სამრეწველო კომბინატისა და სხვა დაწესებულებათა ორგანიზაციებთან არსებული სახალხო რაზმეულები.



მიმდინარე წლის 17 იანვარს „კავეგებორტრანსის“ ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის წევრებმა ა. ფარჯანაშვილმა, ა. ზალიაშვილმა, შ. ედიშერაშვილმა, გ. ვაშაქიძემ და ლ. ხოროსანოვმა რუსთაველის პროსპექტზე დააკავეს ორი მოქალაქე ა. ჯაყელი და ბ. ჩილაკაძე, რომლებიც ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდნენ ტროლეიბუსის კონტროლიორს ლ. გათენაშვილს. რაზმელებმა ბ. ჩილაკაძე და ა. ჯაყელი მილიციას ჩააბარეს, რამდენიმე დღის შემდეგ კი წესრიგის დამრღვევთა შესახებ სპეციალური წერილი გამოაქვეყნეს ვაზეთ „თბილისში“. ამავე რაზმეულის წევრებმა ნ. ქვარცხავამ და ნ. კვინიკაძემ 17 თებერვალს დააკავეს წესრიგის დამრღვევი გ. ლაშაური. იგი მთვრალი იყო და ქუჩაში გამვლელ ქალებს ფიზიკურ შეურაცყოფას აყენებდა. გ. ლაშაურიც აგრეთვე მილიციაში იქნა წარდგენილი.

გასული წლის 5 აპრილს ხულოცებმა რუსთაველის გამზირზე დანით დასტრეს გამვლელი მოქალაქე. ბოროტმოქმედნი ავტომანქანით მიმალვას შეეცადნენ, მაგრამ საქართველოს პროფსაბჭოს რაზმელებმა სოხაძემ და პატაშურმა მოასწრეს ავტომანქანის ნომრის ჩაწერა, რის შედეგად მილიციის მუშაკებმა ადვილად მიაგნეს ბოროტმოქმედთა კვალს.

რაიონის ზოგიერთი რაზმელი და რაზმეულის მეთაური, აღნიშნა მომხსენებელმა, ზერელედ და გულგრილად ეკიდება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. არის შემთხვევები, როდესაც სახალხო რაზმელები სრულიად არ გამოდიან ანდა არა სრული შემადგენლობით ცხადდებიან, სამოქმედო უბნებში სამორიგეოდ. პასიურობას იჩენენ, თვალს არიდებენ ქუჩაში უხეში გამოვლენის ფაქტებს. მიმდინარე წლის უკანასკნელ 3 თვის განმავლობაში საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის, ფინანსთა და ავტორიტრანსპორტის სამინისტროებთან, სახელმწიფო ბანკთან, საინტარისისა და ჰიგიენის ინსტიტუტთან, სახელმწიფო კონსერვატორიასთან, გზატკეცილების მთავარ სამმართველოსთან და ცენტრალურ ტელეგრაფთან არსებული რაზმეულთა წევრების მიერ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის არცერთი ფაქტი არ ყოფილა გამოვლინებული. ამავე დროს მათ სამოქმედო უბნებში მილიციის მუშაკების მიერ 38 შემ-

თხვევა იქნა აღრიცხული. „საქველმორევის“ (რაზმეულის მეთაური ტ. ნიქარაძე), ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს (რაზმეულის მეთაური თ. ჯაფარიძე) და საქართველოს სსრ სახალხო მუზეუმის (რაზმეულის მეთაური ნ. შველიძე) რაზმეულები მათთვის განკუთვნილ დღეებში გასული წლის 31 ივლისს, 12 აგვისტოსა და 22 სექტემბერს სრულიად არ გამოსულან სამორიგეოდ.

მომხსენებელმა მკაცრად გააკრიტიკა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, რომლებიც ნაკლებ კონტროლს უწევენ რაზმეულთა მუშაობას, არ ატარებენ სათანადო ინსტრუქტაჟს და პასიურ რაზმელთა საქმიანობას პრინციპული მსჯელობის საგნად არ ხდიან.

ნაკლოვანებები აქვთ თავის მუშაობაში რაზმეულთა რაიონულ შტაბსაც. შტაბის სხდომებში ტარდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, არ ხდება ჩატარებული მუშაობის პერიოდული შეჯამება, მოწინავე რაზმელთა გამოვლენა და წახალისება, მათი მუშაობის გამოცდილების განზოგადება. რაიონულ შტაბში ცოტაა გაკეთებული იმისათვის, რომ რაზმელი თავის საპატიო მოვალეობას ასრულებდეს ყოველთვის და ყველგან და არა მხოლოდ მორიგეობის დროს. ხშირად კი სახალხო რაზმელი არა სამორიგეოდ დღეს ქუჩაში ზოგიერთ მოქალაქეს უწესობისა და ხულოცობის მოწმე ხდება, მაგრამ თავს მოვალედ არ თვლის, ჩაერიოს მის აღსაკვეთად.

მომხსენებელი შემდეგ შეეხო ამხანაგური სასამართლოების მუშაობას. აღნიშნა, რომ რაიონში მოქმედებს 45 ამხანაგური სასამართლო, რომელთა ნაწილი კარგად უძღვება თავის მოვალეობას. მუშაობის კარგ მაგალითებს იძლევიან ცენტრალურ ტელეგრაფთან № 49 (თავმჯდომარე კვინტარაძე), № 52 (თავმჯდომარე სხირტლაძე) სახელმმართველობასთან და სხვა დაწესებულებებთან არსებული ამხანაგური სასამართლოები.

მაგრამ ამხანაგური სასამართლოების მუშაობაში არის სერიოზული ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი სასამართლო იჩენს პასიურობას, გამოაქვს არა სწორი გადაწყვეტილებები, ხდება ისეც, რომ თვით ამხანაგური სასამართლოების თავმჯდომარეები და წევრები არღვევენ საზოგადოებრივ წესრიგს.

1960 წელს № 2 სტამბასთან (თავმჯდომარე დალაქიშვილი), რუსთაველის თეატრთან (თავმჯდომარე აფხაიძე), კულტურის სამინისტროსთან (თავმჯდომარე სავიციკი), სახელმწიფო კონსერვატორიასთან (თავმჯდომარე ვ. ხმალაძე), კავშირგაბმულობის სამინისტროსთან (თავმჯდომარე შიშვილაშვილი) და ქალაქის ტელეფონის ქსელთან (თავმჯდომარე გოციანიძე) არსებულ ამხანაგურ სასამართლოებს არცერთი საქმე არ განუხილავთ, მაშინ, როდესაც ამ ორგანიზაციებში ადგილი ჰქონდა შრომითი დისციპლინის დარღვევის, სამუშაოს უზარისხოდ შესრულების, შვილების აღზრდის მოვალეობის უგულებელყოფის და მოხუცი მშობლებისადმი უყურადღებობის დამოკიდებულების შემთხვევებს.

№ 55 სახლმმართველობასთან არსებული ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ ბაბაჯანოვა იმის მაგიერ, რომ წესრიგისაკენ მოეწოდებინა მეზობლებისათვის, რომლებიც ჩხუბობდნენ, მან თავი გამართა მათთან მუშტიკრივი. შრომითი დისციპლინის დარღვევისათვის საყვედური აქვს მიღებული მეცნიერებათა აკადემიის სტამბის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარეს თოდუას.

აქტივის კრებაზე აღინიშნა, რომ ეს ნაკლოვანებანი საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და რაიონის პროკურატურის, სახალხო სასამართლოსა და მილიციის განყოფილებას შორის სუსტი კავშირის შედეგია.

რაიონის პროკურატურა, სახალხო სასამართლო და მილიციის განყოფილება ნაკლებად ეხმარება სახალხო რაზმელებსა და ამხანაგურ სასამართლოებს დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის საქმეში, ზოგჯერ თვითონაც სათანადოდ ვერ იბრძვიან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ.

მომხსენებელმა ილაპარაკა კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. აქ ადგილი აქვს საქმეების უზარისხოდ განხილვას, განხილვის ვადების გაჭინაურებას. გასულ წელს სასამართლოში ვადების დარღვევით განხილულ იქნა სისხლის სამართლის საქმეების 12 პროცენტი და სამოქალაქო სამართლის საქმეების 15 პროცენტი. რაიონის სახალხო სასამართლო ჯერ კიდევ

სათანადო დახმარებას ვერ უწყევს ამხანაგურ სასამართლოებს, არ ხდება გამოცდილებათა გაზიარება, ხშირად არ ეწყობა საჩვენებელი სასამართლო პროცესები და სხვ. რაც აბრკოლებს ანტი-საზოგადოებრივი გამოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობას.

მომხსენებელმა დადებითად შეაფასა ქალთა საბჭოს მუშაობა. ქალთა საბჭო პარტიის კალინინის რაიონისა და რაიონისკომის ინიციატივით ამ რამდენიმე ხნის წინ შეიქმნა. იგი 26 წევრისაგან შედგება და რაიონის მოწინავე დიასახლისებს აერთიანებს. აქვს სამი სექცია: ბავშვთა შორის მუშაობის, საყოფაცხოვრებო და კულტმასობრივი. ქალთა საბჭომ ფართო მუშაობა გააჩაღა საცხოვრებელ სახლებში საზოგადოებრივი და სანიტარული წესრიგის დამყარების, ბავშვთა შორის აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისა და რაიონის კეთილმოწყობისათვის. ამ ორგანიზაციის ინიციატივით დიასახლისებისათვის ეწყობა ლექცია-მომხსენებები. მათ გამოავლინეს ანტისანიტარიისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის, მოსწავლე ბავშვების მიერ გაკეთილების ვადენის მრავალი ფაქტი.

მაგრამ ქალთა საბჭოს შეუძლია, — როგორც ეს მომხსენებელმა აღნიშნა, — რომ უფრო ეფექტიურ ძალას წარმოადგენდეს წესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ. ამისათვის საჭიროა ამ ნებაყოფლობითი ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ, სექციის ხელმძღვანელებმა უფრო გაბედულად იბრძოლონ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა აღმოსაფხვრელად.

მომხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი. საქართველოს სსრ ავტორტრანსპორტის სამინისტროსთან არსებული ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულის უფროსმა ა. გასვიანმა, საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებული სახალხო რაზმეულის წევრმა ვ. ძაგანიამ მეტი დახმარება მოითხოვეს მილიციისა და პროკურატურის ორგანოებისაგან. წამოაყენეს წინადადება, შემოღებულ იქნას წამახალისებელი ღონისძიებანი მოწინავე რაზმელთათვის, აღიძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოებთან, რაზმეულების საქმიანობა გაშუქდეს პრესის ფურცლებზე, მოხდეს ვადაცემები რადიოსა და ტელეხედვის მეშვეობით.



„საქგვიპროქალაქმშენის“ საპროექტო ინსტიტუტის დირექტორმა ა. საბაშვილმა მოიყვანა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის რამდენიმე მაგალითი, რომლებიც მძიმე დანაშაულში გადაიზარდნენ. მაგალითად, მიმდინარე წლის 14 სექტემბერს ღამის საათებში ცენტრალური ტელეგრაფის გვერდით მოსწავლეები ომარ გიგიაძე და ზურაბ მეღვინეთუხუცესი შეეკამათნენ ერთმანეთს. მათ ყურადღება არავინ მიაქცია. წაკამათება ჩხუბში გადაიზარდა და დამთავრდა იმით, რომ ო. გიგიაძემ დანით სასიკვდილო დასჭრა ზ. მეღვინეთუხუცესი. იმ დროს იქ არც მილიციის მუშაკები იმყოფებოდნენ და არც საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან არსებული სახალხო რაზმეულის წევრები რომელთაც იქ უნდა ემორიგებათ. 7 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე რუსთაველის გამზირსა და ლუნაჩარსკის ქუჩის გადაკვეთაზე სამმა ბოროტმოქმედმა დანით მძიმე დასჭრა 21 წლის გოგონა მინადორა მანაგაძე. არც აქ აღმოჩნდნენ მილიციის მუშაკები, თეატრალური ინსტიტუტის მორიგე რაზმელები. ამის გამო, ბოროტმოქმედნი დღესაც დაუდევრელი არიან. ა. საბაშვილმა მოითხოვა, ისეთი ფაქტების თავიდან ასაცილებლად პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი მოთხოვნილება წაუყენონ რაზმეულების მუშაობას, ხოლო რაიონის მილიციის განყოფილებაში მეტი უნარი გამოიჩინოს ანტისაზოგადოებრივი გამოვლენათა აღმოსაფხვრელად, უფრო მეტი დახმარება გაუწიოს რაზმეულებს მუშაობაში.

რაიონის პროკურორმა შ. რეხვიაშვილმა გააკრიტიკა რაიონის მილიციის, პროკურატურისა და სახალხო სასამართლოს მუშაობა. აღნიშნა, რომ რაიონის მილიციის განყოფილების ახალმა ხელმძღვანელობამ მუშაობა გააძლიერა ანტისაზოგადოებრივი დამახინჯებათა წინააღმდეგ, თუმცა საქმეთა გახსნის, გაჭიანურების შემთხ-

ვევებს ახლაც აქვს ადგილი. მაგალითად, მინადორაში 15 გაუხსნელი საქმეა ქურდობის, მოქალაქეთა დაქრისა და სხვათა შესახებ. მან თქვა, რომ დანაშაულობანი ძირითადად ლოთობის შედეგად ხდება. ხულიგნობის, დაქრის და მკვლელობის შემთხვევების 89 პროცენტი სიმთვრალის დროს არის ჩადენილი, ამაში დანაშაული მიუძღვით რესტორნებისა და სასადილოების ხელმძღვანელებსაც, რომლებიც არღვევენ განრიგს და შრთულ მოქვიფეთა გულისთვის განკუთვნილ დროს არ კეტავენ თავიანთ ობიექტებს.

საქართველოს ალკა თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიონის მდივანმა ილაპარაკა რაიონის კომკავშირელთა როლზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში. შეეხო რა სატირული ემპირისტული გახეთის „ლახტის წრის“ მუშაობას თქვა, რომ იგი გაცილებით უკეთ გაუძღვებოდა თავის მოვალეობას, ზოგიერთი ორგანიზაციის კომკავშირელები რომ მეტ დანეტერესებას იჩენდნენ. კერძოდ ეს ეხება სამხატვრო აკადემიის ახალგაზრდობას და ახალგაზრდა მწერლებს მწერალთა კავშირიდან. მათი აქტიური მონაწილეობა „ლახტის წრეს“ უფრო საქმიანს, უფრო გამოკვეთილსა და ბუნებრივია, უფრო შედეგიანს გახდიდა.

ქალაქის № 52 სახლმმართველობასთან არსებული ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარემ ა. კვენტრაძემ მოითხოვა, რომ დაისვას საკითხი ამხანაგური სასამართლების დებულების შემუშავების შესახებ. მან აღნიშნა, რომ დღემდე სახლმმართველობებთან არსებული ამხანაგური სასამართლები ძირითადად იზიარებენ საკითხებს მეზობელთა შეურაცყოფისა და მათი შერიგების შესახებ, უფრო მიზანშეწონილი იქნება ისეთი საკითხების განხილვაც, როგორცაა მეზობლებს შორის დავალიანების გამო, წვრილმანი მატერიალური ნაზღაურობა, ბინის ქირის გადაუხდელობა და სხვა.

შ. შ.



საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ ამასწინათ გამოცემულმა ბრძანებულებამ უსაქმურთა და ანტისაზოგადოებრივი ელემენტების საცხოვრებელი ადგილიდან დროებით გასახლების შესახებ დიდი შოწონება პოვა ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებში. „ვიც არ მუშაობს ის არც სჭამს“, „ყოველი უსაქმური და მუქთახორა ჩვენი შემარცხვენელია“, „ანტისაზოგადოებრივი ელემენტებს ჩვენს შორის ადგილი არა აქვს“ — ასეთი დევიზებით დაიწყეს ადგილობრივმა ორგანოებმა, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და კოლექტივებმა ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების ცხოვრებაში გატარება.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების რაიონული აღმასკომების მუშაობის ერთერთი აქტუალური საკითხია გაშლილი ბრძოლა ლობიძის, სპეკულაციისა და სხვა ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ. რაიონული აღმასკომები საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მშრომელთა კოლექტივებისა და სხვათა უშუალო დახმარებითა და მხარდაჭერით სისტემატურად იხილვენ საკითხს უსაქმურებისა და მუქთახორების შესახებ, ამხელენ მათი ქცევის შეუთავსებლობას ჩვენს საზოგადოებაში, მთელი სიმკაცრით აკრიტიკებენ გამოუსწორებლებს, გამოაქვთ გადაწყვეტილებანი იძულებითი წესით მათი საცხოვრებელი ადგილიდან დროებით გასახლების შესახებ.

თბილისში სულხანიშვილის ქუჩა № 8-ში მცხოვრები ალბერტ ჩიმიანიანი სპეციალობით ზეინჰალია. მრავალი საბჭოთა ადამიანი ამ საბატიო წოდებას სიამაყით ატარებს, ა. ჩიმიანიანისთვის კი იგი „დამამიკრებელი“ აღმოჩნდა. მან ზეინკლის პატიოსან შრომას მღაზიებში ხეტიალი და სპეკულაცია არჩია. ა. ჩიმიანიანის ეს ანტისაზოგადოებრივი მოქმედება მხედველობიდან არ გამოჩნდა ქ. თბილისის მილიციის კიროვის რაიონული განყოფილების მუშაკებს. იგი მრავალჯერ გააფრთხილეს, ერთხელ კი პასუხისმგებელი იქნა მიცემული, მაგრამ არაფერმა არ გასკრა. მან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას სრულიად შეაქცია

ზურგი. მილიციის კიროვის რაიონული განყოფილება იძულებული გახდა ა. ჩიმიანიანის საქმე კიროვის რაიადმასკომისათვის გადაეცა. საზოგადოებრივი ორგანიზაციების მოთხოვნით და რაიონული მილიციის წარდგინებით რაიადმასკომმა თავის სხდომაზე ა. ჩიმიანიანთან ერთად განიხილა აგრეთვე მისანიკოვის ქუჩა № 65-ში მცხოვრები ლოთი, უსაქმური გიორგი ასლამაზოვისა და მირზა შაფი ვაზახის ქუჩა № 28-ში მცხოვრები სპეკულაციისათვის პასუხისმგებაში ნამყოფი აბრამ პატარაკაციშვილის საქმეები. როგორც გამოუსწორებელი უქნარები გასახლებული იქნენ თბილისიდან ქიათურაში. ა. პატარაკაციშვილი ექვსი თვით, ა. ჩიმიანიანი და გ. ასლამაზოვი თითო წლით.

გასული წლის 24 ოქტომბერს თბილისის მშრომელთა დეპუტატების კალინინის რაიონის საბჭოს აღმასკომის სხდომაზე უსაქმურთა საქმეს ახილავდნენ, მათ შორის დავითაშვილის ქუჩა № 8-ში მცხოვრები ელენე არუსტანიანის საქმესაც. იგი ერთხელ უკვე ნასამართლავი იყო — 1957 წელს წელიწადნახევრით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მისილი, მაგრამ აქედან სათანადო დასჯენები როდი გამოიჩინა. 1958 წლის ივნისიდან სრულიად გაექცა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას. პენსიონერი მამისა და დის კმაყოფაზე გადასულმა უსაქმური ხეტიალი დაიწყო ქუჩებში, უყურადღებოდ ტოვებდა მშოლიარე, ავადმყოფ მამასაც კი. მისმა ქცევამ მეზობლები აღაშფოთა და გასახლება მოითხოვეს. და აი რაიადმასკომის სხდომაზე სპეკითხი დაისვა თბილისიდან მისი ორი წლით გასახლების შესახებ. ახალა მიხვდა თავის დანაშაულს. გულწრფელი აღთქმა დადო გამოვსწორდებო. სხდომაზე იმსჯელეს, მხედველობაში მიიღეს მის მიერ დადებული პირობა და გასახლება დროებით შეაჩერეს. ე. არუსტანიანმა სიტყვა გაამართლა, ათი დღეც არ იყო გასული, რომ მისმა მეზობლებმა, რომლებიც ადრე არუსტანიანის ყოფაქცევით აღშფოთებულნი თვითონ მოითხოვდნენ მის გასახლებას, რაიადმასკომს



თხოვეს ელენე არუსტანიანი საბოლოოდ დაეტოვებინათ თბილისში. „უკანასკნელ დღეებში ისე გამოიკვალა, რომ კარგის მეტი არაფერი გვეთქმის“ — განაცხადეს მათ. თვითონ ე. არუსტანიანმა პირობა დადო, რომ როგორც კი მამას მოარჩენდა, მაშინვე მუშაობას დაიწყებდა.

რაილმასკომმა დავითაშვილის ქუჩა № 8-ში მცხოვრებთა თხოვნა დააკმაყოფილა.

ხშირად თვრებოდა თბილისის კალინინის რაიონში მცხოვრები კ. ცაგარელი. მან ცოლი მიატოვა და ქუჩებში უსაქმური ხეტიალი დაიწყო. ხეტიალი რომ მოსწყინდებოდა, მთვრალი ყოფილ ცოლს მიაკითხავდა და შეურაცყოფას აყენებდა. ბოლოს კ. ცაგარელიც ჩაუფიქრდა თავის საქციელს, რაილმასკომს აღუთქვა, რომ ლოთობას თავს დაანებებდა და პატიოსან მუშაობას მოკიდებდა ხელს.

მაგრამ ასე როდი მოიქცნენ ამავე რაიონში მცხოვრებნი ტ. ცანავა, ა. სააკიანი, ბ. ფარაჯიანი და ზ. ფიზიკი. მაშინ, როდესაც რაილმასკომის სხდომაზე მსჯელობდნენ მათ უქნარობაზე, უწესო ქცევებზე, ანტისაზოგადოებრივ გამოსდომებზე, თავი გამოწვევად და თავზედურად ეჭირათ. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ დაეგმოთ თავიანთი უწესო ქცევები, უსაქმურობა, ლოთობა და ქუჩებში წაწალი. რაილმასკომმა სათანადოდ შეაფასა მათი ანტისაზოგადოებრივი მოქმედება და თბილისიდან ჰიათურაში გასახლება გადაუწყვიტა თვითეულს ორი წლით.

მრავალი გაფრთხილების მიუხედავად უსაქმურობას განაგრძობდნენ და პატიოსან შრომას გაუბრუნდნენ თბილისის ორჯონიკიძის რაიონში

მცხოვრები სურენ ოგანეზოვი (ჯავახიშვილი ქუჩა № 38), ანზორ ბოხუა (კომინტერნის ქუჩა № 45), კუზმა სიდოროვი (კოლხიდის III შესახვევი), რომლებიც ორჯონიკიძის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის მიერ ჰიათურაში იქნენ გასახლებულნი ორ-ორი წლით. საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნითა და მილიციის რაიონული განყოფილების წარდგენით თბილისიდან გასახლეს აგრეთვე ამავე რაიონში მცხოვრები უსაქმურები ფოტი ანტონოვი (ზემო ვეძისის დასახლება № 15) ორი წლით წალკის რაიონში, ლილი ანთიძე (ნიკო ნიკოლაძის ქუჩა № 2) — ორი წლით ზუგდიდის რაიონის ხეთერის საბჭოთა მეურნეობაში, აკაკი ჩოქური (ახალშენის ქუჩა № 8) — ერთი წლით ჰიათურაში.

სამწუხაროდ, დღეს ჩვენში კიდევ არიან ერთეული ადამიანები, რომლებიც გაუბრუნ პატიოსან შრომას. ცხოვრობენ მშობლებისა და ნათესავების იმედით, ეწევიან სპეკულაციას, თავს იქცევენ დილიდან საღამომდე გამზირებზე უსაქმური ხეტიალით, ყოყლოჩინობენ, გამველ-გამომველთ შეურაცყოფას აყენებენ ცინიკურად უქცევიან მათ. მათთვის არ არსებობს არავითარი საზოგადოებრივი ინტერესი, არ სურთ პატიოსანი შრომით საპატიო წვლილი შეიტანონ ჩვენი ქვეყნის წინსვლის საქმეში.

მისასალმებელია ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების მიერ აქტიური ბრძოლის გაჩაღება ყოველი ანტისაზოგადოებრივი ელემენტის წინააღმდეგ.

გ. შოთაძე

## საქალაქო კომისიის მიერ ინიციატივით დაწესებული წინააღმდეგ ბრძოლის გეგმარეზიუმე

საქართველოს კვ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებმა განახორციელეს ღონისძიებანი დანაშაულობათა და ანტისაზოგადოებრივ მოქმედებათა გამოსავლინებლად და აღსაკვეთად. 1960 წელს 1959 წელთან შედარებით ქალაქში დანაშაულობათა ჩადენის შემთხვევები შემცირდა 13 პროცენტით, ხოლო მსჯავრდადებულ პირთა რიცხვი 29 პროცენტით.

სახალხო სასამართლოები იმ პირებს, რომლებმაც პირველად ჩადინეს ნაკლებად მძიმე დანაშაული, უფარდებენ სასჯელის ზომას, რაც თავისუფლების აღკვეთასთან არ არის დაკავშირებული, ხოლო საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები უფრო აქტიურ როლს ასრულებენ საბჭოთა კანონიერების განმტკიცების საქმეში.

ბიუროზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არადაამკაცყოფილებლად წარმოებს ბრძოლა განსაკუთრებით საშიში ხასიათის დანაშაულობათა და ანტისაზოგადოებრივ გამოვლინებათა აღსაკვეთად.

სისხლის სამართლის დანაშაულებებს უმეტეს შემთხვევაში ჩადიან ისეთი პირები, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. სისხლის სამართლის 22 დანაშაულებით, რომლებიც პასუხისმგებლობაში იქნენ მიცემულნი, წინათ ნასამართლვეი არიან. კვლავ გრძელდება ახალგაზრდების მიერ სისხლის სამართლის დანაშაულებათა ჩადენის შემთხვევები. მილიციისა და პროკურატურის ორგანოების არაოპერატიულობისა და გამოძიების დაბალი ხარისხის გამო ქალაქში მომხდარ დანაშაულებათა მრავალი საქმე გაუსხნელია.

განსაკუთრებით ცუდად არის დანაშაულებათა გახსნის მდგომარეობა მილიციის I და II ქვეგანყოფილებებში. არადაამკაცყოფილებლად წარმოებს ბრძოლა ავტოვარების მომხდენ პირთა და ავტომობილტურთა წინააღმდეგ, რაც ავტონისპექციის (უფროსი ვ. თელია) სუსტ მუშაობაზე მეტყველებს.

სასამართლო და პროკურატურის ორგანოებში კვლავ აქვს ძდგილი საქმეთა გამოძიებისა და განხილვის ვადების უხეშად დარღვევის, უსაფუძვლოდ გამოძიებაში დაბრუნების და საქმეთა უხარისხოდ გამოძიების შემთხვევებს. მაგალითად, მიმდინარე წლის 6 თვეში პროკურატურის გამოძიებულთა მიერ ვადების დარღვევით იქნა დამთავრებული სისხლის სამართლის 23 საქმე, ხოლო უხარისხოდ ჩატარებული გამოძიების გამო სასამართლოებმა დამატებით გამოძიების ჩასატარებლად დაუბრუნეს სისხლის სამართლის 5 საქმე. ასევე სახალხო სასამართლოებიც რიგ შემთხვევებში უსაფუძვლოდ უბრუნებენ საგამომძიებლო ორგანოებს სისხლის სამართლის საქმეებს.

არის შემთხვევები, როცა სასამართლოები წარმოებაში ლებულობენ არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებს. მაგალითად, მოსამართლე ბ. სტურუამ მსჯავრი დასდო მოქ. ლ. ტიკარაძეს და სხვებს საქართველოს სსკ 75 მუხლის II ნაწილით, 72 მუხლის I ნაწილით, თუმცა მას ამის საფუძველი საქმის უხარისხოდ გამოძიების გამო არ გააჩნდა. ამის გამო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ უსწოროდ და კანონსაწინააღმდეგად ჩათვალა აღნიშნული განაჩენი და გააუქმა იგი.


ბიუროზე აღინიშნა, რომ როგორც საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ბრძოლა დანაშაულობათა წინააღმდეგ და ამ მიმართულებით მუშა-მოსამსახურეთა შორის აღმზრდელობითი მუშაობა, რის შედეგად უკანასკნელ პერიოდში გაიზარდა სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-დატაცების შემთხვევები.

იმის გამო, რომ საწარმო-დაწესებულებებში საჭირო ყურადღებას არ აქცევენ მშრომელთა აღზრდის საქმეს, საჭირო კონტროლს არ აწესებენ მუშაკების ქცევებზე, ხშირ შემთხვევებში დანაშაულს ჩადიან სამრეწველო საწარმოების და დაწესებულებების ახალგაზრდა მუშაკები. 5 ივლისს საავტომობილო ქარხნის მუშამ შ. ზურაბიშვილმა დანით დაჭრა ამავე ქარხნის მუშა გ. თაბუკაშვილი, ხოლო 7 აგვისტოს რძის ქარხნის მუშამ მ. მაჭარაძემ დაჭრა სამრეწველო კომბინატის მუშა ა. ხინგავა და სხვა.

შემოწმებამ ცხადყო, რომ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებია ამხანაგური სასამართლოების და საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების მუშაობაში.

ბიუროზე აღინიშნა, რომ დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობა ქალაქში ჯერ კიდევ არაღამაკმაყოფილებლად წარმოებს, ამ საქმეში არ არის ჩამხული ფართო საზოგადოებრიობა და მშრომელთა კოლექტივები, ხოლო ზოგ პირველად პარტიულ ორგანიზაციას ავიწყდება, რომ საბჭოთა კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისა და დანაშაულების თავიდან აცილების უზრუნველსაყოფად გადამწყვეტი მნიშვნელობა მათ ენიჭებათ.

საქალაქო კომიტეტის ბიურომ დასახა ღონისძიებანი ქალაქში დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად.



# სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტის

## ორგანიზებას უწყობს პრეტსესიას

### სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

1960 წლის 29 ნოემბრის

#### დ ე ბ ე ნ ი ლ მ ე ბ ა № 7

„ფასების მასშტაბის შეცვლისა და ამჟამად მიმოქცევაში არსებული ფულის ახალი ფულით შეცვლაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 მაისის დადგენილებების სასამართლოების მიერ აღსრულების წესის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 4 მაისის დადგენილების შესაბამისად 1961 წლის 1-ლ იანვრიდან იცვლება ფასების მასშტაბი და მიმოქცევაში გამოვებულ იქნება ახალი ფული. ძველი ნიმუშის ფული უნდა შეიცვალოს ახალ ფულზე შეფარდებით: ძველი ნიმუშის 10 მანეთი ახალი ნიმუშის 1 მანეთად. ფასების მასშტაბის შეცვლასთან დაკავშირებით გადაანგარიშებული იქნება საქონლის ფასები, მომსახურების ტარიფები, ხელფასის განაკვეთები და სატარიფო განაკვეთები, პენსიები, დახმარებები და მშრომელთა სხვა სახის შემოსავალი.

ცალკე მოქალაქეთა დავალიანების ოდენობა ორგანიზაციების წინაშე, აგრეთვე ორგანიზაციების დავალიანების ოდენობა ცალკე მოქალაქეთა წინაშე 1961 წლის 1 იანვრისათვის გადაანგარიშება შეფარდებით: ათი — ერთზე. ასეთივე შეფარდებით გადაანგარიშება მოქალაქეთა ურთიერთი დავალიანების ყველა სახეობა.

ამასთან და ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა: ფულადი თანხების გადახდევინების წესი ფასების მასშტაბის შეცვლის შემდეგ, 1961 წლის 1 იანვრამდე გამოტანილ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების წესი, აგრეთვე ჭარიმების, სახელმწიფო ბუჟისა და სასამართლოს სხვა ხარჯების გადახდევინების წესი, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმში აღდგენს მიეცეთ სასამართლოებს შემდეგი განმარტება:

1. 1961 წლის 1 იანვრიდან, როდესაც გამოიტანება განაჩენები სისხლის სამართლის საქმეებზე ქონებრივი გადახდევინების ნაწილში, სასამართლო გადაწყვეტილებები სამოქალაქო საქმეებზე, განჩინებები და დადგენილებები იმ ფულადი თანხების გადახდევინებაზე (სხვადასხვა სახის გადასახდელის გამოანგარიშებისას, ქონების ღირებულების, ჯარალის ანაზღაურების განსაზღვრისას და ა. შ.). რომლებიც გამოანგარიშებულია ძველი ნიმუშის ფულადი ნიშნებით, სასამართლოებმა უნდა განსაზღვრონ გადასახდელი თანხა შეფარდებით: ახალი ნიმუშის ფულის ერთი მანეთი ძველი ნიმუშის ფულის 10 მანეთად.


ასეთივე შეფარდებით გადაანგარიშება იმ სასამართლო განაჩენებით, გადაწყვეტილებებით, განჩინებებით და დადგენილებებით გადასახდევინებელი თანხები, რომლებიც გამოტანილია 1961 წლის 1 იანვრამდე, მაგრამ სისრულეში არ არის მოყვანილი.

გადაანგარიშებას ახდენენ ორგანიზაციები, რომელთა აღსრულებაზეა სააღსრულებო საბუთები. სასამართლო განჩინების გამოტანა გადაანგარიშების საკითხებზე საჭირო არ არის.

2. სახელმწიფო ბუჟი საქმის წარმოებისათვის 1961 წლის 1 იანვრიდან გადახდევინებული იქნება იმ ოდენობით, რომელიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს 1960 წლის 11 ივლისის ინსტრუქციით „სახელმწიფო ბუჟის შესახებ“.

3. სხვა სასამართლო ხარჯებისა, აგრეთვე სასამართლოს მიერ დადებული ჭარიმების ოდენობა უნდა განისაზღვროს 1961 წლის 1 იანვრის შემდეგ ფასების მასშტაბის შეცვლის გათვალისწინებით შეფარდებით: ათი — ერთზე.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ბ. გორაკინი  
სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი ი. ბრიზანინი.



# სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის

1960 წლის 2 დეკემბრის

## დ ე დ ე ნ ი ლ ე ბ ა № 8

### გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ზოგიერთი საკითხის შესახებ

გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის განვითარების შედეგები გვიჩვენებს, რომ სასამართლოები ძირითადად სწორად წყვეტენ საქმეებს ამ დანაშაულთა შესახებ, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლა სასამართლო ორგანოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

ამასთან ერთად, ამ საქმეთა განხილვისას ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს, რომლებსაც მთელ რიგ შემთხვევებში მიყვებვართ ბრალეულობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სასჯელის ზომის განსაზღვრის საკითხების არასწორ გადაწყვეტამდე. შეცდომები, რომლებსაც უშვებენ სასამართლოები, ძირითადად წარმოადგენს საქმის გარემოებათა არასაკმარის სრული გამოკვლევის, სამართალში მიცემულის მოქმედებებისა და მისი განზრახვის მიმართულების არასწორი შეფასების შედეგად.

ცალკეული სასამართლოები სათანადოდ არ აფასებენ გაუპატიურების საზოგადოებრივ საშიშროებას და დაუსაბუთებლად უფარდებენ სასჯელის მსუბუქ ზომებს დანაშაულის სიმძიმისა და სამართალში მიცემულის პიროვნების მხედველობაში მიღების გარეშე.

დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში არ არის ჭკუფური გაუპატიურების, როგორც დამამძიმებელი ნიშნის, ერთნაირი გაგება.

სასამართლოები ხშირად უშვებენ შეცდომებს გაუპატიურების მცდელობის შესახებ საქმეთა განხილვისას. ზოგიერთ შემთხვევაში სასამართლოები, კანონის საწინააღმდეგოდ, დანაშაულის ჩადენისაგან ნებაყოფლობით ხელის აღებას განიხილავენ არა ისეთ გარემოებად, რომელიც გამორიცხავს პასუხისმგებლობას გაუპატიურების მცდელობისათვის, არამედ მხოლოდ შემამსუბუქებელ გარემოებად.

აღინიშნება შემთხვევები, როცა სასამართლოები არაკრიტიკულად აღიქვამენ დაზარალებულთა განცხადებებს მათ მიმართ გამოყენებული ძალადობის შესახებ, აღწევენ რა ამ განცხადებებს, წინააღმდეგ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-17 მუხლის მოთხოვნებისა, უდავო და გადამწყვეტ მნიშვნელობას, საქმის სხვა მასალების მხედველობაში მიღების გარეშე, რომლებიც უარყოფენ დაზარალებულთა განცხადებებს. ამასთანავე არ ხდება საქმის გარემოებათა და სამართალში მიცემულის და დაზარალებულის ურთიერთდამოკიდებულების სათანადოდ გამოკვლევა.

სასამართლო პრაქტიკაში აღინიშნება დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი გაუპატიურების შესახებ სისხლის სამართლის საქმეთა აღქმის პირობების დარღვევის ხშირი შემთხვევები.

გაუპატიურების საქმეებზე სასამართლო პრაქტიკაში ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი ადგენს მიეცეს სასამართლოებს შემდეგი სახელმძღვანელო განმარტებანი:

1. მიეცეს სასამართლოების ყურადღება ისეთ მძიმე დანაშაულთან გადამწყვეტი ბრძოლის წარმოების აუცილებლობას, როგორც არის გაუპატიურება, რათა არ იქნას დაშვებული დაუსაბუთებელი შერბილება პასუხისმგებლობისა იმ პირთა მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს ეს დანაშაული, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა დანაშაული ჩადენილია დამამძიმებელ გარემოებებში.

2. სასამართლოები გაუპატიურების შესახებ საქმეთა განხილვისას, ისევე როგორც ყველა სხვა საქმეზე ვალდებული არიან მკაცრად იხელმძღვანელონ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლების მე-14 და მე-17 მუხლების მოთხოვნებით საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის აუცილებლობის შესახებ მათს ერთობლიობაში, ამ კატეგორიის საქმეთა თავისებურებების

მხედველობაში მიღებით, გულმოდგინედ გამოარკვიონ შემთხვევის ვითარება და სასამართლოში მიცემულის და დაზარალებულის ურთიერთ დამოკიდებულება.

8. განმარტებულ იქნას, რომ გაუპატიურების, როგორც ჭგუფის მიერ ჩადენილის, დაკვალიფიცირებას შესაძლოა ადგილი ექნეს იმ შემთხვევაში, როცა გაუპატიურებაში მონაწილეობის მიმღები პირები მოქმედებდნენ შეთანხმებულად დაზარალებულის მიმართ, ამასთან როგორც ჭგუფური გაუპატიურება დაკვალიფიცირებულ უნდა იქნას არა მხოლოდ იმ პირთა მოქმედებანი, რომლებმაც უშუალოდ ჩაიდინეს ძალადობითი სქესობრივი აქტი, არამედ აგრეთვე იმ პირთა მოქმედებანიც, რომლებმაც ხელი შეუწყეს მათ დაზარალებულის მიმართ ძალადობის გამოყენების გზით.


4. ფიზიკური ძალადობის გამოყენებით გაუპატიურების მცდელობის შესახებ საქმეთა გადაწყვეტის დროს სასამართლოებმა უნდა დაადგინონ, მოქმედებდა თუ არა სამართალში მიცემული სქესობრივი აქტის შესრულების მიზნით და წარმოადგენდა თუ არა მის მიერ გამოყენებული ძალადობა ამ მიზნის მიღწევის საშუალებას. დამნაშავეს მოქმედებანი მხოლოდ ამ გარემოებათა არსებობისას შეიძლება განხილულ იქნას როგორც გაუპატიურების მცდელობა. ამასთან დაკავშირებით აუცილებელია გაუპატიურების მცდელობა განსხვავებულ იქნას სხვა დანაშაულებრივ ხელყოფათაგან, რომლებიც ვნებას აყენებენ ქალის პიროვნების პატიოსნებას, ღირსებასა და ხელშეუხებლობას (ხულიგნობა, სხეულის დაზიანებათა მიყენება, შეურაცყოფა და სხვა).

5. სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის შესაბამისად გაუპატიურების ჩადენისაგან ნებაყოფლობით ხელის აღება განხილული უნდა იქნას არა როგორც ბრალის შემამსუბუქებელი გარემოება, არამედ როგორც ისეთი გარემოება, რომელიც გამოირიცხავს პასუხისმგებლობას მოცემული დანაშაულის ჩადენის მცდელობისათვის. მსგავს შემთხვევებში პირს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა გაუპატიურების მცდელობისათვის და მან შეიძლება პასუხი აგოს მის მიერ ფაქტიურად ჩადენილი მოქმედებისათვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს ეს მოქმედება შეიცავს სხვა დანაშაულის შედგენილობას. ამასთან ერთად, სასამართლოებმა მხედველობაში უნდა იქონიონ, რომ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ნებაყოფლობითად და, მაშასადამე, პასუხისმგებლობის გამოირიცხველად ისეთი ხელის აღება, რომელიც გამოწვეულია დანაშაულებრივ მოქმედებათა შემდგომი განგრძობის შეუძლებლობით, იმ მიზეზების გამო, რომლებიც წარმოშობილია დამნაშავეს ნების გარეშე.

6. მიექცეს სასამართლო ორგანოების განსაკუთრებული ყურადღება მათ მოვალეობას მკაცრად დაიცვან კანონის მოთხოვნები დამამძიმებელ გარემოებათა გარეშე ჩადენილი გაუპატიურების თაობაზე სისხლის სამართლის საქმეთა აღძვრის წესის შესახებ. სისხლის სამართლის ასეთი საქმის აღძვრის საფუძველს, დაზარალებულის წერილობითი განცხადების არარსებობისას, შეიძლება წარმოადგენდეს მისი ზეპირი განცხადება, რომელიც შეტანილია ოქმში იმ წესით, რაც გათვალისწინებულია მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების სათანადო მუხლებით. დაზარალებულის საჩივრის არარსებობისას მსგავსი საქმეები უშუალოდ პროკურორის მიერ შეიძლება აღძვრულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, რომლებიც სპეციალურად არის გათვალისწინებული მოკავშირე რესპუბლიკების პროცესუალური კანონმდებლობით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — ბ. გორკინი

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მდივანი — ი. გრიშანიძე



# მკაცრად დავსაჯოთ ჩინილივიზიზმი და განსაკუთრებით საშოვი დანაშაულის ჩამდანი პიკაუბი

## ა. იოზიძე,

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე.

საზოგადოებრიობის მზარდი მონაწილეობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, აქტიური ზეგავლენა იმ პირებზე, რომლებიც არღვევენ საბჭოთა კანონებს და სოციალისტურ მართლწესრიგს, უდაოდ დადებით გავლენას ახდენს სახალხო სასამართლოების მთელ საქმიანობაზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციების შემდგომი ჩაბმა დანაშაულობასთან ბრძოლაში, პროფილაქტიკური მუშაობის მკვეთრად გაძლიერება, აღსაზრდელად მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივებზე იმ პირების გადაცემა, რომლებმაც ჩაიდინეს ნაკლებად საშიში ხასიათის დანაშაულობანი — ყოველივე ეს უმნიშვნელოვანესი ღონისძიებებია, რაც მომავალში შეუსუსტებლად უნდა განახორციელონ სასამართლოებმა.

ამასთანავე კომუნისტური პარტიის მითითებათა განუხრელად შესრულება გულისხმობს აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებასთან ერთად სასამართლოებმა კანონის მთელი სიმკაცრით დასაჯონ რეციდივისტები და ის პირები, რომლებმაც ჩაიდინეს მძიმე, განსაკუთრებით საშიში დანაშაულობანი, როგორცაა სოციალისტური ქონების მტაცებლობა, ძარცვა, ბანდიტიზმი, პიროვნების ჯანმრთელობის ხელყოფა, გაუპატიურება, ბოროტეული ხულიგნობა და ა. შ.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო მთელი პასუხისმგებლობით ეკიდება მის წინაშე მდგომი სერიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელებას, მართლმსაჯულების მახვილს სწორად წარმართავს იმ პირების მიმართ, რომლებმაც ჩაიდინეს საშიში დანაშაული. ამის საილუსტრაციოდ ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. ვინმე ვლადიმერ ლენტორის ძე წიგნაძე სპეკულაციისათვის ადრე იყო მსჯავრდადებული და შეფარდებული ჰქონდა თავისუფლების აღკვეთა 5-წლის ვადით. პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ მან ხელი არ მოჰკიდა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას და სხვადასხვა საეჭვო მაქინაციებით ირჩენდა თავს. 1960 წლის 10 მაისს მან თავის ნაცნობ რუბენ ჩიკვაშვილთან ერთად დალია ღვინო, შეზარხოშებულმა და აზარტში შესულმა ამფსონებმა სცემეს ერთმანეთს, რა დროსაც წიგნაძემ დანა 2-ჯერ დაარტყა ჩიკვაშვილს გულმკერდის არეში და ეს უკანასკნელი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. სასამართლომ აღნიშნული დანაშაულისათვის ვ. წიგნაძეს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 15-წლის ვადით, აქედან 5-წელი ციხეში მოხდით.

1959 წლის 8-მარტს, მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ამბერკი ივანეს ძე მელქაძე გზაზე დახვდა კ. ჯავახიძეს, რომელსაც შეელაპარაკა, ხოლო შემდეგ დანით სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა ჭრილობები, რის შედეგად კ. ჯავახიძე იქვე გარდაიცვალა. ა. მელქაძე შეეცადა სასამართლო პროცესზე არ მიეცა ჩვენება და შეემსუბუქებია მდგომარეობა, მაგრამ ამაოდ. სასამართლომ 1960 წლის 5-ივლისს გადაგვარებულ ა. მელქაძეს 15-წელი პატიმრობა მიუსაჯა.


1960 წლის მაისში მიხეილ ამბროსის ძე ბერიკაშვილი იმყოფებოდა ქორწილში, სადაც ღვინით გამოთვრა და დილით წამოვიდა შაუმიანის ქუჩის მიმართულებით. იგი არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს, ხოლო შემდეგ ხულიგნური ქვენაგრძობით მიეჭრა იქვე მდგომ ავტომანქანა „პობედის“ მძღოლს შალომ შალელაშვილს და ბეჭის არეში დანის დარტყმით მიაყენა სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება. სასამართლომ განიხილა მ. ბერიკაშვილის ბრალდების საქმე და მას შეუფარდა პატიმრობა 6-წლის ვადით.

1960 წლის პირველ და მეორე კვარტალში ქ. ქუთაისში გახშირდა იმ მსჯავრდადებულ პირთა რიცხვი, რომლებიც პირობით ვადამდე ადრე იყვნენ განთავისუფლებული. ფაქტია, რომ იმ პირთა დიდი ნაწილი, რომლებმაც მოიხადეს სასჯელი ან და პირობით ვადამდე ადრე განთავისუფლდნენ პატიმრობიდან, შრომობენ და დადებითად ხასიათდებიან როგორც მუშაობაში ისე ყოფაცხოვრებაში, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც არ სურთ ჩაება საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობაში, ხელახლა ჩადიან დანაშაულს. თავისთავად გასაგებია, რომ ასეთი პირები, რომელთაც ჯიუტად არ სურთ გამოსწორდნენ და გაამართლონ მათთვის აღმოჩენილი ნდობა, საბჭოთა კანონების მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ. ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო სწორედ ასე მკაცრად სჯის ამ კატეგორიის დამნაშავეებს. ასე მაგალითად, რომან ნიკოლოზის ძე ბასილაძეს მოქალაქეთა ქონების ქურდობისათვის მიესაჯა შრომა გასწორების კოლონიაში პატიმრობა 6-წლის ვადით. იგი პატიმრობიდან განთავისუფლებული იქნა 1959 წლის ოქტომბერში, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა რ. ბასილაძეს მოუწოდეს ჩაბმულიყო შრომაში და შესთავაზეს სხვადასხვა ადგილას მუშაობის დაწყება, მაგრამ ასეთზე მან უარი განაცხადა და კვლავ ხელი მიჰყო ქურდობას. 2-თვის განმავლობაში რ. ბასილაძემ 4-ჯერ მოახდინა ქურდობა, ტექნიკური ხერხების გამოყენებით გატეხა მალაზიები, და გაიტაცა 20.000 მანეთის ძველი ფულით ღირებულების სხვადასხვა სახის საქონელი. საქონლის ნაწილი მან გაჰყიდა უცნობ პირებზე. რ. ბასილაძის დანაშაულებრივი მოქმედება გამოვლინებულ იქნა და სასამართლოს 1960 წლის 10 ივლისის განაჩენით მას შეეფარდა 12-წლით შრომა გასწორებით კოლონიაში პატიმრობა.

ასევე ითქმის ანზორ იოსების ძე უჩაძის მიმართ, რომელიც პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგ ადგილობრივ ორგანოების გაფრთხილების მიუხედავად არ ჩაება საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობაში და კვლავ ხელი მიჰყო მოქალაქეთა ქონების ქურდობას. 1960 წლის 9-ივნისს ა. უჩაძემ ტროლეიბუსში მყოფ მოქ. შ. ხანანაშვილს გაუხსნა საფულე და ამოაცალა 850 მანეთი, რაც შემჩნეული იქნა მოქალაქეების მიერ. ა. უჩაძე შეეცადა მიმალვას, მაგრამ მოქალაქეთა აქტიური მოქმედების შედეგად დაკავებული იქნა. სასამართლოს 1960 წლის 12-ივლისის განაჩენით გამოუსწორებელ ქურდრეციდივისტს შეეფარდა რვა წლით შრომა გასწორებით კოლონიაში პატიმრობა.

გატარებულ ღონისძიებათა მიუხედავად კვლავ გრძელდება სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების გაფლანგვა მტაცებლობა, სპეკულაცია. ამ მხრივ განსაკუთრებით არა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა ისეთ მსხვილ სავაჭრო ორგანიზაციაში, როგორიცაა „ქუთაისვაჭრობა“. აღნიშნული სავაჭრო ორგანიზაციის № 59 მალაზიის გამგედ მუშაობდა შოთა ვასილის ძე ვერტულაშვილი, რომელმაც მუშაობის პერიოდში გაფლანგა და მიითვისა 50.000 მანე-





თი, რაც მის მიერ დაფარული იქნა. სასამართლომ 1960 წლის 22-თებერვალს განიხილა შ. ვერულაშვილის ბრალდების საქმე და მიუხედავად იმისა, რომ თანხა დაფარული იყო, მას შეუფარდა შრომა გასწორების კოლონიაში პატიმრობა 5 წლის ვადით ქონების კონფისკაციით. ვახტანგ მიხეილის ძე ლაღაძემ, რომელიც „ქუთაისვაჭრობის“ № 143 მაღაზიაში მუშაობდა გამგე გამყიდველად, მიითვისა 30.000 მანეთი. სასამართლოს 1960 წლის 18 მაისის განაჩენით ვ. ლაღაძეს შეუფარდა შრომა გასწორების კოლონიაში პატიმრობა 6-წლის ვადით პირადი ქონების კონფისკაციით. ასევე დაეკისრა დაზარალებულ ორგანიზაციის სასარგებლოდ მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

გალაქტიონ გიორგის ძე ბურჯანაძე თავს არიდებდა საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას და ეწეოდა სიმინდითა და ხორბლით სპეკულაციას. იგი დაკავებული იქნა იმ მომენტში, როდესაც № 1 საკოლმეურნეო ბაზარზე ჰყიდა თიანეთის რაიონში იაფად შეძენილ 1.020 კგ. სიმინდსა და 429 კგ. ხორბალს. სასამართლოს 1960 წლის 11-ივლისის განაჩენით გაქნილ სპეკულიანტს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 5-წლის ვადით პირადი ქონების კონფისკაციით.

დავით მოშეს ძე თეთრუაშვილი არ ეწეოდა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას და თავს ირჩენდა სპეკულაციით. მან მიმდინარე წელს ქ. თბილისში შეიძინა 10.000 ცალი ფეხსაცმელის ნალი და ჩამოიტანა სასპეკულაციოდ ქუთაისში. დ. თეთრუაშვილი დააკავეს. იგი გასამართლებული იქნა 1960 წლის 29 ივნისს და შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 5-წლის ვადით პირადი ქონების კონფისკაციით.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს კოლექტივების შუამდგომლობათა განხილვას სამართალში მიცემულთა თავდებქვეშ გადაცემის შესახებ და უარს ეუბნება იმ შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლებიც აშკარად უსაფუძვლონი და უსწორონი არიან. ასე მაგალითად: კაველექტრომონტაჟის ქუთაისის ქსელის მუშამ ს. ესებუამ ხული-გნური ქვენაგრძობის საფუძველზე მოქ. მ. კაკაბაძეს სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება მიაყენა. მიუხედავად იმისა, რომ ს. ესებუას საშიში ხასიათის დანაშაული ჰქონდა ჩადენილი, ამავე დროს იგი წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ არ სცნობდა. კაველექტრომონტაჟის ქუთაისის ქსელის კოლექტივმა მაინც შესაძლებლად მიიჩნია შუამდგომლობის აღძვრა. სასამართლომ შუამდგომლობა ს. ესებუას თავდებში გადაცემის შესახებ არ დააკმაყოფილა და მას 4-წლით პატიმრობა მიუსაჯა.

№ 1-სატვირთო ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლმა ნ. ლოღელიანმა დაარღვია რა მოძრაობის წესები, მოახდინა ავარია, რის შედეგადაც ერთ-ერთი მოქალაქე ადგილზე გარდაიცვალა. მიუხედავად ნ. ლოღელიანის მიერ მძიმე ხასიათის დანაშაულის ჩადენისა, ავტოსატრანსპორტო კანტორის ხელმძღვანელებმა სასამართლოში გამოგზავნეს შუამდგომლობა ნ. ლოღელიანის თავდებობაში გადაცემის შესახებ. შუამდგომლობა სასამართლომ, როგორც უსაფუძვლო არ გაიზიარა, ხოლო ნ. ლოღელიანს 6-წლით პატიმრობა მიუსაჯა.

ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლო მომავალშიც განუხრელად შეასრულებს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1959 წლის 19-ივნისის დადგენილებას იმ ნაწილში, რომ რეციდივისტები და საშიში დანაშაულის ჩამდენი პირები მთელი სიმკაცრით დაისაჯონ.



# დანაშაულობათა წინააღმდეგ საზოგადოებრივობისა და მართლმსაჯულების ორგანოების ერთობლივი შეკრების გამოსდილებიდან

საბჭოთა ადამიანები თავდადებით შრომობენ სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, პატიოსნად ასრულებენ საზოგადოებრივ მოვალეობას, უმწიკვლოდ იცავენ საბჭოთა კანონებს და პატივს სცემენ ჩვენს სინამდვილეში დამკვიდრებულ სოციალისტურ მართლწესებს.

ამასთან არიან პირები, რომელნიც თავიანთი ამორალური საქციელით ხელს უშლიან სხვებს შრომასა და ცხოვრებაში, არ ეწევიან საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომას, უხეშად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს. ჩვენში სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების დარღვევა შეუწყნარებელია. დანაშაულებასთან ბრძოლა მარტო სისხლის სამართლებრივი ხასიათის ზომებით როდი უნდა განისაზღვროს, არამედ იგი უბრველეს, ყოველისა, საზოგადოებრივი ზეგავლენით და მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით უნდა წარმოებდეს.


სწორედ ამიტომ პარტიის XXI ყრილობამ დასახა ფართო ღონისძიებანი სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების მტკიცედ დაცვისა და მართლწესრიგის დარღვევებთან ბრძოლაში მთელი საზოგადოების ჩაბმისათვის. ახლა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა კოლექტივები აქტიურად მონაწილეობენ სოციალისტური კანონიერებისათვის ბრძოლაში და საზოგადოებრივი წესების დამრღვევთა ხელახალი აღზრდა-გამოსწორებისათვის. მშრომელთა კოლექტივები თვითონ კიცხავენ წუნის მკეთებლებს, გამცდენებს, მათ ვინც ჩაიდინა წვრილი ქურდობა, ხულიგნობა ან სხვა სახის საზოგადოებრივად ნაკლებად საშიში დანაშაულებანი.

ჩატარებული მუშაობის შედეგები და მათი ანალიზები მოწმობენ დანაშაულებასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ბრძოლის საგრძნობ მიღწევებს.

აფხაზეთის სასამართლო ორგანოების საქმიანობაშიც საგრძნობი გარდატეხა მოხდა. ახლა სასამართლო სხდომები ხშირად ტარდება უშუალოდ ორგანიზაციებში — საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამ სხდომებზე მონაწილეობენ პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი საზოგადოებრივი ბრალმდებლები და დამცველები. ეს უკანასკნელნი სასამართლოს აწვდიან საბჭოთა საზოგადოებრიობის ხმას, ხელს უწყობენ საქმის სწორად გადაწყვეტას.

საზოგადოებრიობა არა მარტო უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა დაიცვას ის, ვინც ჩაიდინა ნაკლებად საშიში დანაშაული, ვინც შემთხვევით ამა თუ იმ მიზეზით აცდა ცხოვრების სწორ გზას.

მსჯავრდადებულმა რ. იაყინმა ქურდობაში ჩაითრია არასრულწლოვანი ე. გერგედავა. სოფელ გულრიფშის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის“ წევრთა საერთო კრებამ აღძრა შუამდგომლობა გადაეცათ ე. გერგედავა კოლექტივისათვის გამოსასწორებლად საზოგადოებრივი ზეგავლენის მოხდენით. აფხაზეთის უმაღლესმა სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა, ე. გერგედავას შეუფარდა პირობითი სასჯელი და იგი ხელახლა აღსაზრდელად და გამოსას-



წორებლად გადასცა კოლექტივს. ამჟამად ე. გერგედავა საზოგადოებრივი თვალყურეობის ქვეშაა და საკოლმეურნეო შრომაშია ჩაბმული.

აი კიდევ ერთი მაგალითი. გუდაუთის რაიონის სახალხო სასამართლოს წინაშე წარსდგა არტელ „კრასნაია ვრუხიას“ ახალგაზრდა მუშა, კომკავშირელი ე. კრუტიკოვი, რომელმაც მთვრალ მდგომარეობაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა ქალიშვილს.

კომკავშირულმა ორგანიზაციამ შუამდგომლობა აღძრა სახალხო სასამართლოს წინაშე ე. კრუტიკოვისათვის პირობითი სასჯელის შეფარდებისა და მის ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად კოლექტივისათვის გადაცემის შესახებ. საქმის განხილვის დროს დადგინდა, რომ ე. კრუტიკოვი წინათ საწარმოო გეგმას გადაჭარბებით ასრულებდა, აქტიურად მონაწილეობდა არტელის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო ამორალური საქციელის ჩადენაში არ იყო შემჩნეული.

კომკავშირული ორგანიზაციის შუამდგომლობა სასამართლოს მიერ დამაყოფილებულ იქნა. წარმოებაში ე. კრუტიკოვის შემდგომმა მუშაობამ დადასტურა ახალგაზრდა მუშის ბედის ასეთი გადაწყვეტის სისწორე.

ამასთან დასამალი არ არის, რომ ხშირად ესა თუ ის კოლექტივი თავისი უღირსი წევრის დამცველის როლში გამოდის.

ახალგაზრდა კომკავშირელი ბ. პისმენნი მსჯავრდადებულ იქნა ქალის გაუპატიურებისათვის. ზედმეტია იმაზე მსჯელობა თუ საზოგადოებრივად რამდენად საშიშია ასეთი დანაშაული. ამიტომ, მოსალოდნელი იყო, რომ აქ საზოგადოებრიობა გამოვიდოდა არა დამცველის, არამედ ბრალმდებლის როლში. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე როდი მოხდა. აფხაზეთის უმაღლეს სასამართლოში შემოვიდა ამიერკავკასიის რკინიგზის საკონტაქტო დისტანციის ქსელის კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების შუამდგომლობა ბ. პისმენნის მიმართ პირობითი სასჯელის შეფარდებისა და მისი აღსაზრდელად და გამოსასწორებლად კოლექტივისათვის გადაცემის შესახებ. ეს შუამდგომლობა არ იქნა გაზიარებული. ეჭვგარეშეა, რომ უმაღლესი სასამართლო აქ სწორად მოიქცა.

ასევე უსაფუძვლო შუამდგომლობა აღძრა გუდაუთის რაიონის სოფელ ჯირხვის ტელმანის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრთა საერთო კრებამ ბრალდებულ ვ. სოლომონიაზე პირობითი სასჯელის შეფარდებისა და მისი საზოგადოებისათვის აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის შესახებ, თუმცა დადგენილ იყო, რომ ვ. სოლომონიას წინათაც ქონდა სასამართლობა მოქალაქეზე მძიმე ჭრილობის მიყენებისათვის, ამ შემთხვევაში კი ის მხილებულ იყო ქალის მიმართ ძალადობის ჩადენაში. გუდაუთის სახალხო სასამართლომ კოლმეურნეების შუამდგომლობა სავესებით სწორად არ გაიზიარა.

რით უნდა აიხსნას ასეთი შუამდგომლობების აღძრა, რომლებიც საზოგადოებრივ ინტერესებთან შეუთავსებელია?

ნაწილობრივ ეს გამოწვეულია ამხანაგობის არასწორი გავებით, ამა თუ ამ ხელმძღვანელთა მიერ თავიანთი კოლექტივის ღირსების დაცვის სურვი-

ლით, თითქოსდა მათთან ყველაფერი რიგზეა. მაგრამ არის სხვა მიზეზებიც. საქმე იმაშია, რომ ამა თუ იმ პირის ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად აყვანის საკითხის გადაწყვეტის დროს ზოგჯერ სათანადო ყურადღება არ ექცევა პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, ამ დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებას, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. რა ზიანი მიაყენა მან საზოგადოებას, ან ცალკეულ მოქალაქეებს — აი, ეს არის მთავარი. ამის გაუთვალისწინებლობა იქნებოდა უპრინციპობის გამოჩენა, კანონიერების და სოციალისტური საერთო ცხოვრების ხელშეუხებელი ნორმებისა და პრინციპების სწორად გატარების საქმეში უკან დახევა.

უსაფუძვლო შუამდგომლობების აღძვრის შემთხვევები, უეჭველად ნაკლები იქნებოდა, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში მათ დაკმაყოფილებას არ ჰქონოდა ადგილი.

სწორედ არ მოიქცა ქ. სოხუმის სახალხო სასამართლო, როცა მან დააკმაყოფილა ქუთაისის საამშენებლო სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა შუამდგომლობა ზ. ველიაშვილის მიმართ პირობითი სასჯელის შეფარდებისა და მისი ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემის შესახებ, თუმცა დადგენილი იყო, რომ ბრალდებულმა მოქალაქეს მძიმე ჭრილობა მიაყენა გულის არეში ე. ი. ჩაიდინა საქართველოს სსრ სსკ 151 მუხლის 1 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ზოგჯერ ესა თუ ის კოლექტივი საკითხს ცალმხრივად წყვეტს, სრულყოფილად არ მსჯელობს იმის შესახებ, იმსახურებს თუ არა მისი წევრი ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად აყვანას, საკითხის გადაწყვეტას საფუძვლად უდებს არა პირის მიერ ჩადენილი საქციელის ხასიათს, არამედ მის საწარმოო მონაცემებს, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობას. მათი გათვალისწინება, უეჭველად საჭიროა, მაგრამ, ამასთან არ შეიძლება დავივიწყოთ სხვა მხარეებიც: ადამიანი უნდა იყოს არა მარტო კარგი მუშაკი, არამედ საბჭოთა ქვეყნის ღირსეული მოქალაქე, მაღალი კომუნისტური მორალის მატარებელი.

სწორედ ამ მიზეზებით შეიძლება აიხსნას ის, რომ სოხუმის თევზმჭერთა კოლმეურნეობამ ქ. სოხუმის სასამართლოს წინაშე იშუამდგომლა მ. დგებუაძისათვის პირობითი სასჯელის შეფარდება და ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემა, მაშინ როდესაც მან გასული წლის 3 მარტს, ღამით სხვებთან ერთად შეიარაღებული თავს დაესხა მოხუც ქალს და გაძარცვა იგი, მით უმეტეს, კოლექტივი მ. დგებუაძეს იცნობდა მხოლოდ ორ თვეს და, ცხადია, მას რაც არ უნდა თავი გამოეჩინა, ამ მოკლე დროში მისი ხელახლა აღსაზრდელად აყვანის საფუძველი არ არსებობდა. მან ხომ ჩაიდინა დანაშაული, რომელიც საზოგადოებრიობისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენს.

რასაკვირველია, გამართლებას ვერ პოულობს ისეთი შუამდგომლობის აღძვრა, რომელიც ფაქტიურად ზოგჯერ მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის დაცვისკენა მიმართული. ცდა იმისა, რომ რამენაირად ავაცდინოთ მძიმე დანაშაულის ჩამდენს დამსახურებული სასჯელის შეფარდება, ხელს უშლის საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევასთან ბრძოლის საქმეს.

თავისთავად ცხადია, რომ ასეთი შემთხვევები არ უნდა დარჩეს პარტიუ-



ლი, პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სათანადო რეაგირების გარეშე.

აქვე უნდა ითქვას, რომ სასამართლოს მოვალეობა მარტო დამნაშავეის სათანადო კოლექტივზე ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემით როდი უნდა დამთავრდეს. ფაქტიურად ეს მომენტი დიდი მუშაობის დასაწყისია. სასამართლომ თვალყური უნდა ადევნოს იმას, თუ კოლექტივი როგორ ასრულებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებას და დაეხმაროს მას ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაცემული დამნაშავეის გამოსწორებაში.

დანაშაულებასთან ბრძოლაში სასურველ შედეგს იძლევა მშრომელთა კოლექტივის ხელახლა აღსაზრდელად გადაცემული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიზეზების ყოველმხრივი ახსნა-განმარტება და მისი კოლექტივის თითოეულ წევრამდე დაყვანა, რაც საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს დაეხმარება სწორი აღმზრდელობითი ღონისძიებების გატარებაში.

ამ მხრივ მოსამართლე მეთვალყურის როლში როდი უნდა იყოს. რამდენადაც იგი დეტალურად იცნობს საქმეს და შუამდგომლობის გაზიარების თუ უარყოფის მიზეზების კურსშია, უშუალოდ მის მიერ ჩატარებული საუბრები მეტ ნაყოფს მოგვცემდა.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არის მთელი რიგი შემთხვევები, როდესაც სახალხო სასამართლოები კონტროლს არ უწევენ ხელახლა აღსაზრდელად გადაცემულ პირთა გამოსწორების მიმდინარეობას, მათ ნაკლებად აინტერესებთ გამოარკვიონ ის, თუ რა კონკრეტული ღონისძიებები დასახა ამა თუ იმ საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ და მშრომელთა კოლექტივმა მათი შუამდგომლობის შესაბამისად ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად სასამართლოს მიერ გადაცემული პირის კეთილსინდისიერ შრომაში და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის მიმართულებით.

უფრო მეტი. ქ. სოხუმის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა სოხუმის ხორცკომბინატის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების მიერ აღძრული შუამდგომლობა ახალგაზრდა მუშა ზ. უპრიგოვისათვის პირობითი სასჯელის შეფარდებისა და ხელახლა აღსაზრდელად და გამოსასწორებლად ამავე კოლექტივისათვის გადაცემის შესახებ. მაგრამ აღნიშნულმა კოლექტივმა ის თუ რა ბედი ეწვია მის მიერ აღძრულ შუამდგომლობას გაიგო განაჩენის ასლიდან, რომელიც ხორცკომბინატის ხელმძღვანელობას სამი თვის შემდეგ გადაეგზავნა.

სასამართლოები ვალდებულნი არიან იცნობდნენ პირობით მსჯავრდებულთ, თვალყურს ადევნებდნენ მათი გამოსწორების პროცესს, მიიღონ ამ მეტად საპატიო საქმეში აქტიური მონაწილეობა და ამ მიზნით მჭიდრო კავშირი დაამყარონ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებთან.

ჩხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიგნებს საზოგადოებრივი ორგანიზაციის და მშრომელთა კოლექტივის ყველა წევრი იმას, რომ მათ, აღძრეს რა შუამდგომლობა. სასამართლოს წინაშე, მოიქცნენ არა ფორმალურად, არამედ იკისრეს თავიანთი ამხანაგის შემდგომი ბედის გადაწყვეტიისათვის რეალური პასუხისმგებლობა.

დანაშაულთან და თანაცხოვრების წესების დარღვევებთან ბრძოლა მთელი საზოგადოებრიობის საქმეა. სასამართლო ორგანოების კავშირის გაძლიერება საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და მისი შემდეგი გაუმჯობესება, საზოგადოებრივი ზეგავლენის და იძულებითი ზომების სწორი შეფარდება აუცილებლად მიგვიყვანს დანაშაულის ფაქტების ჯერ საგრძნობლად შემცირებამდე და შემდეგში კი დანაშაულისა და საზოგადოებრივი წესების დარღვევების ძირეულად აღმოფხვრამდე ჩვენს ქვეყანაში.

**ა. გუგუჩია,**

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი.

## ქუჩებსა და მოედნებში მოძრაობის წესების 52-ე მუხლის სოციალ-განმანათლებლობის


ტრანსპორტზე შრომის დისციპლინისა და მოძრაობის წესების დარღვევათა გამო სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გამოძიების მუშაკთა და მოსამართლეთა მიერ საავტომობილო გზებზე და ქუჩებში მოძრაობის წესების საფუძვლიან ცოდნას, რითაც თავიდან აცილებული იქნება ტრანსპორტის მუშაკთა უსაფუძვლოდ მიცემა პასუხისგებაში და მათი სისხლის სამართლის წესით დასჯა.

ადრე მოქმედი „საქართველოს სსრ ქალაქების ქუჩებში და საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების“ 52-ე მუხლი ზოგადია, მასში აღნიშნულია, რომ „ყველა შემთხვევაში მძღოლებს ევალებათ ატარონ ტრანსპორტი იმ სიჩქარით, რომელზეც უზრუნველყოფს მოძრაობის სრულ უსაფრთხოებას და საჭირო შემთხვევაში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, შესაძლებლობა ჰქონდეთ დროულად შეაჩერონ იგი“. საჭიროა გამოძიებაში და სასამართლოში საქმის განხილვის დროს აუცილებელი ყურადღება მიექცეს იმ საკითხს, შეეძლოს თუ არა შექმნილი ვითარების შესაბამისად ტრანსპორტის მძღოლს თავიდან აეცილებია დამდგარი შედეგი.

ხშირ შემთხვევაში წინასწარი გამოძიება კმაყოფილდება იმით, რომ საქმეში მოათავსებენ საგზაო შემთხვევის ოქმს და არ აწარმოებენ იმ პირის დაკითხვას, რომელმაც შეადგინა იგი. ამის გამო გაურკვეველია ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი, საქმის მასალები კი წინააღმდეგობაშია ოქმში აღნიშნულთან.

სახალხო სასამართლოები იშვიათად იძახებენ სამსჯავრო სხდომაზე საგზაო შემთხვევის ოქმის შემდგენელს და კმაყოფილდებიან მარტოოდენ ამ ოქმის განხილვით, რითაც წინასწარი გამოძიების მიერ დაშვებული ხარვეზი კვლავ გამოუსწორებელი რჩება.

როგორც გამოძიების მხრივ, ისე სასამართლოს მიერ იშვიათ შემთხვევაში ხდება ასეთი კატეგორიის საქმეებზე ტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება, რაც ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რადგან ავარიებთან დაკავშირებული საკითხები სპეციფიურია და შესაძლებელია ზოგიერთი გამოძიებელი ან მოსამართლე კარგად ვერ ერკვეოდეს ამა თუ იმ სადავო საკითხში. მაგალითად: ქ. თბილი-



სის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 31 აგვისტოს განაჩენით ივანე პოლოსის ძე პეტროსიანი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 58<sup>17</sup> „გ“ მუხლის 1 ნაწილით და მიესაჯა ორი წლით თავისუფლების აღკვეთა. ი. პეტროსიანს მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა „ლაზ—695“ ავტობუსზე მძღოლად, 1959 წლის 9 ივლისს 5 საათსა და 30 წუთზე ქ. თბილისში ლენინის ქუჩაზე დაარღვია მოძრაობის წესები და მანქანა წინა მარჯვენა ნაწილით დააჯახა ქუჩის მეორე მხარეს გადამსვლელ ანდრო გიორგისძე ჭიჭინაძეს, რომელიც საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მსჯავრდადებული ი. პეტროსიანი თავს არა სცნობდა დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტავდა, რომ მას ავტობუსი მიჰყავდა ნორმალური მსვლელობით, გზა იყო თავისუფალი და ტროტუარიდან უცბად გადაუჭრა გზა ა. ჭიჭინაძემ, რის გამოც მას აღარ შეეძლო თავიდან აეცილებია მოსალოდნელი საფრთხე.

საქმის მასალების მიხედვით, სახელდობრ, საგზაო შემთხვევის ოქმით და მისი შემდგენლის ჩვენებებით, ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნით და ფაქტის დამსწრე მოწმეთა დაკითხვით დადგენილია, რომ აწ გარდაცვალებული ა. ჭიჭინაძე მოდიოდა თავის ამხანაგებთან ერთად მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ლენინის ქუჩაზე ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ ტროტუარზე ავტობუსის მოძრაობის მიმართულებით. უცბად ქუჩის ერთი მხრიდან გადაიბინა მეორე მხარეს იმ მომენტში, როდესაც ავტობუსი მისგან დაშორებული იყო 4—5 მეტრით. მძღოლმა მიიღო ყოველგვარი ზომები ავტობუსის გასაჩერებლად და საფრთხის თავიდან ასაცილებლად, დაამუხრუჭა მანქანა, საჭე მკვეთრად გადასწია მარცხნივ, მაგრამ მაინც ვერ შესძლო თავიდან აეცილებინა ა. ჭიჭინაძეზე მანქანის დაჯახება. რის შემდეგაც მანვე დაზარალებული სასწრაფოდ წაიყვანა საავადმყოფოში იმავე ავტობუსით.

განაჩენში მითითებულია, რომ ავტობუსის მძღოლმა დაარღვია მოძრაობის წესების 52-ე მუხლი, მაგრამ არ არის აღნიშნული ის, თუ რაში გამოიხატება ამ მუხლის დარღვევა პეტროსიანის მხრივ.

საქმის მასალებიდან ნათლად ჩანს ის გარემოება, რომ შემთხვევის მომენტში ქუჩაში მოძრაობა ახალი დაწყებული იყო. გზა იყო თავისუფალი. წინ არცერთი სახის ტრანსპორტი არ მიდიოდა და ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გადასასვლელზე არავინ მოძრაობდა.

ასეთ პირობებში არ შეიძლება ჩათვლილიყო ი. პეტროსიანის მხრივ მოძრაობის წესების დარღვევად ის, რომ იგი ანვითარებდა 25—30 კმ სიჩქარეს საათში, რადგან ასეთი სიჩქარით მანქანის წაყვანა არავითარ მიზეზობრივ კავშირში არ იყო დამდგარ შედეგთან, რადგან ა. ჭიჭინაძემ იმდენად ახლოს გადაუჭრინა ავტობუსს, რომ მძღოლს არავითარ შემთხვევაში არ შეეძლო საფრთხის თავიდან აცილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პროტესტის საფუძველზე გააუქმა პეტროსიანის მიმართ გამოტანილი ვამპიტყუნებელი განაჩენი და საქმე წარმოებით მოსპო მის ქმედითობაში სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

1960 წლის 27 იანვარს ქ. თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სა-

სამართლომ განიხილა ანზორ დავითისძე წკრიალაშვილის ბრალდების საქმე 58<sup>17</sup> „გ“ მუხლის 1 ნაწილის ბრალდებით და ცნო იგი დამნაშავედ. 1959 წლის 19 ნოემბერს ა. წკრიალაშვილი მართავდა რა ტრამვაის ლენინის ქუჩიდან გმირთა მოედნის მიმართულებით, აღნიშნულ მოედანზე მისვლისას დროულად ვერ გააჩერა ტრამვაი და დაეჯახა ტრამვაის ხაზზე გადასვლელ ავტობუსს, რა დროსაც ავტობუსში დაზიანდნენ მოქალაქეები.

საქმეში არსებული მასალების მიხედვით დადგენილი იყო რომ ა. წკრიალაშვილი ტრამვაის მართავდა გადაჭარბებული სიჩქარით. ტრამვაის ხაზი თავისუფალი იყო და ავტობუსმა, რომლის მძღოლიც დასჯილი იქნა, გადაუჭრა გზა 10 მეტრის წინ. ასეთ პირობებში სასამართლოს მითითება მოძრაობის წესების 52-ე მუხლზე არ არის სწორი, რადგან არ გამოურკვევია შეეძლო თუ არა ა. წკრიალაშვილს ტრამვაის გაჩერება შექმნილ ვითარების გამო. სასამართლოს არ დაუკითხავს მოძრაობის წესების მცოდნე სპეციალისტი და საგზაო შემთხვევის ოქმის შემდგენელი.

მოძრაობის წესების 39-ე მუხლის თანახმად მოედანზე, სადაც მოძრაობა არ რეგულირდება, გავლის უპირატესობის უფლებით სარგებლობენ პირველ რიგში ტრამვაი, შემდეგ ტროლეიბუსი, მას შემდეგ ავტობუსი და ა. შ., ხოლო ამავე წესების 41-ე მუხლის საფუძველზე აკრძალულია ტრამვაის ლიანდაგების გადაკვეთა მოახლოებული ტრამვიდან 100 მეტრის მანძილზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააუქმა სახალხო სასამართლოს აღნიშნული განაჩენი და საქმე დაუბრუნა სასამართლოს სამსჯავრო გამოძიების სტადიიდან ხელახალი განხილვისათვის იმ მითითებით, რომ გარკვეულიყო საკითხი, შეეძლო თუ არა ტრამვაის მძღოლს თავიდან აეცილინა ავტობუსზე დაჯახება.

სახალხო სასამართლომ, განიხილა რა ხელმეორედ ა. წკრიალაშვილის ბრალდების საქმე და დაკითხა მოძრაობის წესების სპეციალისტები, სწორად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ა. წკრიალაშვილის მოქმედებაში არ იყო სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები. იგი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გავლის უპირატესობით გზა, რომელიც თავისუფალი იყო მას ეკუთვნოდა, ამავე დროს ავტობუსის მძღოლი ხედავდა ტრამვაის მსვლელობას და რადგან ასეთ პირობებში ავტობუსის მძღოლს აუცილებლად უნდა გაეჩერებინა მანქანა, რასაც იმედოვნებდა წკრიალაშვილი, მან განაგრძო მსვლელობა, მაგრამ მოულოდნელად 10 მეტრის მანძილზე გზა გადაუჭრა ავტობუსმა და ასეთ პირობებში ტრამვაის გაჩერება უკვე შეუძლებელი იყო.

ამრიგად მოძრაობის წესების 52-ე მუხლის თანახმად არ შეიძლება ყოველ შემთხვევის დროს ტრანსპორტის მუშაკს დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. საჭიროა გარკვეული იქნას რა პირობებში მოხდა ავარია და შეეძლო თუ არა მძღოლს მისი თავიდან აცილება.

## ი. გოგაშვილი

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი



## შემთხვევის ადგილის დათვალიერების შესახებ

შემთხვევის ადგილის დათვალიერებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის გახსნის ბედი. უმეტეს შემთხვევაში, განსაკუთრებით კი მკვლელობის საქმეზე გამომძიებელს მხოლოდ ის კვალი აქვს ხელთ, რაც ადგილის დათვალიერების შედეგად აქვს მიღებული. ამიტომ შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყვანილი ყოველგვარი კვალი, დათვალიერების ოქმი უნდა იძლეოდეს ზუსტ წარმოდგენას შემთხვევის ადგილის შესახებ.

შემთხვევის ადგილის სწორი დათვალიერება გამომძიებლის მხრივ მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას. თუ დოკუმენტთა უმრავლესობის აღდგენა შესაძლებელია, ცუდად დათვალიერებული შემთხვევის ადგილის მეორედ დათვალიერება შეუძლებელია, რადგან დროზე კვალის აღმოჩენილობას შეიძლება მოყვეს მისი გაქრობა. შემთხვევის ადგილას კი ყველაფერი წარმოდგენს კვალს ამ სიტყვის ფართო გაგებით. სხვადასხვა კვალი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ მტკიცების ხარისხით და ხასიათით ე. ი. ზოგი მცირე მნიშვნელობისაა, ზოგი კი უფრო მეტი მნიშვნელობისა, ზოგი კვალი ერთს ადასტურებს, ზოგი მის საწინააღმდეგოს.

მაგალითად: მკვლელობაში ეჭვმიტანილს დანა რომ აღმოაჩნდა, ამაზე უფრო მნიშვნელოვანი იყო ის, რომ დანა სისხლიანი იყო, ხოლო ამ უკანასკნელზე მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ დანაზე აღმოჩენილი სისხლის კატეგორია

ემთხვევა მოკლულის სისხლის კატეგორიას.

თუ ეჭვმიტანილის დანაზე აღმოჩენილი სისხლის კატეგორია განსხვავდება ეჭვმიტანილის სისხლის კატეგორიისაგან, ასეთ შემთხვევაში ეს კვალი და ის, რომ ეჭვმიტანილს აღმოაჩნდა სისხლიანი დანა, მტკიცების ხასიათით ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. სისხლიანი დანის აღმოჩენა მიუთითებს, რომ ეჭვმიტანილმა შესაძლებელია ჩაიდინა მკვლელობა, ხოლო ვინაიდან დანაზე აღმოჩენილი სისხლის კატეგორია განსხვავდება ეჭვმიტანილის და მოკლულის სისხლის კატეგორიისაგან ეს გარემოება შეიძლება გამოდგეს, როგორც ეჭვმიტანილის ჩვენების დამადასტურებელი საბუთი, რომ არც დანაა მისი და არც დანაზე ნახული სისხლი.

ადგილის დათვალიერების ოქმი ზუსტად უნდა ასახავდეს ყველაფერს, მასში არ უნდა იყოს გამომძიებლის ვარაუდი ან დასკვნა, ანდა ყოველშემთხვევაში, თუ ასეთი რამ იქნება, იგი არეული არ უნდა იყოს ობიექტურ მონაცემებთან, ნათლად უნდა იყოს გამოკვეთილი, რომ იგი გამომძიებლის მოსაზრება ან ვარაუდია.

ვინაიდან, როგორც წესი, შემთხვევის ადგილზე პირველად მიდის მილიციის მუშაკი, ამიტომ რიგითი მილიციელიც კი უნდა გაცნობილი იყოს კრიმინალისტიკის ელემენტალურ ნორმებს, რათა უზრუნველყოს შემთხვევის ადგილის კარგად დაცვა და ფიქსაცია გაუკეთოს იმ კვალს, რომელიც მიხი ადგილზე გამოცხადებისას იყო, მაგრამ თანდათან ქრება და შესაძლებელია გამომძიებლის

ზედმეტი არ იქნება, თუ პრაქტიკაში დაენერგავთ, რომ შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში შეტანილი იქნეს შემთხვევის შეტყობინების დრო, შემტყობინებლის ვინაობა, ადგილზე გამოცხადების დრო და იმ წვრილმანების ზუსტი აღწერა, რაც ერთი შეხედვით შესაძლებელია ზედმეტად ჩანდეს. პრაქტიკულად შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში არაფრის შეტანა არ არის ზედმეტი, თუ იგი სახეზე არსებული ობიექტური კვალია. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე სჯობს შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმში შეტანილი იქნეს თუნდაც ზედმეტი წვრილმანი, ვიდრე მას დააკლდეს რაიმე ობიექტური მონაცემები.

იმის მაგალითს, რომ ყოველგვარ წვრილმანს მნიშვნელობა აქვს და შეტანილი უნდა იქნეს დათვალიერების ოქმში, წარმოადგენს ძ-ის მკვლელობის საქმე. ერთ-ერთი მოწმის ბ-ის ჩვენების თანახმად, მკვლელს ქ-ს, რომელიც ჩადენილი დანაშაულის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და ნერვიულობდა, გული აერია მკვლელობის ახლო მდებარე წყაროსთან. ვინაიდან აღნიშნული მოწმე ამხელდა მკვლელს, საქმისათვის დიდი მნიშვნელობა ქონდა იმ მოწმის ჩვენების სისწორის დადგენას, რასაც სხვა-სთან ერთად ადგილზე გულის არევის შედეგის არსებობაც დაადასტურებდა, მაგრამ აღნიშნული მდგომარეობა მკვლელობის ადგილის დათვალიერების ოქმში ფიქსირებული არ ყოფილა.

შემთხვევის ადგილის დათვალიერებისას ყველაფერი ყურადღების ღირსია, ვინაიდან შემთხვევის ადგილზე არსებული სულ მცირე კვალიც კი ობიექტური მიზეზის შედეგია, ეს შედეგები კი ხშირად ერთმანეთს მთლიანად გვანან და მათ არა სწორ შეფასებას შეიძლება მოყვეს გამოძიების არასწორი ვარიან-

ტით წარმართვა. სწორ გზას გამომძიებელი მხოლოდ მაშინ დაადგება, როდესაც კარგად გამოიყენებს ადგილზე არსებულ კვალს და არ შეიბოჭება რომელიმე წინასწარი აზრით, რომელიც მას შეიძლება პირველად სწორად ეჩვენოს. ყველა მტკიცებას კრიტიკულად უნდა მივუდგეთ, ვინაიდან ერთი და იგივე კვალი შესაძლებელია ერთნაირად აღსტურებდეს სწორსა და მცდარ გზას. ამის მაგალითს წარმოადგენს ძ-ის მკვლელობის საქმე. ძ-ი მოკლული იქნა სოფელ მ-ის გარეთ. მკვლელს ხელუხლებლად დაეტოვებია მოკლულის ოქროს საათი და ბეჭედი. როგორც სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, გვამს არც გაუპატიურების კვალი ემჩნეოდა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ძ-ი მოკლული იყო შურისძიების ნიადაგზე, რასაც ადასტურებდა ისიც, რომ მოწმეებმა მკვლელობამდე შემთხვევის ადგილის ახლოს ნახეს საშუალო სიმაღლის, სრული აგებულების, ქერა ახალგაზრდა კაცი, ასეთი აგებულებისა და შესახედაობისა კი იყო დაზარალებულ ძ-ის მოგვარე ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ძ-ი უყვარდა, ერთხელ მის ქმართან ჩხუბიც კი მოუვიდა და ემუქრებოდა ძ-ს, რომ რა დროც არ უნდა გასულიყო და რამდენი შვილიც არ უნდა ყოლოდა მაინც მოკლავდა. ამას დაემთხვა ის გარემოებაც, რომ ექვმიტანილი ამ პერიოდში რუსთავის კოლონიაში იმყოფებოდა და როგორც დადგინდა მკვლელობის დღეს იგი გამოპარული იყო კოლონიიდან და იმყოფებოდა აღნიშნულ სოფელში.

თითქმის ყველა არაპირდაპირი მტკიცება იყო, რომ ძ-ის მკვლელი იყო ექვმიტანილი პიროვნება. მაგრამ, როგორც შემდეგში დადგინდა, ძ-ი მოკლული იქნა იმის გამო, რომ ზემოთაღნიშნული აგებულებისა და შეხედულების ბოროტ-მოქმედ გ-ს ეშინოდა დაზარალებულს

არ გავმხილა იგი მის მიერ ჩადენილ ქურდობაში, რაც ბოროტმოქმედის ვარაუდით დაზარალებულმა იცოდა და ლაპარაკობდა კიდევ მასზე.

როგორც ზემოთაღნიშნულიდან სჩანს, სწორი ვერსიის დადასტურებამდე მცდარი ვერსია ძალზე ვაგს სწორს და ხშირად იგი შეცდომით სწორ ვერსიაზე უფრო წინ შეიძლება დაყენებულ იქნას.

მისი გარკვევა კი დიდადაა დამოკიდებული გამოძიებლის უნარსა და გამოცდილებაზე, რაც თავისთავად საკმარისი არ იქნება დანაშაულის გახსნისათვის, თუ გამოძიებელი არ გამოიყენებს კვლის აღმოჩენისა და ფიქსირების იმ საშუალებას, რაც საგამომძიებლო ჩემოდანშია თავმოყრილი. გამოძიებლები უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ საგამომძიებლო ჩემოდანს, განსაკუთრებით მკვლელობის საქმეებზე, სადაც ხელის, ფეხის თუ სხვა კვალის აღმოჩენას შეუძლია საქმისათვის გადამწყვეტი როლის შესრულება. მკვლელობის თითქმის ყველა საქმეზე ბრალის მტკიცება გამოძიებას უხდება ისეთი საშუალებით, რაც საგამომძიებლო ჩემოდანის გამოყენებასთან არაა დაკავშირებული და მტკიცებათა არასიმყარის გამო სამსჯავრო გამოძიებაზე ბრალდებულის მიერ თავისი ჩვენების გადათქმის შემთხვევაში საექვონი ხდებიან. მაგალითად: აიას მკვლელობის საქმეზე ბრალდება დამყარებული იყო ბრალდებულის აღიარებაზე და მასთან ერთად სხვა არაპირდაპირ მტკიცებაზე. სამსჯავრო პროცესზე ბრალდებულმა გადათქვა თავისი ჩვენება და მართო არაპირდაპირი მტკიცებანი საკმარისი აღარ გამოდგა მკვლელობაში ბრალის დასადგენად. საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნებოდა, თუ მკვლელობის ადგილას მანქანაზე ნახვდნენ ხელის ანაბეჭდს, რაც არ

შეიძლებოდა არ ყოფილიყო, ვინაიდან მკვლელობა მანქანაში მოხდა და მკვლეული მანქანის გაპრიალებულ ნაწილზე ან მასზე ხელის შეხების გარეშე ვერც მანქანაში ჩაჯდებოდა და ვერც იქიდან გადმოვიდოდა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ აგრეთვე მის ბრალდების საქმე. ბოროტმოქმედების მიერ გატეხილი იქნა მოქ. გ-ის გარაჟი, საიდანაც გატაცებული იქნა „პობედის“ მარკის ავტომანქანა, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ნახული იქნა ქალაქ გარეთ გაძარცვულ მდგომარეობაში. ეჭვმიტანილმა მ-ემ აღიარა ზემოთაღნიშნული ავტომანქანის გატაცება. გამოძიება დაკმაყოფილდა ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარებით, არ დაინტერესდა იმ ფაქტით, რომ გარაჟში ავტომანქანის წინ ბავშვის ველოსიპედი იდგა, რომელსაც ბოროტმოქმედები შეეხნენ მანქანის გარაჟიდან გადმოყვანისას და გადადგეს იგი სხვა ადგილას. შესაძლებელი იყო, რომ ველოსიპედის ზედაპირზე დარჩენილიყო ბოროტმოქმედთა თითების ანაბეჭდი, მაგრამ მისი მოძებნა გამოძიებას არ უცდია. ასევე არ ყოფილა დათვალიერებული ავტომანქანა მასზე ბოროტმოქმედების თითის კვალის ანაბეჭდის აღმოჩენის მიზნით, რის გამოც შემდეგში ბრალდებულის მიერ ჩვენების გადათქმის გამო შეუძლებელი შეიქნა ბრალდებულის ბრალის დადასტურება. ამას ადგილი არ ექნებოდა გამოძიებას თავიდანვე რომ მიექცია ყურადღება და აღმოეჩინა ველოსიპედზე ან ავტომანქანაზე ბოროტმოქმედების მიერ დატოვებული თითების ანაბეჭდი.

რამდენადაც კრიმინალისტიკა ფართოდ იყენებს და ეყრდნობა სხვადასხვა მეცნიერებათა მიღწევებს, ხოლო ეს მეცნიერებანი კი ვითარდებიან და წინ მიდიან, ამდენად ცვლილება უნდა ეტყობოდეს საგამომძიებლო ჩემოდანსაც, რომელიც საკმაო წლების მანძილზე

უცვლელია. მეცნიერების განვითარება და ტექნიკის ახალი მიღწევები თავის გამოსახულებას არ პოულობს ჩვენს ტექნიკურ შეიარაღებაში — საგამომძიებლო ჩემოდანში. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

ყოველად მიუღებელია ის პრაქტიკა, რომ შემთხვევის ადგილის ფოტოსურათს იღებენ არა გამომძიებლები, არამედ ფოტოგრაფები, ამის გამო შემთხვევის ადგილის ფოტო გადაღება ატარებს კუსტარულ ხასიათს, მასში უგულებელყოფილია ყველა იმ გამოცდილების გამოყენება, რაც ესოდენ ძვირფასი და აუცილებელია საქმისათვის და წარმოადგენს კრიმინალისტების მრავალი წლის გამოცდილების შედეგს.

აუცილებელია შემთხვევის ადგილის

არა მარტო ჩვეულებრივ ფოტო-აფსკზე გადაღება, არამედ მისი გადაღება ფერად აფსკზე, რის უპირატესობაც სადაო არაა და ის სირთულე, რაც ფერადი „ნეგატივის“ გამომქლავნებასა და ბეჭდვასთანაა დაკავშირებული შეიძლება გადაწყვეტილი იქნეს მათ სპეციალისტებთან შესრულებით.

საგამომძიებლო ჩემოდნის გამოყენება ნიშნავს კრიმინალისტური მეცნიერების პრაქტიკულ გამოყენებას. მისი სისტემატური და გულდასმითი გამოყენება აუცილებლად დააჩქარებს საქმეთა გახსნას.

### 3. სიმონიშვილი

ქ. თბილისის პროკურატურის უფროსი გამომძიებელი:

## საშოხ დანაშაულის ჩამდენ პირთა მიხარტო მუჯი სიქაჰკრაჷ საჭირკო

### ა. პაიჭაჰი

დანაშაულებასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობამ დიდად შეუწყო ხელი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას და დანაშაულის თავიდან აცილებას.


ჟუანასკნელ ხანებში პროკურატურის, მილიციის და სასამართლო ორგანოებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და სამხანაგო სასამართლოებს გადასცეს მრავალი საქმე იმ პირებისა, რომლებსაც მცირე მნიშვნელობის დანაშაული ქონდათ ჩადენილი. მათმა უმრავლესობამ გაამართლა საზოგადოების წიგობა.

პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოთა მუშაკებმა ძირითადად სწორად გაიგეს პარტიისა და

ქთავრობის ნითითება სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემისა და სასჯელის ზომის სწორად შეფარდებისათვის, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა.

პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების ზოგიერთმა მუშაკმა ცუდად გაიგო საკითხი იმ უფლების შესახებ, რომელიც მათ მინიჭებული აქვთ დამნაშავეთა დასჯისა თუ ამ დამნაშავეთა გამოსწორებისათვის მშრომელთა კოლექტივებზე აღსაზრდელად გადაცემის შესახებ.

ჩვენი ვალია გულისხმიერად მოვეკი-



დოთ იმ პირებს, რომლებმაც უმნიშვნელო დანაშაული ჩაიდინეს და მკაცრად დაესაჯოთ ისინი, ვინც განსაკუთრებით საშიშ დანაშაულს ჩადის.

კამფეტის ფაბრიკაში ლიფტზე მომუშავე ბ. ზ. ჯვარშიევილი გასული წლის 2 ოქტომბერს მთვრალი გამოცხადდა სამუშაოზე, რის გამოც მას შენიშვნა მისცა საამქროს ტექნოლოგმა გურამ ნიკოლოზის ძე გოგოლაშვილმა. ბ. ჯვარშიევილმა შენიშვნა იუკადრისა და დაემუქრა ტექნოლოგს „შენ დღეს საამქროდან ცოცხალი ვერ გახვალ“, დამუქრებიდან ერთი საათის გასვლის შემდეგ ბ. ჯვარშიევილმა ფინური დანა ჩასცა გულმკერდის არეში გ. გოგოლაშვილს და მძიმედ დასჭრა ის. გოგოლაშვილი სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა. მოსალოდნელი იყო, რომ ბ. ჯვარშიევილს მკაცრად დასჯიდა სასამართლო, მაგრამ ეს ასე არ მოხდა, ქ. თბილისის სტალინის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა აღნიშნული საქმე და ბ. ჯვარშიევილს ფორმალურად 10 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ვამბობ ფორმალურად, რადგან იმავე განაჩენით შეფარდებული 10 წელი პატიმრობა გაუნახევრა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ კი სახალხო სასამართლოს მიერ შეფარდებული ისედაც ლმობიერი სასჯელი ბ. ჯვარშიევილს 3-წლამდე შეუმცირა.

გასული წლის 24 დეკემბერს ანა მიხელის ასულმა იაკოვლევამ მძინარე ქმარს ფაიზულისს ქვა დაარტყა თავში და დარწმუნებული იმაში, რომ მოკლავ, მილიციის განყოფილებაში მივიდა და განაცხადა მკვლელობის შესახებ. ფაიზულისი სიკვდილს გადაურჩა. 26 კომისიის რაიონის სახალხო სასამართლომ (თავმჯდომარე ს. ბეგლაროვი) ა. იაკოვლევას 5 წლით პატიმრობა მიუსაჯა. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კო-

ლეგიამ კი შეუწყნარებელი ლმობიერება გამოიჩინა, როდესაც ა. იაკოვლევას დანაშაული გადააკვალიფიცირა სსრ 146 მუხლით. უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა, რომ მკვლელობა ჩადენილია უეცარი სულიერი აღელვების ნიადაგზე, რასაც სინამდვილეში ადგილი არ ქონია, რადგან შეუძლებელია, რომ მძინარე ადამიანი ვინმეს უეცარი სულიერი აღელვება გამოიწვიოს. ამრიგად მკვლელობის განმზრახველ ა. იაკოვლევას შეუფარდეს პირობითი სასჯელი და აღზრდა-გამოსწორებისათვის გადასცეს სარემონტო-სამშენებლო კანტორის კოლექტივს.

წარმოება-დაწესებულებათა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ცუდად გაიგო საზოგადოებრივი და კოლექტიური ორგანიზაციების შუამდგომლობის საკითხი, დამნაშავეთა მათთვის გადაცემისა, გამოსწორებისა და აღზრდისათვის. განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირები და ის დამნაშავეებიც, რომლებიც წინათ სხვა დანაშაულისათვის არა ერთხელ ყოფილან მსჯავრდადებულნი, ღირსი არ არიან კოლექტივის მხრივ ზრუნვისა.

ვ. ლებანიძე წინათ სასამართლოს მიერ ქურდობისათვის გასამართლებული და მსჯავრდადებული იყო. სასჯელისაგან განთავისუფლების შემდეგ მან ლოთობას მიჰყო ხელი. გასული წლის 12 ივნისს მან თავის ორ ამხანაგთან ერთად ატეხა დებოში, უმიზეზოდ ცემა დაუწყო ქუჩაში მიმავალ მოქალაქეებს, წესრიგის დასაცავად ადგილზე მისულ მილიციის მუშაკს ოგანოვს გადაუბრუნა მოტოციკლი, მიაყენა სიტყვიერი შეურაცყოფა და ააგლიჯა სამხრეები.

თბილისის საავეჯო კომბინატის დირექტორის მოადგილემ აშხ. დუნდუამ იცოდა ვ. ლებანიძის მიერ ჩადენილ ამ თავაწყვეტილი ხულიგნობის შესახებ

და, მიუხედავად ამისა, მაინც აღძრა შუამდგომლობა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის პროკურატურის წინაშე, რათა ვ. ლებანიძე გაეთავისუფლებინათ პატიმრობიდან და იგი გადაეცათ საავჯო კომბინატის კოლექტივისათვის აღსაზრდელად. რაიონის პროკურატურა სწორად მოიქცა, როდესაც არ მიიღო ეს უსაფუძვლო შუამდგომლობა.

ქ. თბილისის პროკურატურამ სასამართლოს გადასცა მასწავლებელ ა. ლ.-ს გატაცება-გაუპატიურების საქმე. არადამიანური მხეცური დანაშაული აქვთ ჩადენილი ამ საქმეში პასუხისგებაში მიცემულ და დაპატიმრებულ ო. პაპუჩელაშვილს და მის დამხმარეებს: ნ. გიგაურს, ს. პაპუჩელაშვილს, გ. ცისკარიშვილს, ო. ერადეს, დ. ვაჟიკაშვილს და ო. ლაფანაშვილს. გასული წლის 23 მაისს ო. პაპუჩელაშვილი თავის ამხანაგებთან ერთად შეუთანხმდა ტაქსის მძღოლ ო. ერადეს, გადაუხადეს ამ უკანასკნელს 500 მანეთი (ძველი ფულით) და ძალის და იარაღის გამოყენებით გაიტაცეს მასწავლებელი ა. ლ., რომელიც მიიყვანეს სოფელ კობორტში მცხოვრებ დ. ვაჟიკაშვილის ბინაში. ამ უკანასკნელმა ინახულა ამავე სოფლის მცხოვრები, მძღოლი ო. ლაფანაშვილი, რომელმაც სხვა ბოროტმოქმედთა დახმარებით ა. ლ. ძალით შეათრია მანქანაში და გაიტაცა ტყეში. ო. პაპუჩელაშვილმა გონებადაკარგული ქალი ტყეში გააუპატიურა.

დღეშეთის სახელმწიფო საჯიმე ფუტკრის მეურნეობის დირექტორმა ლოქაბიძემ კარგად იცოდა მისი თანამშრომელის ო. ლაფანაშვილის აქტიური მონაწილეობის შესახებ ბოროტმოქმედებაში და მიუხედავად ამისა ადგილკომთან ერთად მაინც აღძრა პროკურატურაში შუამდგომლობა ო. ლაფანაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის მოსპობისა და მასალების მათზე გადაცემის შესახებ. პროკურატურამ


სავსებით სამართლიანად უარით უპასუხა ამ აშკარად უსაფუძვლო შუამდგომლობას. ო. ლაფანაშვილი სასამართლოს მიერ მკაცრად იქნა დასჯილი, მას მიესაჯა პატიმრობა 8 წლის ვადით.

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ბრძოლა გაფლანგვა მტაცებლობის წინააღმდეგ. ეს საყვედური შეეხება არა მარტო პროკურატურას, მილიციის და სასამართლოს მუშაკებს, არამედ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელებსაც. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდად დგას საკითხი „საქწიგნის“ სისტემაში. როგორც პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმებით დადგინდა, აქ ადგილი ქონდა გამფლანგველთა მფარველობის შემთხვევებს.

№ 23 მაღაზიის გამგე მიხელსონს და პასუხისმგებელ გამყიდველ სუჯიაშვილს 7. 682 მანეთის დანაკლისი (ძველი ფულით) აღმოაჩნდათ. ნაცვლად იმისა რომ გამფლანგველის საქმე პროკურატურას გადაცემოდა, ისინი მხოლოდ სამუშაოდან გაანთავისუფლეს. დირექციამ, ასევე, № 5 მაღაზიის მუშაკებს ბაქრაძეს და სამხარაძეს 8435 მანეთის (ძველი ფულით) მითვისებისათვის სამუშაოდან დათხოვნა აკმარა.

1960 წლის 22 აპრილს ქ. თბილისის სტალინის სახელობის რაიონის მილიციაში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საქართველოს სსრ რადიოფიკაციის სამმართველოს მუშაკების მიმართ და ქვემდებარეობით გამოსაძიებლად გადაგზავნილი იქნა სტალინის სახელობის რაიონის პროკურატურაში.

საქმეზე გამოძიება ჩაატარა პროკურორის თანაშემწე ი. გიორგობიანმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეორე მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ პასუხისგებაში



მისცა: საწყობის გამგე დ. მოშინსკი, სა-  
მუშაოს მწარმოებლები ვ. ჭანტურია, ნ.  
ქინქლაძე და სხვები, აგრეთვე მანქანის  
მძღოლი გ. აფციაური.

დ. მოშინსკი მუშაობდა რა რადიო-  
ფიკაციის სამმართველოს საწყობის გა-  
მგეთ, დანაშაულებრივ კავშირში იყო  
სხენებულ პირებთან და მათთან ერთად  
საწყობიდან დაიტაცა 3000 კილოგრამი  
მოთუთიებული მავთული 15.600 მანე-  
თის (ძველი ფულით) ღირებულების და  
ვ. კახიძის და გ. აფციაურის საშუალებ-  
ებით მოახდინა დატაცებული მავთუ-  
ლის რეალიზაცია.

იმ მიზნით, რომ დატაცებული 3000  
კილოგრამი მავთულის დანაკლისი დაე-  
მალათ, დ. მოშინსკი დაუკავშირდა სა-  
მუშაოთა მწარმოებლებს: ვ. ჭანტური-  
ას, ნ. ქინქლაძეს და ა. მარჯანიშვილს  
და მოაწერინა მათ ხელი 2489 კილოგ-  
რამ მავთულის მიღებაზე, სინამდვილე-  
ში მავთული მათ არ მიუღიათ და მავ-  
თულის ნაცვლად ფული მიიღეს.

1960 წლის 8-9 აგვისტოს სტალინის  
სახელობის რაიონის სახალხო სასამარ-  
თლომ განიხილა საქმე და დ. მოშინს-  
კი, ვ. ჭანტურია, ნ. ქინქლაძე და სხვე-  
ბი სცნო დამნაშავეთ წარდგენილ ბრა-  
ლდებაში და სასჯელის ზომით შეუფარ-  
და თვითუფლს 10-10 წლის პატიმრობა.  
დ. მოშინსკის მიმართ გამოიყენა სსკ  
48—მუხლი და პატიმრობა შეუცვალა  
1 წლით იძულებითი მუშაობით, ხოლო  
ვ. ჭანტურიას, ნ. ქინქლაძესა და სხვე-  
ბის მიმართ გამოიყენა სსკ 50 მუხლი  
და პატიმრობა შეუცვალა 2—2 წლის  
პირობითი მსჯავრით.

სახელმწიფო ქონების მტაცებელთა  
მიმართ სახალხო სასამართლოს ასეთი  
აშკარა უღირსი ღმობიერება არ უნდა  
გამოჩინა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ  
დასახელებული განაჩენი რაიონის პრო-  
კურატურას არ გაუპროტესტებია.

მსჯავრდადებულების ვ. ჭანტურიას  
და ა. მოკაჩანიშვილის საჩივრის საფუძ-

ველზე 1960 წლის 30 აგვისტოს უმაღ-  
ლესი სასამართლოს სისხლის სამართ-  
ლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ  
განიხილა საქმე და სახალხო სასამარ-  
თლოს განაჩენზე წარდგინებით შევიდა  
უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომე-  
რესთან, რათა შეტანილი ყოფილიყო  
პროტესტი საქართველოს სსრ უმაღ-  
ლეს სასამართლოს პრეზიდიუმში გან-  
ჩენის გასაუქმებლად, როგორც ღმო-  
ბიერი.

უმაღლესი სასამართლოს პრეზიდი-  
უმმა გაიხიარა პროტესტი და განაჩენი,  
როგორც ღმობიერი გააუქმა ყველა  
მსჯავრდადებულის მიმართ და საქმე,  
როგორც არა სრულყოფილად გამოძიე-  
ბული დააბრუნა დამატებითი გამოძიე-  
ბის ჩასატარებლად.

საქმე განმეორებით განიხილა სტა-  
ლინის სახელობის რაიონის სახალხო  
სასამართლომ. თ. გერსამიას თავმჯდო-  
მარეობით და მთავარ დამნაშავეებს,  
მართალია სხვადასხვა ვადით პატიმრო-  
ბა მიესაჯა, მაგრამ თუ პირვანდელი გა-  
ნაჩენით აშკარად ღმობიერი სასჯელი  
შეეფარდათ ამ საქმეზე პასუხისგებაში  
მიცემულ ძირითად დამნაშავეებს და  
მათ თანამონაწილეებს, აჩვენადაც თ-  
გერსამიამ ვერ გამოიჩინა საფუძვლი-  
ანი, სამართლიანი სიმკაცრე. დატაცება-  
ში თანამონაწილე გ. აფციაურის და  
სხვების მიმართ, სახალხო სასამარ-  
თლომ კვლავ გამოიყენა სსკ 48 და 50  
მუხლები და შეფარდებული სასჯელები  
10—10 წლის პატიმრობა შეუცვალა  
იძულებითი მუშაობით და პირობითი  
სასჯელებით. ამ საქმეზე უკანასკნელად  
გამოტანილი განაჩენი, როგორც ღმო-  
ბიერი გაპროტესტებულია.

ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში  
იყო მიჩქმალული ცეკავშირის თბილი-  
სის ჟენიერსალური ბაზის ფეხსაცმელებ-  
ის სექციის გამგის ფოფხაძის მიერ  
ჩადენილი ბოროტმოქმედება. ფოფხა-  
ძეს ჩატარებული რევიზიით 25.000 შა-

ნეთამდე (ძველი ფულით) დანაკლისი გამოუვლინდა, მასვე უფაქტუროდ აღმოაჩნდა სექციაში ზედმეტად შეტანილი 8000 მანეთის საქონელი. ამ დანაშაულისათვის ცეკავშირის განგებობამ ფოფხაძე გაანთავისუფლა სამუშაოდან როგორც შეუფერებელი, სარევიზიო მასალები კი გულმოდგინეთ შეინახეს მანამდე, სანამ ამ საქმეში არ ჩაერივნ სათანადო ორგანოები.

სამწუხაროდ, განსაკუთრებით საშიში დანაშაულის ჩამდენი პირებისადმი სახელმწიფო და საზოგადო ქონების გამფლანგველებისა და მტაცებლებისადმი ლიბერალური დამოკიდებულების და მფარველობის მსგავსი შემთხვევები ერთეული არ არის. იმ პირებს ვინც მათ მფარველობას უწევს, სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის წარმოებისათვის საჭიროა

მკვეთრად ამაღლდეს გამოძიების ხარისხი, ყველა საჭირო ღონისძიება უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ ადგილი არ ქონდეს საქმეთა გამოძიებისა და განხილვის გაჭიანურების შემთხვევებს.

საკმარისია ითქვას, რომ 1960 წლის I ნახევარში გამოძიებით დამთავრებულ საქმეებიდან 6,9 პროცენტი ვადის დარღვევით იყო გამოძიებული, ხოლო 3,5 პროცენტი საქმეებისა როგორც უხარისხოდ გამოძიებული დამატებითი გამოძიებისათვის დააბრუნა სასამართლო ორგანოებმა.

კანონის მთელი სისასტიკით უნდა დავსაჯოთ მკვლელები, მძარცველები, გამფლანგველები, საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დამრღვევი პირები, ყველა ნაძირალები, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს საზოგადოებრივ წესრიგს.



## ქველი ქართული სამოსამართლო მკვირვებულება

### ნიკოლოზ კანდელაკი

სამოსამართლო ორატორული ხელოვნება საპოლიტიკო ზეპირი მეტყველების პარალელურად ვითარდებოდა თითქმის ყოველთვის და მისივე წარმატებას იზიარებდა სხვაგვარი დროის განმავლობაში. მათი ანალოგიური წინხელის პროცესი გრძელდება მთელი ადრე-ანტიკური, გვიან-ანტიკური და საშუალო საუკუნეების მანძილზე. მხოლოდ ახალი ეპოქის სამოსამართლო მეცვრმეტყველება ჩამორჩა საპოლიტიკო ზეპირ მეტყველებას და შედარებით ვიწრო პროფესიული გზით წარიმართა. ამ ვითარებას სათავე მისცა საფრანგეთის რევოლუციამ. რომლის განთქმულმა ორატორებმა თავიანთი მგზნებარე პოლიტიკური მეცვრმეტყველებით დაჩრდილეს ყველა სხვა დარგის ორატორული ხელოვნება, მათ შორის სამოსამართლო ზეპირი სიტყვაც. მიუხედავად ამისა XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში წინხელის გზაზე დგას ფრანგული სამოსამართლო მეცვრმეტყველება, ხოლო XIX საუკუნის მეორე ნახევარში ის რუსულ სამოსამართლო მეტყველებასთან ერთად აღწევს განვითარების უაღრესად მაღალ დონეს. ამ პერიოდის რუსეთისა და საფრანგეთის საზოგადო მოღვაწეებმა, მწერლებმა და ვეჭილებმა თავიანთ ორატორულ შემოქმედებაში ერთმანეთს შეუთავსეს საპოლიტიკო და სამოსამართლო საკითხები და არსებული სოციალ-პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ მიმართეს სამოქალაქო მოტყვევებით გაუღწეოლი ბასრი მეტყველება.

ქართული სამოსამართლო მეცვრმეტყველების ისტორიული წარსულის ერთ მახვილებელს წარმოადგენს იოანე პეტრიწის „განმარტების“ ბოლოსიტყვაობაში დაცული ცნობა „მე უკვე ქრობის“ შესახებ<sup>1</sup>. ამ ტერმინში პეტრიწი სამოსამართლო მეტყველებას გულისხმობს და ორატორული ხელოვნების ძირითად სახეთა შორის იხსენებს მას. ეს საგულისხმო ცნობა სარწმუნოდ ხდის ხსენებული დარგის არსებობას ჩვენში, მაგრამ მისი სათანადო სისრულით შესასწავლად საჭიროა ზოგიერთი სხვა საკითხის გარკვევა. ასეთია, მაგალითად, დამც-

ველთა ინსტიტუტის არსებობისა და მასთან მოსაზღვრე საკითხების წრე.

სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სამართლის ისტორიის ეს საკითხები დღეს საქმაოდ შესწავლილია ჩვენი მეცნიერების მიერ. მათ შორის უმთავრესი დამსახურება მიუძღვის ივანე ჯავახიშვილს, რომელმაც განუზომელი ამაგი დასდო ძველი ქართული იურისპრუდენციის შესწავლის საქმეს. მან შექმნა ჩვენი სამართლის ისტორია და ნათელი მოიხსნა ეროვნული კულტურის ამ მეტად მნიშვნელოვან სფეროს. ასეთ მყარ და სარწმუნო ნიადაგზე დაყრდნობით წინათ ბევრი უცნობი და ბუნდოვანი მოვლენა იქნა გარკვეული. ამ მოვლენათა რიგს ეკუთვნის ბრალდებულის დამცველთა არსებობის საკითხი ძველ საქართველოში.


ვიდრე მას შევეხებოდეთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი სამართლის პირველწყაროებსა და მასალებში მოიპოვება ბევრი საყურადღებო დოკუმენტი, რომელთა შინაარსი ან ადასტურებს რაიმე არსებულ მოვლენას, ან მიუთითებს რომელიმე სავარაუდო ფაქტზე. ასეთი პირდაპირი და არაპირდაპირი ჩვენების გზებით უცილობლად დასტურდება დამცველთა ინსტიტუტის არსებობა ჩვენში უძველესი დროიდანვე.

ერთ ასეთ გზას წარმოადგენს სიგელ-გუჯრების ჩვენებანი, რომელთა შესწავლამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა აკად. ი. ჯავახიშვილი; „საფიქრებელი სდება, რომ ბრალდებულთ სასამართლოში დამცველებიც შეიძლება ჰყოლოდათ, რომელნიც ბრალდებულის პასუხისმგებლობისაგან განსათავისუფლებლად. თუ მოსალოდნელი მსჯავრის სიმკაცრის შესამსუბუქებლად მოსამართლეს სხვადასხვა საბუთსა და მოსაზრებას უდგენდნენ. ასეთ დამცველს „მეონი“ ჰრქმევია“<sup>2</sup>.

შემდეგ მეცნიერი განაგრძობს: „ბრალდებულისა და მეონის „წარმოდგომა და „წინაშე საყდრის წარდგომა“, როგორც ჩანს, სასამართლოს წარმოე-

<sup>1</sup> იოანე პეტრიწი, შრომები, II, გვ. 223.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, 1929, გვ. 497.



ბის სავადღებულო წესი უნდა ყოფილიყო<sup>1</sup>.

აქ დამცველის ფაქტობრივ დამოწმებასა და უფლებრივ ფუნქციებთან ერთად ნახსენებია მისი უძველესი ქართული სახელწოდება მეოხსი, რაც დღეს გავრცელებული უცხო წარმომავლობის — არაბული ვეჟილისა და ლათინური ადვოკატის შესატყვისია. მათ შორის პირველს იცნობს ძველი ქართული წყაროებიც. ასე, მაგალითად, პროფ. ილ. აბულაძის მოწმობით სამოციქულო თარგმანის ერთი ძველი ხელნაწერის კაბადონის კიდულე ეფრემ მცირე აღნიშნავს „შეისწავე, რამეთუ ამას სვინოლოროსსა, რომელ არს თანამოსარჩლე, მესხთა მიერ ვარქირი ჰქვიან, მიხედვით მოყვანებულსა მოსარჩლესა“<sup>2</sup>.

იმვე ტერმინს საბა ასე განმარტავს: „თანამოსარჩლე, ვაქირი მიხლური მოსარჩლე, რომელ არს სვინოლოროსი“. ორივე განმარტების მიხედვით არაბული ვარქირი ვაქილი ვაქირი იგივე ბერძნული სვინოლოროსი, სვინოლოროსი, სვინადროსი დღევანდელ ქართულში გავრცელებული ვეჟილის შესატყვისია, რომლის გვერდით ძველ ქართულში თვითმყოფადი წარმოშობის მეოხსიც არსებულა.

ეს არის ამ ჩვენებათა ერთი მხარე.

აქ არის მეორე, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი მხარე, რომელიც გვაცნობს ხსენებული ცნების სხვა ქართულ ფორმებსაც. ეს ფორმებია: თანამოსარჩლე და მოსარჩლე. როგორც ჩანს, ეს ტერმინებიც ყოფილა გავრცელებული ძველად ჩვენი სამართლის წარმოებაში. ამასვე მიუთითებენ დამცველის გვიანდამოწმებული სახელები: ქიმაცი და მონაცვლეკაცი, რომელიც არსებული წყაროების მიხედვით XVIII საუკუნის კულტურულად უნდა მივიჩნიოთ. ამ უკანასკნელი წოდების აზრი ნათლად განსაზღვრულია დავით ბაგრატიონის მიერ „საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვაში“, რომლის 750—753 მუხლებში ნათქვამია:

Поверенные должны быть люди испитанной честности, деятельности, безпристрастия и исправно знающие свое дело.

Когда поверенный возмет на свои руки какое-нибудь дело, то обязан иметь попечение о скорейшем окончании процесса и о сохранении интересов.<sup>3</sup>

ამ საყურადღებო ცნობით, შეიძლება ითქვას, გადამწვევები ძალა ენიჭება იმ მოსაზრებას, რომლის მიხედვით საქართველოში აღრიდანვე უნდა არსებულიყო საგანგებო უფლებით აღჭურვილი დამცველთა ინსტიტუტი. ამრიგად, მართებულად უნდა მივიჩნიოთ თანამედროვე მკვლევართა დადებითი დასკვნები ბრალდებულის დამცველთა არსებობის შესახებ ძველ საქართველოში.

ერთი ასეთი დასკვნა ეკუთვნის პავლე ინგოროყვას, რომელიც „მერჩულეთა“ ინსტიტუტის რაობასთან დაკავშირებით შემდეგს აღნიშნავს: „მე-10-11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერი იურიისტები, რომელთაც ეწოდებოდათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მოიწვეოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს — სახელმწიფო დარბაზის — სსდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს“<sup>4</sup>.

სპეციალურ ნარკვევში — „ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში“ — მკვლევარი აბ. როგავა საისტორიო ხასიათის არგუმენტების გათვალისწინებამ ასეთ დასკვნამდე მიიყვანა: „საქართველოში უძველეს დროიდანვე, არაუგვიანეს IV საუკუნისა (ფოთის აკადემიის არსებობის დროიდან), არსებობდა ადვოკატთა, პროფესიონალ „მეოხთა“ ინსტიტუტი, რომლის მრავალსაუკუნოვან პროფესიულ-კულტურულ ნიადაგზე XI-XIII საუკუნეებში, ცხადია, უნდა წარმოშობილიყო ადვოკატურის უფრო განვითარებული ფორმა“<sup>5</sup>.

ბაგრატ მეოხის ცნობილ სიგელში ხსენებული „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ პ. ინგოროყვას მართებული აზრით საერო სამართლის დარგის საგანგებო წარმომადგენლებია, რომლებიც თავიანთი სპეციალური განათლებისა და მაღალი თანამდებობის კვალობაზე აწარმოებდნენ საბჭოთა საქმეების კვლევა-ძიებას. სამართლებრივი საქმეების ასეთი წარმო-

1 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 1, 1929, გვ. 498.


2 საქმე მოციქულთა, გვ. 12—13

3 დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონთმცოდნეობის მიმოხილვა, გამოც. ა. როგავასი, 1909, გვ. 346.

4 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 23.

5 აბ. როგავა ადვოკატთა ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში, ჟურნ. „საბჭოთა სამართალი“, № 4, 1958, გვ. 38.

6 იხილეთ პ. ინგოროყვას დასახელებული წიგნი, გვ. 23.



ება, უნდა ვიფიქროთ, მწყობრად გამოთქმული აზრების დაპირისპირებით ანუ პაექრობით მიმდინარეობდა და მხარეთა კამათის სახით ტარდებოდა. ამის დასტურს წარმოადგენს იმავე დოკუმენტის ცნობა: „რომელი სიტყვის გეზაი იყო მათ შორის, მოვისმინეთ“<sup>1</sup>.

საგულისხმოა, რომ აქ, და სხვა იმდროინდელ ძეგლებში, პაექრობის აზრით სხენებული სიტყვის გეზა შემდეგ ხანებში ბრალდებულის თავისგანსამართლებელ სიტყვას შეერთებ<sup>2</sup>. ეს ერთი საბუთია იმისა, რომ ქართული სამართლის უძველესი ტრადიციები მუდამ აქტიურ ძალას იჩენდნენ ეროვნული მართლმსაჯულების წარმოებაში. ამავე წარმოების სიმტკიცის მაჩვენებელია ჩვენი მდიდარი, ტევადი და პროგრესული კლასიკური კანონმდებლობა, რომლის წერილობით ძეგლებს უზვად მოუღწევიათ ჩვენამდე თითქმის ყოველი ეპოქიდან და ფრაგმენტული თუ სრული სახით შემოუნახავს ძველი სამართლის მშობლიური მონაპოვარი.

ეს საუნჯე თავისთავად მტყვევლებს იმის თაობაზე, რომ ქართველებს მისი შესაფერისი სამოსამართლო მკვებრმეტყველება უნდა ჰქონოდათ თავის დროზე, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ უკანასკნელს მოსალოდნელი სიუხვით არ მოუღწევია ჩვენამდე. პირაქით, ერთი შეხედვით სრულიად მოულოდნელი სიცარიელე იქცევს ჩვენს ყურადღებას სამოსამართლო ორატორული ხელოვნების სფეროში. მხოლოდ საგანგებო დაკვირვებით შეიძლება მივაგნოთ ჩვენთვის მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტებს.

ამ ფაქტების მიხედვით ქართული სამოსამართლო მკვებრმეტყველება შეიძლება გაიყოს ორ ნაწილად, რომელთაგან პირველი ბერძნულ-რომაულ გავლენას ატარებს, და უფრო ადრინდელია, ხოლო მეორე ორიგინალური შემოქმედებით ხასიათდება, და შედარებით გვიანდელია. ეს უკანასკნელი თავისი წარმოქმნის დროით ემთხვევა სხენებული გავლენის დასასრულს და შემდეგ საკუთარი გზით განაგრძობს განვითარებას თვითმყოფადი ეროვნული კულტურის საფუძველზე.

პირველი სახის მკვებრმეტყველების სრული და ტიპური ნიმუშია კოლხთა წარმომადგენლის საბრალმდებლო სიტყვა გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლებაზე<sup>3</sup>, ეს სიტყვა და მი-

სი შემხები ცნობები დატულია აგათა სქოლასტიკოსის საისტორიო თხზულებაში. ამ ცნობების მიხედვით ბიზანტიის კეისარმა იუსტინიანემ, რომელსაც კარგად ჰქონდა შეგნებული კოლხეთთან კავშირის დიდი მნიშვნელობა, 554 წელს, არქეოპოლისში მოაწყო გუბაზ მეფის მკვლელობა გასამართლება. სასამართლოში საბრალმდებლო სიტყვა უთქვამს კოლხთა წარმომადგენელს. ამ ორატორის სახელს ისტორიკოსი არ ასახელებს. მას ნათქვამი აქვს: „კოლხთა კაცები, რომელნიც ბრალმდებლობა იყვნენ დანიშნულნი, წამოადგნენ მამინვე, როდესაც მსაჯულმა გამოუცხადა — თქვენი ბრალდებები წამოაყენეთ თუ გსურთო — და, რადგან საბრალდებო ბევრი ჰქონდათ სათქმელი, თქვეს შემდეგი“<sup>4</sup>.... ამას მოსდევს საბრალმდებლო სიტყვის ტექსტი.

კოლხთა წარმომადგენლის საბრალმდებლო სიტყვა მწყობრი მტყვევლებისა და თანმიმდევრული მსჯელობის იშვიათი მაგალითია. ის გამართულია მყარი და პირდაპირი ლოგიკური წყობით და განმტკიცებულია წესბრალ მიზანმიმართული ეფექტური არგუმენტებით. მთელი ქმნილება მჭიდროდ შეკრული და უზარველოდ შეერთებული ნააზრევია, რომლის იდეურ საყრდენს საზღვრავს ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე სამართლიანი შურისგება. ამ შინაარსობლივ მხარეს სიტყვაში ძალას აძლევს გულგრილობის საფარველით შენიღბული შინაგანი გუნება, რომლის სინათლით შეფერილია ნაწარმოების გარეგნული სახე. აზრის, ფორმისა და დამაჯერებლობის შარმონიული შეთავსებითა და განუყოფელი ერთიანობით ხასიათდება ეს შორეული წარმოშობის ორატორული ძეგლი, რომელსაც თავისი ღრმა ბუნებრივი არსებისა და მაღალი ხელოვნური ოსტატობის წყალობით დღემდე არ დაუკარგავს შემოცნებითი მნიშვნელობა.

ორატორი იწყებს ფაქტის კონსტატაციით:


„ჩვენ რომ კიდევაც არაფერი ვთქვათ, მსაჯულო, თვით ჩადენილი ბოროტმოქმედება საკმარისია იმისათვის, რომ მის ჩამდენთ უდიდესი სასჯელი მიეზღოს. მაგრამ თქვენი კანონების მიხედვით თვით აშკარა და უდიდეს უკანონო მოქმედებათა შესახებაც კი მიღებულია, რომ განაჩინი არ იქნეს გამოტანილი, სანამ საქმე არ

<sup>1</sup> საქართველოს სიძველენი, II, გვ. 3.

<sup>2</sup> ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2, 1929, გვ. 497.

<sup>3</sup> ქართული მკვებრმეტყველება, გამოცემული ნ. კანდელაკისა, 1958.

<sup>4</sup> გორგიჯი, III, განოც. ს. ყაუხჩიშვილისა, 1936, გვ. 116—121, გვ. 129.



იქნება გარჩეული სიტყვიერი პაექრობის საშუალებით<sup>1</sup>.

სიტყვის შემდეგ ნაწილში ორატორი ჩერდება კოლხო მძიმე მდგომარეობაზე და ლოგიკური გზით ასკვნის რომის პოლიტიკური ვითარების გაუარესებასაც, რადგან „თუ სახელმწიფო ყოველმხრივ არ არის გამაგრებული და ერთს რომელსაზე ნაწილში მოდუნებულია, ვეღარ იარსებებს წესიერად; პირიქით, ის თავის სახელწოდებასაც ტყუილა ატარებს, ვინაიდან ის მოკლებულია თავისუფალი არსებობის საშუალებას“<sup>2</sup>.

ყოველივე ამის მიზეზად ბრალმდებელი დამნაშავეთა საქციელს ასახელებს და მკაცრად ამხელს მათ ცბიერ, მოღალატურ და მანკიერ ბუნებას. ორატორი უთითებს მკვლელთა შეუწყნარებელ მასინჯ მხარეებზე — ამჟღავნებს მათ მაცდურობას, ორპირობასა და ვერაგობას. მას უმძიმეს ბოროტმოქმედებად მიაჩნია დამნაშავეთა მზაკვრული მონაგონი, თითქოს ქვეყნის სასარგებლო საქმე ჩაიდანეს. ის აქ ხედავს აღმაფოთებულ პირფერობასა და შეურიგებულ წინააღმდეგობას, რასაც ნიღაბს ხდის შემდეგი ბრძნული გამონათქვამით:

„იმთავითვე ხომ სარგებლობა და უკანონობა ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნებებს წარმოადგენენ, სიმხეცე და სამართლიანობა ერთიმეორეს დაშორებული იყვნენ და შეურვეგლნი, მათი ერთად არსებობა არასდროს არ ყოფილა შესაძლებელი“<sup>3</sup>.

ბრალმდებელი თანდათან ავიწროებს მეტყველების თემატიკურ არეს და კონკრეტული ფაქტების გამოვლენით ამხნველებს მსმენელთა ყურადღებას; ის ამჟღავნებს უსამართლო მოქმედების შედეგს, ღრმა აზროვნების სინათლით წვდება ჩადენილი ბოროტების მიზეზს და უღმობელი ლოგიკის ცეცხლით ანადგურებს მოპირდაპირის უკანასკნელ საფარს.


ორატორი ამბობს:

„მოწინააღმდეგეა და მტერს ხომ საქმის მიხედვით გამოიცნობ ადამიანი და არა სიშორის მიხედვით. ცხადია, მტრად უნდა ჩათვალო ის, ვინც იმას აკეთებს ხალხით, რაც მოწინააღმდეგეებს ესამოვნებათ, თუნდაც ის შენთან იყოს და შენთან ერთად დაშქრობდეს და ახლო ნათესაურ კავშირში იყოს შენთან. ეხლა: ისინი ამბობენ, რომ მოკლეს არა მეგობარი, არა მეფე, არამედ მტერი, ტირანი და სპარსელების მომხრე... რომელი კანონი — თქვენი ან ბარბა-

როსებისა — მოიწონებს ასეთ მდგომარეობას. რომ ჯერ განაჩენი გამოუტანო ადამიანს და მერე წაუყენო ბრალდება? ისინი თვითონ არიან მსაჯულებიც, მტრებიც და ბრალმდებლებიც. ყველაფერი ერთად შეასრულეს და საქმის გაურჩევლად სრულიად უდანაშაულო კაცს ისეთი სასჯელი არგუნეს, როგორც შეეფერებოდა მართლაც ტირანობაში გამტყუნებულს. ეხლა კი, როდესაც თავის გამართლება სჭირდებათ, მოდიან და ბრალსა სდებენ უსამართლოდ დასჯილ კაცს; სანამ მას მოჰკლავდნენ, სჭირო იყო. თუ კი ისინი დარწმუნებული იყვნენ ბრალდებათა სისწორეში, საქვეყნოდ მიეცათ ის სამართალში და თვით პირველნი გამოხუთიყვნენ ბრალმდებლებად და არა ისე, როგორც ეხლა მოხდა: როდესაც ისინი თვით არიან ბრალმდებლნი, საპასუხო ბრალდებას აყენებენ. თუ ეს ყველასათვის ნებადართულია, რა გვშუალია ხელს ჩვენც საკუთარი ხელით მოგვეკლა ეს სისხლისმსმელები? ჩვენც, სამართლაში მიცემულნი, მათ, უკვე მიცვალებულთ, ბრალდებად წაფუყენებდით მათ მიერ წინათ ჩადენილ შეცოდებებს, და ამით შევეცდებოდით, სრულიად სამართლიანად, სამაგიერო შეგვეცოდა: ჩვენ ხომ ძალიან აღელვებული ვართ წინათ მათ მიერ აშკარად ჩადენილი საქციელთა და სამართლიანად ვიძიებდით შურს! დავაც წესიერად წარიმართებოდა. მაგრამ არც ჩვენ, არც სხვებმა ამგვარი რამ არ უნდა გავბედოთ, თუ სახელმწიფო კანონების საფუძველზე ვაპირებთ ცხოვრებას. წარმოიდგინეთ, თუ ყოველ მსურველს ასე ერთბაშად შეეძლება საკუთარი მტრების მოკვლა, ამგვარი საქციელის ხშირად ჩადენა მიგვიყვანდა უსაზღვრო თავხედობამდე, და როგორღა შეგარჩებოდათ თქვენ შესაძლებლობა თავისუფალი და დაუბრკოლებელი განსჯისა? ყველა რომ უღვტას დაიწყებს და გაუღვტელი იქნება და თამამად მიმართავს ერთმანეთის წინააღმდეგ მახის დაგებას, თქვენ ვეღარ შესძლებთ სასჯელის დადებას: უაზროდ დაიხოცება მთელი მოდგმა და გამოძიების საშუალებას წინასწარ მოსაბობს იმათი უკანონო საქციელი, რომლებიც ყოველთვის სამაგიეროს გადახდას მიმართავენ“<sup>4</sup>.

ორატორი ისევ უბრუნდება ბოროტმოქმედების აქტს, ირგვლივ უტრიალებს მომხდარ უბედურებას, ასწერს მკვლელთა მოტივებს, მიუთითებს მათს უსაფუძვლობაზე, და რომაელთა

1 ქართული მკვერმეტყველება, გვ. 116—117.  
 2 ქართული მკვერმეტყველება, გვ. 117.  
 3 ი-ვე გვ. 117—118.  
 4 იქვე გვ. 118—119.



პირსუფთველი სამართლის მოხსენებით ამზადებს ნიდაგას სასურველი განაჩენისათვის.

გალამწყვეტი რწმენის შესაქმნელად ბრალ- მდებელი იმაღლებს ხმას და რიტორიკული გან- მფორების გზით ასურათებს გუბაზის ადამიანურ და მეფურ სიღიადეს.

ორატორი ასე მიმართავს რომაელ მსაჯუ- ლებს:

„ვინ იყო რომ სპარსელთაგან დანაპირებ სიმდიდრესა და ყოველნაირ სიკეთეს ამჯობინა თქვენდამი კეთილი განწყობილება? ვინ იყო რომ ხოსროს მეგობრობა უკუაგდო და იმ დროს როდესაც ეს მეგობრობა უდიდეს სიმ- დიდრეს უმზადებდა მას, თქვენგან მცირედსაც დასჯერდა? ვინ იყო რომ წინათ, როდესაც ეს ქვეყანა დიდი ხნის განმავლობაში მიდიელების სათარეშოდ იყო გაზღარი და თქვენი დამხმარე ჭარები იგვიანებდნენ, მაშინვე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი და თვით კავკასიონის მწვერვალებზე გადასახლდა, სადაც თითქმის ვულსურ ცხოვრებას ეწეოდა, და მან ეს უფრო ამჯობინა, ვიდრე მტრის მეგობრობა გამოეყენებინა, შინ ჩასულიყო და განცხრომით ეცხოვრა? ვინ იყო ეს? ეს იყო გუბაზი, რომე- ჯიცი არ უშინდებოდა, არავითარ გაჭირვებას, თუ კი თქვენი გულისთვის იყო ეს აუცილებელი. ხად ხართ კანონებო, ხად არის სამართალი!“

ასეთი მძლავრი და ზვიადი გამონათქვამით ამთავრებს კოლხი ორატორი სიტყვის ძირითად ნაწილს, რომლის შემდეგ კიდევ რამდენიმე მახვილი მოსაზრებით ასუქებს საქმის ვითარებას, მოავრუნებს მსაჯულს მაღალ დანიშნულებას და მეტად მკაცრი, მაგრამ დიადი სამართლიანი განაჩენისაკენ მოუწოდებს სამართლოს.

\* \* \*

ქართული ორიგინალური სამოსამართლო მკვერმეტყველების სათავეები დამოწმებულია ადრინდელ აგიოგრაფიულ მწერლობაში. აქ მწუნად და გაკვრით წარმოდგენილი მასალით შეიძლება ვივარაუდოთ ჩვენს სამართლის წარმოების ზოგიერთი მხარე, კერძოდ, ზეპირი ხიტყვის ადგილი მართლმსაჯულების საქმეში. ეს ადგილი თავისი მნიშვნელობით მეტად საბატიო ჩანს და საკმარისად ძველიც უნდა ყოს შემონახული ცნობების მიხედვით, მაგრამ, სამწუხაროდ, გაუშუქებელია თვით სიტ-

ყვების უქონლობის გამო: როგორც აღნიშნა, სამოსამართლო მკვერმეტყველების სფერო უღარიბესი დარგია ჩვენი ორატორული ხელოვნებისა.

ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ კერძო ხასიათის იურიდიული ძიებანი, რაც სამართლის წარმოების მთავარ შინაარსს წარმოადგენდა თითქმის ყოველთვის მათი განსაზღვრული მნიშვნელობის გამო ჩვენს წინაპრებს წერილობითი აღმუქედვის ღირსად არ უცნიათ და შთამომავლობისათვის არ შეუწახავთ. მიუხედავად ამისა, როგორც ითქვა, ვაჟებს საფუძველი ვივარაუდოთ, რომ ცოცხალი მეტყველება ჭეროვან სიმადლეზე მდგარა ქართულ მართლმსაჯულებაში.

ამას გვიჩვენებს, მაგალითად, იაკობ ცურტაველის „მარტვილობაი შუშანიკისი“. სადაც სიტყვის წარმოთქმის თანაბარი უფლების საჭიროება სამსჯავროში გამოხატულია შემდეგნაირად: „განვისაჯნეთ მე და ვარსქენ პიტახში მუნ, სადა იგი არა არს თუადლები წინაშე მსაჯულისა და მის მსაჯულთაისა და მეუფისა მის მეუფეთაისა. სადა არა არს რჩევაი მამაკაცისა და დედაკაცისაი, სადა მე და მან სწორი სიტყუაი ვთქვათ წინაშე უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესა“<sup>1</sup>.

ცოცხალი სიტყვის ძალა და მისი მეშვეობით წარმოებული განსჯის სიმართლე ბევრგან საზგასმულია შემდეგი დროის იურიდიულ ძეგლებსა და დოკუმენტებში. ასე, მაგალითად: „... ტკუიანი იქნების, და კარგად ეცოდინების ბჭობაი და უსამართლოს არას იტყვის“<sup>2</sup>, — ნათქვამია ღირსეული მოსამართლის შესახებ ბავრატ უკროპალატის საკანონმდებლო კრებულის მითითებაში.

თვით სპეციალური სამოსამართლო ტერმინები — ბჭე, ბჭობა, საბჭო, სჯა, განსჯა, მსაჯული და სხვ. — თავიანთი სემანტიკური მნიშვნელობით უახლოეს კავშირშია მეტყველებასთან, რაც ზეპირი სიტყვის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს სამართლის პრაქტიკაში.

ქვემოთ ამ პრაქტიკის ზოგიერთი ისტორიული მონაცემებია წარმოდგენილი.

ძველი ქართული სამოსამართლო მკვერმეტყველების ადრინდელ ორიგინალურ საისტორიო წყაროს VI საუკუნის აგიოგრაფიული ქმნილება „ევსტათი მცხეთელის მარტულობა“ წარმოდგენს. ამ ძეგლის დიდ ნაწილს მთავარი მოქმედი პირის დაცვითი სიტყვა შე-

<sup>1</sup> იაკობ ცურტაველი, მარტვილობა შუშანიკისი, გამიცევა ი. აბულაძისა, 1937, გვ. 41.  
<sup>2</sup> ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, 1953, გვ. 335.

ადგენს. ეს სიტყვა ძვირფასია ჩვენთვის ჭერ როგორც ეროვნული მჭადებლობის უადრესი ნაწარმოების შემცველი და შემდეგ როგორც ზეპირი მეტყველების როლის მაჩვენებელი სამართლის წარმოებაში. ამჟამად ჩვენ ეს უკანასკნელი მხარე გვიანტერესებს.

ეგსტათი მცხეთელის დაცვითი სიტყვა, თქმული ქართლის მარზხანის ვეჟან ბუზშირის წინაშე არა მარტო გვიჩვენებს ცოცხალი მეტყველების ფართო ადგილს მართლმსაჯულების საქმეში, არამედ თვითონ წარმოადგენს ასეთი მეტყველების შესანიშნავ ნიმუშს, რომლის მეოხებით ნათელი ეფინება ჩვენი სამოსამართლო მკვებრმეტყველების შორეულ წარსულს.

სამსჯავროში, სადაც „სიტყვა — მიმგებელი იყო... მსაჯულისა მიმართ ნეტარი ეგსტათი“, ამ უკანასკნელს წარმოუთქვამს სამი ნაწილისაგან შემდგარი სიტყვა. ეს ნაწილებია: შესავალი, სამოელის ქადაგების შინაარსი და დასკვნა.

შესავლის სახით ეგსტათის უთქვამს:

„უკეთუ მკითხავ, ისმინე გულსმოდგინედ და გითხრა შენ ყოველი: მე ვიყავ ქვეყანისა სპარსეთისაი, ზევისა არშაკეთისაი, ქალაქისა განძაკისაი. და მამაი ჩემი მოგვი იყო და ძმანი ჩემნი მოგუნი იყვნეს, და მეცა მამაი მოგუებასა მასწავებდა. ხოლო მე მამული რჩული არა მიყუარდა და ვთქუ გონებასა ესე რჩული არა მიყუარს, აწ ჰურიათაიკა ვისმინო და ქრისტეანეთაიკა, და რომელი უკეთეს იყოს, იგი რჩული შევიყუარო. და დღისი მამაი ჩემი მოგუებას მასწავებნ და ღამე-ღა ქრისტეანეთა და ჰბრეკიან, ეკლესიად მივიდე და ვისმინდი ჟამობასა მას მათსა... და მერმე კუალად შევედ ეკლესიად და მომეახლა მე სამოელ არქედიაკონი და რჩულის მეცნიერი და მრქუა მე: „რაისა შემოსუედი შენ ეკლესიად ესრე გულმოდგინედ? — ხოლო მე ვარქუ მას: „უფალო, შენცა მიცი, ვინ ვარ მე, არამედ არა მიყუარს მე რჩული ესე მამული ჩემი და მინებს ვინმცა მამცნო რჩული ჰურიათაიკა და ქრისტეანეთაიკა, და რომელიმცა რჩული უწმიდე იყოს, იგიმცა შევიყუარე“.

დასკვნის სახით ეგსტათის უთქვამს:

„მამონ, ვითარცა გულისხმა ვყავ და ვცან ყოველი სამოელ არქე-დიაკონისაგან, დასაბამითგან ყოველი ვიდრე აქამომდე, და მივიწიე ყოველსა ზედა რჩულსა ჰურიათასა და ქრისტეანეთასა, მრწმენა მე ღმერთი დაუსაბამო


და ძე მისი, იესუ ქრისტე, და სული წმიდი მისი“<sup>1</sup>.

სამოსამართლო მკვებრმეტყველების შემსები და ნათელმყოფელი თითო-ოროლა საისტორიო ცნობა გვხვდება შემდეგი დროის აგიოგრაფიულ მწერლობაშიც, მაგრამ სიტყვების ტექსტები არსად არაა დაცული და მათი ისტორიული სახის წარმოდგენა მხოლოდ შემოვლილი გზით ხერხდება. ასეთ გზად შეიძლება გამოვიყენო წამებულთა სიტყვის გეზანი მოპირდაპირე მხრის სამსჯავროში, რომლის წინაშე იდგნენ ხშირად ქრისტიანობის დამცველები. თავდალებულ მარტვილთა ცხოვრებაში ყველაზე მეტად სიტყვისა და საქმის ერთიანობა ხიზლავდა თანამედროვეებს, რომელთაც სწორედ ეს მიუჩინევით უმთავრეს სააღმზრდელო მოვლენად და მისი მხატვრული ასახვით ბევრი შესანიშნავი ნაწარმოები შეუქმნიათ. ასეთ ვითარებაში შესრულებული საქმის თანაბრად უნდა დაცულიყო ნათქვამი სიტყვა, როგორც ადამიანის წინგმარბივი სახის ერთი უცდომელი მაჩვენებელი. ასეც მოხდა, რა, ოღონდ ამ სიტყვას, ცხადია, ყველგან არ გააჩნია ორატორული მოწოდების სახე, ვინაიდან ის ყოველთვის ზეპირი გავლენის ფუნქციით არ ისაზღვრებოდა და ამიტომ თავისი არსებითი ბუნებით მკვებრმეტყველების გარეთ რჩებოდა.

სამოსამართლო ზეპირი სიტყვის ისტორიული სურათის აღსადგენად შეიძლება გამოვიყენო აგრეთვე ქართული კანონიკური სამართალი, რომლის ერთი აღრინდელი ძეგლის ფრაგმენტი<sup>2</sup> მოდწულთა ჩვენამდე თამარის უწინარესი დროიდან. უნდა აღინიშნოს, რომ X საუკუნის მიწურულიდან ჩვენში ფეხს იკიდებს და ვითარდება ორიგინალური საეკლესიო-იურიდიული მწერლობა. კიდევ უფრო ადრე აღწევს თავის კლასიკურ მწვერვალს ჩვენი ბიოგრაფიულ-ლოკუმენტალური ლიტერატურა, რომელსაც მომდევნო პერიოდშიც ინარჩუნებს მოპოვებულ დონეს და ყალიბდება სასულიერო კულტურის უმდიდრესი დარგის სახით. ამ დარგის სახელმძღვანეო მესვეურები — გიორგი მერჩულე, ექვთიმე მთაწმიდელი და გიორგი მთაწმიდელი — ქრისტიანული სამართლის მეცნიერების დიდი წარმომადგენელებია, რომლებიც სამწერლო და საზოგადო მოღვაწეობასთან ერთად გამოირჩეოდნენ „რჩულის“ კანონების ცოდნითა და იურიდიული დამსახურებით.

პავლე ინგოროყვას დამაჯერებელი მოსაზრებით ხსენებულ ეპოქაში ერთმანეთისაგან ანსხ-

<sup>1</sup> ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, გამოც. ს. ყუბანეიშვილისა, 1946, გვ. 46.



ვაგებდნენ ხაერო და სასულიერო სამართალს, რომელთაგან პირველის მცოდნეს საბჭოთა საქმის მეცნიერს უწოდებდნენ, ხოლო მეორისა — მერჩულეს<sup>1</sup>. ის გარემოება, რომ სახელოვან მწერალს მერჩულე ეწოდება, არა მარტო მისი დრმა ცოდნის მათეწივებელია სასულიერო სამართლის დარგში, არამედ მისივე მაღალი ოსტატობის მაჩვენებელია სამოსამართლო მჭევრმეტყველების სარბიულზე. ამრიგად, აქ შემოვლილი გზით დასტურდება გიორგი მერჩულის ორატორული დამახაზურება, რაც მისი ნაწარმოების ენობრივი ფორმიტაც ივარაუდება.

ექვთიმე მთაწმიდელის საგულისხმო დვწლს სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგში გვიჩვენებს მისი თავისუფალი და ქართული სინამდვილესთან შეფარდებულთა თარგმანები კანონიკური ძეგლებისა, რომელთა უმრავლესობა სასულიერო ცხოვრების მოწესრიგებას ისახავდა მიზნად და მისივე ნორმების იურისდიქციით ისაზღვრებოდა. ამასვე დასტურებს გიორგი მთაწმიდელის თხზულება „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“, საიდანაც ჩანს ექვთიმე მთაწმიდელის უდიდესი ავტორიტეტი სასულიერო აზროვნებისა და საეკლესიო პრაქტიკის სფეროებში, რომელთა შეუღარებელ მესვეურად ითვლებოდა ის დიდხანს ბიზანტიასა და საქართველოში.

გიორგი მთაწმიდელის თვალსაჩინო წვლილს სამოსამართლო მჭევრმეტყველების ასპარეზზე გვაუწყებს მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის სამი უდავო ფაქტი: ცდა სამონასტრო ცხოვრების დემოკრატიზაციისა<sup>2</sup>. თარგმანები საეკლესიო სამართლის დარგში და პაექრობა ანტიოქიის საეკლესიო კრებაზე 1057 წელს.

კლასიკური პერიოდის ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველება არსებითად ისევ კანონიკური სამართლის ფარგლებში რჩება და მისი მძლავრი გავლენით ვითარდება. ამის უტყუარი მაჩვენებელია XII საუკუნის მანძილზე მოწვეული საეკლესიო კრებები ჩვენში და მათი საქმიანობის გამოშახტველი დოკუმენტები. მათ შორის ზეპირი ხასიათის მასალაზე, რაც უმთავრესად პაექრობის ფაქტებით შემონახულია, ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი სამქადაგებლო ხელოვნებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება წერილობითი ხასიათის დოკუმენტებს მათი უსრულესი შემცველი რუის-ურბნისის „ძეგლის-წერა“<sup>3</sup>. საერთოდ ყოველი საეკლესიო

ურილობისა და, კერძოდ, რუის-ურბნისის ცხოვრების ძეგლი ს-წერა შეიცავს ისეთ იურიდიულ ნორმებს, კანონებსა და დადგენილებებს, რომლებიც უძველეს ხდიან სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიულ არსებობასა და სოციალურ დანიშნულებას.

რუის-ურბნისის „ძეგლის-წერა“ შედგება სამი ძირითადი ნაწილისაგან, რომელთაგან პირველი — მოვადი ხასიათის შესავალია, და ჩვენთვის ნაკლები მნიშვნელობისაა, ხოლო მეორე კრების კანონმდებლობა და მესამე — ეკლესიის სინედიკონი უადრესად საყურადღებო ნაწილებია საერთოდ და, განსაკუთრებით, მჭევრმეტყველების საკითხის გასარკვევად. ისინი ჯერ თავისთავად წარმოადგენენ მჭევრად გამართულ წერით მტყველებას და შემდეგ ორატორული ხერხებით მომარჯვებულ შესრულებასაც გულისხმობენ: ერთი — დადგენილი საეკლესიო კანონების დაცვის თვალსაზრისით, ხოლო მეორე — აღიარებული უწინაესი პირების შესხმის აზრით; და აი სწორედ, ეს კანონების დაცვის საჭიროება მიუთითებს სამოსამართლო მჭევრმეტყველების არსებობაზე. ამ მხრივ არის ჩვენთვის ამაჟამად მნიშვნელოვანი რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერა“.

შედარებით ნაკლები მნიშვნელობისაა მერმინდელი კანონიკური ძეგლები, რომლებზედაც აღარ ვჩერდებით არა მარტო იმიტომ, რომ ისინი მკრთალად ასახვენ სამოსამართლო მჭევრმეტყველებას, არამედ იმიტომაც, რომ XIII საუკუნის დასასრულიდან მძლავრად ვითარდება ქართული სამოქალაქო კოდიფიკაცია, რომელმაც შეითავსა საეკლესიო სამართალი და ერთობლივი გავლენის ქვეშ მოაქცია ხაერო და სასულიერო მართლმსაჭულება. ამიერიდან სამოქალაქო იურიდიული ძეგლები მოუთითებენ ჩვენში სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისტორიულ არსებობაზე.


ამ ძეგლებიდან დროის მიხედვით უწინარესია „სელმწიფის კარის გარიგება“, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება XIII საუკუნის დასასრულს მიეკუთვნება. დასლოებით იმავე დროისაა ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი. შედარებით მერმინდელია გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის-დება“, რომელიც XIV საუკუნის შუა წლების კუთვნილებაა. უფრო გვიანდელია აღბულა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართალი, რომელიც იმავე საუკუნის მეორე ნახევრის ქმნილებაა.

1 პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 23.

2 ი. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, II, 2 გვ. 63—80.

3 კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951, გვ. 208—209.

4 საქართველოს სამოთხე, გვ. 518—530.



ჩვენი საერო სამართლის შემდგომი დიდი მოწესრიგება ხდება XVIII საუკუნეში — ჯერ ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებულის შედგენისა და შემდეგ ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის კანონმდებლობის სახით.

ძველი ქართული სამართლის ეს ხანგრძლივი აღმავლობის პროცესი, რა თქმა უნდა, ხელს შეუწყობდა სამოსამართლო მჭევრმეტყველების ჯეროვან განვითარებას, რაც საკუთრივ ორატორული ხელოვნებით არ დასტურდება, მაგრამ მას უმეტესად გულისხმობს, ამ მოსაზრებას მხარს უჭერს XVIII საუკუნის ქართული მჭევრმეტყველების საერთო აყვავება, რასაც, უთუოდ, სამოსამართლო ორატორული ხელოვნებაც იწიარებდა. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: ჩვენი მჭევრმეტყველების უდიდესი წარმომადგენლის ს. ლიონიძის შედწოდება, რაც საგანგებოდ აღბეჭდილია ორატორის პირად ბეჭედზე<sup>1</sup>, მსაჯულია. ეს სიტყვა თანამედროვე მნიშვნელობით იხმარებოდა ჩვენში ძველთაგანვე და მისი გადაქცევა უდიდესი ორატორის საკუთარ სახელად იმას მოასწავებს, რომ ჩვენი წინაპრების შეგნებაში განუყოფელია მოსამართლისა და მჭევრმეტყველის არსებითი მხარეები იგივე ფაქტი იმასაც მოწმობს, რომ ს. ლიონიძე სამოსამართლო მჭევრმეტყველების ისეთივე ხელოვანია, როგორც ოსტატიცაა სხვა დარგებისა.

ამით ვამთავრებთ ძველი ქართული სამოსამართლო მჭევრმეტყველების ზოგად მიმოხილვას.

XIX საუკუნის პირველ ხანებში ახალი სამოსამართლო ორატორული ხელოვნება, როგორც დავით ბაგრატიონის ვრცელი სპეციალური მიმოხილვიდან<sup>2</sup> ჩანს, ძველი წარმატებით კმაყოფილდებოდა და მისი ტრადიციული საუნჯით სარგებლობდა. უფრო მოგვიანებით რუსეთის უმაღლეს სკოლებში მიღებული განათლებისა და პრაქტიკულ მუშაობაში შექმნილი ოსტატობის წყალობით, რასაც დაერთო მოწინავე რუსული და ფრანგული სამოსამართლო მჭევრმეტყველების გავლენა, ჩვენში მყარ მეცნიერ-

ულ ნიადაგზე დგება სხენებული დარგის ორატორული ხელოვნება.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში ამ ხელოვნების დიდი წარმომადგენლებია ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ივანე მაჩაბელი და ნიკო ნიკოლაძე. აქვე უნდა დავასახელოთ იმავე პერიოდის გამოჩენილი ვეჭილეები: ლუარსაბ ლოლუა, დავით ლორთქიფანიძე და მოსე ქიქოძე.

შემდეგ ხანებში, XX საუკუნის დასაწყისიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ უახლოესი პერიოდის ცნობილი იურისტები: ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, იოსებ ბარათაშვილი, შალვა მესხიშვილი და სხვა<sup>3</sup>.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ი. ჭავჭავაძისა და ა. წერეთლის დეაწლი სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგში.

1864—68 წლებში მომრიგებელ-მუშავავლად და 1868—73 წლებში მომრიგებელ მოსამართლეთ მუშაობის დროს გარე კახეთის კუთხეებსა და დუშეთის მაზრაში ილია ხელმძღვანელობდა რთულ პროცესულურ ოპერაციებს, გამოდიოდა მრავალი სახის სამოსამართლო სიტყვებით და აწარმოებდა ღრმადგონივრულ, პრინციპულ და ობიექტურ მართლმსაჯულებას. ამ პერიოდში დიდი მწერალი, რა თქმა უნდა, ბევრ შესანიშნავ სიტყვას იტყოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მათი ტექსტები დაკარგულია.

ასევე არ შენახულა ილიას მერე 1907 წლის აპრილის უკანასკნელ რიცხვებში, პეტერბურგში, სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე წარმოთქმული ვრცელი სიტყვა სიკვდილით დასჯის მოსპობის თაობაზე, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ ავტორისეული კონსპექტური ჩანაწერების მეშვეობით.

ი. ჭავჭავაძის ორატორული მემკვიდრეობის ეს ჩვენამდე მოუღწეველი სფერო, უმეტესია, სამოსამართლო ზეპირი მეტყველების ძვირფასი განძის შემცველი იქნებოდა.

ა. წერეთლის სამოსამართლო ორატორულ შემოქმედებას გვაცნობს მისი უშუალო მონაწილეობა ე. წ. „სწავნა პროცესში“, რომელიც

<sup>1</sup> იხ. ხელნაწერი Hd—4416.

<sup>2</sup> იხ. დ. ბაგრატიონი, საქართველოს სამართლისა და კანონმდებლობის მიმოხილვა.

<sup>3</sup> იხ. გ. გვანია, ქართველი იურისტები (ყურნ. „მნათობი“ № 2, 1959).



შედეგა 1876 წლის ნოემბერში. ეს პროცესი წარმოადგენდა კოლონიალური პოლიტიკისა და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ 1875—76 წლებში აჯანყებულ სვანთა გასამართლების ინსცენირებას, რომლის ანტიხალხური, უსამართლო და ყალბი ტენდენციები შკაცრად ამხილა აკაკიმ თავისი ვრცელი, დასაბუთებული და მჭევრი დაცვითი სიტყვით<sup>1</sup>.

ამ პროცესის მასალები და აკაკის სიტყვის ტექსტი შენახულია ნიკო ნიკოლაძის ჩანაწერებით, რომლებიც სტენოგრაფიული სიზუსტის წყალობით ნათლად გვაცნობენ პოეტის ამავე სამოსამართლო მჭევრმეტყველების სარბიელზე.

ცნობილია აგრეთვე აკაკის მონაწილეობა გიორგი სააკაძის ლიტერატურულ გასამართლე-

ბაში, სადაც მას წარმოუთქვამს ვრცელი დაცვითი სიტყვა, რომელიც მოღწეულია ჩვენამდე ავტორისეული რედაქციით და მგოსნის დამსახურების მაჩვენებელია სამოსამართლო მჭევრმეტყველების დარგში<sup>2</sup>.

ასეთია ძველი ქართული სამართლის ძეგლებისა და საისტორიო დოკუმენტების შემწეობით გათვალისწინებული ჩვენი სამოსამართლო მჭევრმეტყველება, რომლის მოამაგეებს, უნდა ვიფიქროთ, რუსთაველთან ერთად სწამდათ: „ქ მ ნ ა მ ა რ თ ლ ი ს ა ს ა მ ა რ თ ლ ი ს ა ხ ე ს ა შ ე ი ქ მ ს ხ მ ე ლ ს ა ნ ე ლ ა დ.“ და სჯეროდათ, რომ ამ დიდი მნიშვნელობის საქმეში გადაამწყვდებოდალა პირუთვნელ და გონივრულ სიტყვას ეკუთვნოდა.


<sup>1</sup> იხ. Судебная хроника (ნ. ნიკოლაძის პირადი არქივი, —თბილისის საჯარო ბიბლიოთეკა).

<sup>2</sup> „თემი“, 1915, № 206.


## ი. ს. დოლიძე — საქართველოს სსრ მესამე რეზინის ნამდვილი წევრი

1960 წლის 31 დეკემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი ისიდორე სამსონის ძე დოლიძე.

ი. ს. დოლიძე დაიბადა 1915 წლის 23 მარტს მახარაძის რაიონის სოფელ მერიაში ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება მიიღო სოფელ მერიის სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1930 წელს. იმავე წელს შევიდა ქ. ბათუმის სამშენებლო სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1933 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. 1936 წელს სწავლის გასაგრძელებლად გადავიდა ქ. სვერდლოვსკის იურიდიულ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1938 წელს. იმავე წელს ჩააბარა მისაღები გამოცდები მოსკოვის იურიდიულ მეცნიერებათა სრულიად საქავშირო ინსტიტუტის ასპირანტურაში სამართლის ისტორიის განხრით. 1941 წლის ივნისში დაამთავრა ასპირანტურის კურსი და დაიცვა დისერტაცია იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე „უმაგლებს უფლებრივი მდგომარეობა ვანტანგის სამართლის მიხედვით“. დისერტაციაზე მუშაობის დროს ხელმძღვანელობას უწევდა აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი.



ი. დოლიძე 1942 წლიდან დღემდე კითხულობს სამართლის ისტორიის კურსს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. სხვადასხვა დროს კითხულობდა აგრეთვე სამართლის თეორიას, რომის სამართლისა და საბჭოთა სახელმწიფოს სამართლის კურსებს. 1944 წელს მას მიენიჭა დოცენტის სამეცნიერო წოდება. 1947 წლიდან 1957 წლამდე იყო სახელმწიფო სამართლის კათედრის გამგე, ხოლო 1947—1949 წლებში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანის თანამდებობაზე. მას თვალსაჩინო როლი აქვს შესრულებული იურისტთა კადრ-



ბის ნომზადებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-იურისტთა აღზრდის საქმეში.

1956 წლის აპრილში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ი. ს. დოლიძემ დაიცვა დისერტაცია იურიდიული მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: „ძველი ქართული სამართალი“. 1957 წელს უმაღლესი განათლების სამინისტრომ მას მიანიჭა იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, ხოლო 1958 წელს პროფესორის სამეცნიერო წოდება.

წლების განმავლობაში ი. ს. დოლიძეს სამეცნიერო და პედაგოგიური მუშაობის შეთავსება უხდებოდა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში მუშაობასთან. ამაჟამად მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე — პრეზიდენტად საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. პროფ. გ. მელიქიშვილთან ერთად იგი ყველაზე ახალგაზრდა წევრია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში.

პროფესორი ისიღორე სამსონის ძე დოლიძე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა სამართლის ზოგადი ისტორიისა და ქართული სამართლის ისტორიის დარგში. მას დაწერილი და გამოქვეყნებული აქვს მთელი რიგი გამოკვლევები, მონოგრაფიები და სამეცნიერო სტატიები, რომლებშიც გამოკვლევული და დადგენილია ქართული სამართლის ისტორიის მთელი რიგი საკითხები, რომლებიც მანამდე შეუსწავლელი იყო.

ეს საკითხები პროფ. ი. დოლიძეს განხილული აქვს უმთავრესად თავის სადოქტორო დისერტაციაში „ძველი ქართული სამართალი“, რომელიც ცალკე წიგნად გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ 1953 წელს.

თავის გამოკვლევაში „გიორგი ბრწყინვალის სამართალი“ (1957 წ.) პროფ. ი. დოლიძემ გამოიკვლია და დაადგინა XIV საუკუნის ქართული სამართლის ძეგლის — „გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მთელი რიგი ინსტიტუტები, კანონთა შედგენის დრო და მათი მოქმედების ტერიტორიული საზღვრები.

1960 წელს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ გამოაქვეყნა Судебник Бека и Агбуга კანონთა პარალელური ტექსტებით ქართულ და რუსულ ენაზე, პროფ. ი. დოლიძის შესავალი წერილითა და კომენტარებით, რომელშიც მოცემულია ტექსტის მთელი რიგი ადგილების ასლებური განმარტება.

ფეოდალური საქართველოს ადათობრივი სამართლის შესწავლას პროფ. ი. დოლიძემ მიუძღვნა სპეციალური შრომა „საქართველოს ჩვეულებითი სჯული“, რომელშიც გამოკვლეული და დადგენილია ქართული ადათობრივი სამართლის მთელი რიგი ინსტიტუტები.

პროფესორი ი. დოლიძე სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა აგრეთვე სამართლის ზოგად ისტორიაში. 1950 წელს მან გამოაქვეყნა შრომა „ადრინდელი ფეოდალური სამართალი“. გამოკვლევაში მოცემულია ადრინდელი ფეოდალური სახელმწიფო წყობილებებისა და სამართლის ძირითადი დარგებისა და ინსტიტუტების დახასიათება. შრომა უმთავრესად დაფუძნებულია VI საუკუნის სამართლის ცნობილი ძეგლის Lex Salica-ს შესწავლაზე. შრომაში წარმოდგენილია VI—IX საუკუნეების სხვა საკანონმდებლო მასალის ნიმუშები და მათი ანალიზი. ნაშრომი წარმოადგენს ადრინდელი ფეოდალური სამართლის ისტორიის შესწავლის პირველ ცდას. ქართულ ენაზე. სხვა სპეციალური გამოკვლევა ამ დარგში არ მოიპოვება.

გასულ წელს სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცა პროფ. ი. დოლიძის

შრომა — „ძველი აღმოსავლეთის სამართალი“. ამ ნაშრომში განხილულია ძველბაზილონური სამართლის წყაროებისა და სისტემის, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის, საოჯახო და მეშვიდრეობის სამართლის, დანაშაულისა და სასჯელის, სასამართლო წყობილებებისა და სასამართლო წარმოების ძირითადი საკითხები. შრომა განკუთვნილია უნივერსიტეტის იურიდიული და ისტორიული ფაკულტეტების სტუდენტთა დამხმარე სახელმძღვანელოდ ძველი აღმოსავლეთის სამართლის ისტორიის შესწავლისათვის.

გარდა ზემოაღნიშნული შრომებისა, პროფ. ი. დოლიძეს პერიოდულ გამოცემებში გამოქვეყნებული აქვს 20-დე სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული სტატია საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის საკითხებზე.

პროფ. ი. დოლიძე იურიდიული მეცნიერების პირველი წარმომადგენელია საქართველოს აკადემიაში. მისი არჩევა აკადემიაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს იურიდიული მეცნიერების შემდგომ განვითარებას ჩვენს რესპუბლიკაში.

## ლევალმოსილის გახილვა

სანდომიანმა, ჰალარათმიანმა ქალმა სათვალეები მოიხსნა, ქაღალდები გვერდზე გადადვა და მოსასმენად მოემზადა.

—თამარ დიმიტრის ასულო, რამდენი წელია რაც სასამართლო-პროკურატურის ორგანოებში მუშაობთ?


თამარ დიმიტრის-ასული ოდნავ შეყოვნდა. მის თვალეებში თითქოს წარსულის ნაცნობმა სურათებმა გაიელვა. აი ხოშტარიების ლამაზი სახლი გორში, ფართო, ნათელი ოთახები, პატარა ბაღი ფერად-ფერადი ყვავილებით, რომელსაც ისე მზრუნველობით დასტრიალებდა და თავს ეგლებოდა თამარის დედა ცნობილი მწერალი ანასტასია ერისთავი-ხოშტარია, როგორც თავის ექვს შვილს.

შუადღისას სახლში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდებოდა ბუზის გაფრენასაც გაიგონებდა კაცი. ამ დროს ყველამ იცოდა — მუშაობდა ანასტასია ერისთავი-ხოშტარია. იწერებოდა ცნობილი რომანები „მოლიბულ გზაზე“, „ბედის ტრიალი“.

სალამობით გრძელ ფართო აივანზე თამარის მამასთან — მწერალ დუტუ



მეგრელთან იკრიბებოდნენ ცნობილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები აკაკი წერეთელი, ნიკო ლომოური სოფრომ მგალობლიშვილი, ანა ხახუტაშვილი... იყო სჯა-ბაასი ქართულ მწერლობაზე, თეატრზე, ხალხის პირ-



ვარამსა და აწმყოზე, ბედნიერ მომავალზე. შემდეგ მამა—დუტუ მეგრელი თავისი ტკბილი და შთამავონებელი ხმით წაიკითხავდა თავის ცნობილ ლექსს „მე პატარა ქართველი ვარ“... რომელსაც მსმენელი აღტაცებაში მოყავდა.

თითქოს გუშინ იყო... თამარმა 1919 წლის ზაფხულის ერთ მზიან დღეს თბილისის ქალთა მე-4 გიმნაზიის დამთავრების ატესტატი და ოქროს მედალი მიუტანა თავისიანებს. როგორი სიხარული და ყრბამული შეიქნა სახლში, ყველა ეხვეოდა, კოცნიდა, დედა კი მალულად ცრემლებს იწმენდდა და სიხარულით შესცქეროდა თავის საყვარელ ქალიშვილს.

შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გატარებული ტკბილად მოსაგონებელი ხუთი წელი და იურიდიული მეცნიერების დაუფლება. ოცნება მომავალზე და ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლა. შრომითი საქმიანობის დაწყება. ჯერ სახალხო სასამართლოს მდივანად, შემდეგ ადვოკატურაში მუშაობა, 1937 წლიდან 1942 წლამდე თამარ ხომტარია-ცაგურია საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს კონსულტანტ-რეფერენტი, შემდეგ კი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კონსულტანტ-კოდიფიკატორი, საქართველოს სსრ პროკურატურის სამოქალაქო სამართლის განყოფილების პროკურორი, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოდიფიკაციის განყოფილების უფროსი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი და 1957 წლიდან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე და პრეზიდიუმის წევრი.

მოგონებათა კრილოსანი უკან დარ-

ჩა და თამარ ხომტარია-ცაგურია კმაყოფილი ხმით გვიბასუხა.

— თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც იურიდიულ ფრონტზე ვმოდგაწეობ. მარტო გასულ წელს, — ამბობს თამარ დიმიტრის-ასული, ოთხი ათასი მთხოვნელი მივიღე, ვინ იცის ჩემს წინ მაგიდასთან რამდენი სხვა და სხვა ასაკის, პროფესიისა და ხასიათის ადამიანი იჯდა, ყოველთვის ვფრთხილობდი საკითხის გადაწყვეტისას, ჩემს წინ ხომ ადამიანი იდგა, მე კმაყოფილებით მოვიგონებ ჩემს მიერ განვლილ გზას.

და მართლაც თამარ ხომტარია-ცაგურია მთელი თავისი ხანგრძლივ ცხოვრება და საქმიანობა, ცოდნა და გამოცდილება კეთილშობილ საქმეს — საბჭოთა კანონიერების ცხოვრებაში მტკიცედ გატარებას და ახალგაზრდა იურისტთა აღზრდას მოახმარა, ამიტომ იყო, რომ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოლექტივმა თამარ ხომტარია-ცაგურიას პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით გულთბილი გაცილება მოუწყო.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს კოდიფიკაციის განყოფილების კონსულტანტმა ა. მახარაძემ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრმა, პარტიული ორგანიზაციის მდივანმა დ. ბალათურამ თავიანთ სიტყვებში გამოხატეს კოლექტივის სიყვარული და პატივისცემა თ. ხომტარია-ცაგურიასადმი და მას უსურვეს ხანგრძლივი ცხოვრება და ჯანმრთელობა.

პერსონალურ პენსიონერ თ. ხომტარია-ცაგურიას საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის გამოეცხადა მადლობა და საჩუქრად გადაეცა ოქროს საათი.

ზ. მენდენიერი

## განუხრელად ღაპიშვათ შრომის კანონმდებლობა

საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ მიმდინარე წლის 27-28 იანვარს ჩაატარეს რესპუბლიკური თათბირი სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის, სამინისტროებისა და უწყებების წარმოება დაწესებულებების იურიდიული დარგის მუშაკებისა, სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან ერთად.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. მ. მ. ლელაშვილმა.

მოხსენებით, — სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის და აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის გამოყენების შესახებ, — გამოვიდა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს იურიდიული კონსულტაციის უფროსი კონსულტანტი ზ. ნარიშკინი.

მოხსენებელმა აღნიშნა, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკის წარმოება-დაწესებულებებში და ორგანიზაციებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვა, შრომის დავების განხილვა და გადაწყვეტა, რის შედეგადაც შემცირდა სასამართლო ორგანოებში შრომის საქმეების წარმოება, გაძლიერდა სახელმწიფო ზედამხედველობის წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებასა და მუშა-მოსამსახურეთა შრომითი უფლებების დაცვაზე.

წარმოება დაწესებულებების იურიდიული დარგის მუშაკები უფრო სრულყოფილად უკავშირებენ თავის მუშაობას სათანადო ორგანიზაციის სამეურნეო საქმიანობის საერთო ამოცანებს, სისტემატურად უწევენ იურიდიულ დახმარებას, როგორც სამეურნეო ორგანიზაციებს, ისე პირველად პროფკავშირების კომიტეტებს, ეხმარებიან მუშა-მოსამსახურეებს, შრომის კანონმდებლობის გამოყენების საკითხებში და სხვა.

მაგრამ, როგორც მოხსენებელმა და კამათში გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, ზოგ წარმოებასა და დაწესებულებაში ჯერ კიდევ აქვს ადგილი შრომის კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულებლობასა და უხემ დარღვევებს.

ცალკეული სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები მუშა-მოსამსახურეებს სამსახურიდან ითხოვენ პირველადი პროფკავშირის კომიტეტის წინასწარი სავალდებულო თანხმობის გარეშე, აჭიანურებენ მუშაკების კანონიერ მოთხოვნათა განხილვასა და გადაწყვეტას, არ ასრულებენ შრომითი დავის განმხილველი კომისიის, საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივი კომიტეტის და სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებებს, ამა თუ იმ მუშაკის სამუშაოზე აღდგენისა და სხვა საკითხებზე.

წარმოება დაწესებულებების იურიდიული დარგის ზოგიერთი მუშაკი თავს არიდებს შრომის დავის საკითხის განხილვაში მონაწილეობას, არ ეხმარება სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელობას და პროფესიულ კომიტეტს შრომის კანონების შესაბამისად სადაო საკითხის გადაწყვეტაში, არ იჩენს პრინციპულობასა და სიმტკიცეს, შრომის კანონმდებლობის უხემი დარღვევების ასაცილებლად და გამოსასწორებლად.

ცალკეულ წარმოებებში იურიდიული სამსახური ჯერ კიდევ არ არის დაყენებული სპეციალურ დონეზე, სამეურნეო ხელმძღვანელების მიერ ამ დარგს არ ექცევა სათანადო ყურადღება, იურიდიული სამსახურის მუშაკები არ არიან უზრუნველყოფილი მუშაობისათვის სპეციალური პირობებით.

ყველა ამ დებულების საილუსტრაციოდ თათბირზე მოყვანილი იქნა კონკრეტული შემთხვევები, რომლებიც გამოვლინებულია საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს მიერ.

თათბირმა მოისმინა აგრეთვე საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიული ჯგუფის იამგის ნ. წერეთლის მოხსენება: „იურიდიული სამსახური — ახალი ამოცანების დონეზე“.

მოსმენილი მოხსენებების ირგვლივ კამათში მონაწილეობა მიიღეს სააგრომობილო ტრანსპორტის, გზატკეცილების და კავშირგაბმულობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. დოღობერიძემ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველოს უფროსმა იურისკონსულტმა ე. კაკაურიძემ, აფხაზეთის ასსრ პროფკავშირების საოლქო საბჭოს იურიდიული კონსულტაციის გამგემ კ. ზაქა-

რამაც, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის იურისკონსულტმა გ. ონიანმა, კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის მდივანმა ვ. ძაგანამ, ბათუმის სასაქონლო-სატრანსპორტო სამმართველოს იურისკონსულტმა მ. სუხოვამ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ი. ჩიავამა, საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ი. ხეთაგურმა და სხვებმა.

თათბირის შედეგები შეაჯამა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ მ. ლელაშვილმა.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი, რომელიც, შემდგომ, მიღებული იქნა საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს საერთო დადგენილების სახით.

იურიდიული სამსახურის გაუმჯობესების მიზნით, სახალხო მეურნეობის საბჭომ და საქართველოს პროფკავშირების რესპუბლიკური საბჭო დაავალა იურიდიული სამსახურის მუშაკებს:

— უფრო ღრმად ჩაწვდნენ საწარმოების სამეურნეო საქმიანობას და აწარმოონ განუწყვეტილი ბრძოლა სოციალისტური კანონიერების დარღვევის წინააღმდეგ, მიაღწიონ იმას, რომ შემოღებული იქნეს ყველა ბრძანებების ვიზირების სავალდებულო წესი, განსაკუთრებით იმ ბრძანებებისა, რაც მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნას და შრომის წიგნაკებში ჩაწერის დორმულირებას ეხება;

ამხანაგურ სასამართლოებს გაუწიონ სისტემატური დახმარება, ამხანაგური სასამართლოების შესახებ დებულების სწორად გამოყენებაში, შესაბამისად პარტიის მითითებებისა, მასობრივ-პოლიტიკური, აღმზრდელი მუშაობის გაძლიერებისა და ანტი-საზოგადოებრივ გამოვლინებებთან შეურიგებელი ბრძოლის შესახებ;

სოციალისტური კანონიერების ფართო პროპაგანდის მიზნით ჩაატარონ ლექციები, საუბრები, კითხვა-პასუხების საღამოები, გამოაქვეყნონ პრესაში კონსულტაციები შრომის კანონმდებლობის ცალკეულ საკითხებზე.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიულ ჯგუფს დაევალა — იურიდიულ სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად, — პერიოდულად ჩაატარონ თათბირები და სემინარები, შრომის კანონმდებლობის, საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტის უფლებათა შესახებ დებულების, სამეურნეო და სატრანსპორტო კანონმდებლობის შესასწავლათ. სისტემატურად შეისწავლოს წარმოება-დაწესებულებების იურიდიული დარგის მუშაკების საქმიანობა, გაუწიონ მათ დახმარება მუშაობაში და მიიღოს ღონისძიებანი რათა მუშაკები, რომელნიც ვერ უზრუნველყოფენ იურიდიულ მრმსახურებას, შეცვლილი იქნენ კვალიფიციური კადრებით.

გაფრთხილებულ იქნენ წარმოება-დაწესებულებების ხელმძღვანელები რათა არ დაუშვან მუშა-მოსამსახურეთა დათხოვნა პირველადი პროფკავშირის კომიტეტის თანხმობის გარეშე. მეტი ყურადღება მიაქციონ მუშების და მოსამსახურეების განცხადებების და საჩივრების განხილვას, არ შეაფერხონ შრომითი დავების განხილველი კომისიების, საფაბრიკო-საქარხნო-ადგილობრივი კომიტეტებისა და სახალხო სასამართლოების დადასტურებულად აღსრულება.

— საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის ანხ. მ. ვეფხვაძის წინაშე დასმული იქნა საკითხი რათა, კანონის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს სსრ სასამართლო ორგანოებს მიეცეს მითითება, რომ დააწესონ პირველრიგითი განხილვა შრომის სამოქალაქო საქმეებისა, რომლებშიც მუშა-მოსამსახურენი და სამეურნეო ორგანიზაციების წარმომადგენელნი მონაწილეობენ.

საქართველოს პროფკავშირების იურიდიულ კონსულტაციას და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს იურიდიულ ჯგუფს დაევალო წლის განმავლობაში შეამოწმონ ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, კიბათურის და სხვა ქალაქების წარმოება-დაწესებულებებში შრომის კანონმდებლობის ცხოვრებაში გატარება, შემოწმების შედეგები განიხილონ ადგილებზე, სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელების, საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივი კომიტეტების და იურიდიული დარგის მუშაკების მონაწილეობით.

## „მგლის ბილიკის“ გენხილვა

ამას წინათ საქართველოს კპ ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების, ქალაქის პროკურატურის, სასამართლოსა და იურიდიული კონსულტაციის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით მოეწყო ალ. იასალაშვილის წიგნის „მგლის ბილიკის“ გენხილვა, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პრობავანდისა და ავტორის განყოფილების გამგემ ვლ. ჯაველიძემ.

მოსხენებისათვის ალ. იასალაშვილის წიგნის „მგლის ბილიკის“ შესახებ სიტყვა მიეცა კრიტიკოს ს. არველაძეს. აღნიშნა რა წიგნის დადებითი მხარეები, მომხსენებელმა ვრცლად ილაპარაკა იმ ნაკლოვანებებზე, რაც აღნიშნულ წიგნს ახასიათებს. ს. არველაძე პირველად შეეხო წიგნის ჟანრობრივი თავისებურების საკითხს, — სახელწოდება რომანი, — ამბობს იგი, — საქმოდ პრეტენციოზულად ჟღერს. ჩემი აზრით იგი უფრო დოკუმენტურ ჟანრს განეკუთვნება, რომელშიდაც გვხვდება დეტექტიური რომანის ელემენტები. მართალია მკითხველი ინტერესით აღევნებს თვალს ამბების მსვლელობასა და სიტუაციებს მაგრამ ხასიათებისა და ადამიანურ ინტერესთა მძაფრი შეპირისპირება საკიროებს მეტ დრამატიზმს სიუჟეტის განვითარებაში.

„მგლის ბილიკის“ ენობრივი ქარგა, სიტყვიერი ლექსიკა, ვერ აკმაყოფილებს მხატვრული ნაწარმოებისადმი წაყენებულ ყველა მოთხოვნას. ავტორის მეტყველებას აკლია დიალოგების მხატვრული გამართულობა, დახვეწილობა.

სრულყოფილად არ არიან დახატული ნაწარმოების დადებითი პერსონაჟები, ისინი წარმო-

დგენილი არიან ცალმხრივად, ოჯახური ყოფისა და გარემოსთან მოწყვეტილად.

„მგლის ბილიკის“ ავტორი ზოგჯერ მისდევს ზედმეტ დეტალიზაციას, იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც ნაწარმოებში ადგილი აქვს გაჭიანურებულ არაფრისმთქმელ ეპიზოდებს, ამავე დროს ზოგიერთი სიტუაცია ხელოვნურია.

თანამოხსენებით გამოვიდა ქალაქის პროკურორი ალ. ჟღენტი. სხვა საკითხებთან ერთად მან აღნიშნა, რომ ზოგიერთი სცენა ავტორს ზერელედ, არადამაჯერებლად აქვს აღწერილი. ასეთია მაგალითად ხუტა გაწერელოსა და გერმან ბაზილის შეტაკების მომენტი მერი მალდონატის ბინაზე და სხვ.

მილიციის პირველი განყოფილების ბავშვთათვის ინსპექტორმა შ. მალაფერიძემ თავისი გამოხატული მიუძღვნა წიგნის მხატვრული ღირებულების საკითხის განხილვას.

ადვოკატმა შ. გვეტაძემ ილაპარაკა იმ ფაქტობრივ და მხატვრულ შეუსაბამობაზე, რაც წიგნს გააჩნია. მან სწორად შენიშნა, რომ ავტორის ყაჩაღთა ბანდის ზოგიერთი წევრი უფრო სრულყოფილად ყავს დახატული, ვიდრე საგამომძიებლო ორგანოების მუშაკები.

გენხილვაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე მილიციის პირველი განყოფილების უფროსმა ბ. კუხნიანიძემ, პროკურატურის გამომძიებელმა ს. ყიფიანიამ, მილიციის საქალაქო განყოფილების პატრონგანიზაციის მდივანმა ნ. თათეიშვილმა. აგრეთვე მკითხველებმა ი. კაპანაძემ და გ. ახვლედიანმა.

დასასრულ სიტყვით გამოვიდა „მგლის ბილიკის“ ავტორი ალ. იასალაშვილი, რომელმაც გაიზიარა გამოსულ ამხანაგთა შენიშვნები.



# ქიყყე ქა მიჯოიოქრეჯე

## საბჭოთა კრიმინალისვის შრომა, გამოცხადული ბულგაკითვი

პლ. ნაყაზვილი

სულ უფრო ვითარდება და მტკიცდება პროფესიული, მეცნიერული და მეგობრული კავშირი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების იურისტებს შორის. მეცნიერული ურთიერთობის ერთ-ერთ ფორმას ლიტერატურული პროდუქციის გაცვლა წარმოადგენს. საბჭოთა კავშირში ხშირად ქვეყნდება შრომები, რომლებიც სოციალისტური ქვეყნების იურისტთა კალამს ეკუთვნის, ხოლო ამ ქვეყნებში თავის მხრივ იბეჭდება საბჭოთა იურისტების ნაშრომები. ურთიერთობის ასეთი ფორმა არა მარტო ხელს უწყობს იმას, რომ სოციალისტური ქვეყნების მეცნიერ იურისტებმა გაერთიანებულად წარმართონ თავიანთი შემოქმედებითი ძალღონე რთული იურიდიული პრობლემების გადასაჭრელად, არამედ აგრეთვე შესაძლებლობას აძლევს მკითხველთა ფართო წრეს გაეცნოს ცალკეული სოციალისტური ქვეყნების კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას და თეორიას. ამ ასპექტში ყურადღებას იქცევს პროფ. ბ. მანკოვსკის შრომა, გამოცემული ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტის მიერ — „Основни принципи и система на социалистическото наказателно законодателство“ („სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები და სისტემა“).

სარეცენზიო შრომის ავტორი მიზნად ისახავს გააშუქოს ძირითადი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობას, და აგრეთვე ამ კანონმდებლობის სისტემა.

დსახული ამოცანის განსახორციელებლად ავტორი განიხილავს საკანონმდებლო დადგენილებებს, რომლებიც გამოხატავენ სოციალისტური სისხლის სამართლის ძირითად იდეებს, განაზოგადებს სასამართლო პრაქტიკის მასალებს და ანალიზს უკეთებს სოციალისტური ქვეყნების კრიმინალისტიკის მიერ წამოყენებულ თეორიულ დებულებებს.

ივლევეს რა ცალკეული პრინციპების განვითარებას, ავტორი, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს მათი დადგენის პროცესს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებ-

ლობაში. ამავე საფუძვლით ავტორი განიხილავს საბჭოთა სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი სისხლის სამართლებრივი საკანონმდებლო აქტების სისტემას. სარეცენზიო ნაშრომში გარკვეულია აგრეთვე, თუ როგორ აისახა სხვა სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებული და ყველა ამ ქვეყნისათვის საერთო პრინციპები და რა სისტემას მისდევენ აღნიშნული კოდექსები.

სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპების არსისა და თავისებურებების თვალსაჩინოდ ჩვენებისათვის ავტორი უპირისპირებს მათ ბურჟუაზიული სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრინციპებს, აღნიშნავს, რომ ზოგიერთი პრინციპი აშკარად მხოლოდ სოციალისტურ სისხლის სამართლის კანონმდებლობაშია აღიარებული. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში და ბურჟუაზიული ქვეყნების სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებობენ ერთნაირი სახელწოდების პრინციპები და ცნებები, ისინი არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისი შინაარსით. პროფ. ბ. მანკოვსკის შრომაში საფუძვლიანად არის გაკრიტიკებული თანამედროვე ბურჟუაზიული კრიმინალისტიკის რეაქციული შეხედულებები.

სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების ანალიზს სარეცენზიო შრომის ავტორი იწყებს ამ კანონმდებლობის კლასობრივი არსის განხილვით. ავტორი გამოჰყოფს დამოუკიდებელ პარაგრაფად (§2) საკითხს იმ ამოცანების აშკარად კლასობრივი ხასიათის შესახებ, რომლებსაც სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა ისახავს. სხვა პარაგრაფში (§4) განხილულია დანაშაულის ცნების კლასობრივი ბუნება და ამ მომენტის ასახვა დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრებაში. აღსანიშნავია, რომ ამ ორ პარაგრაფს შუა ავტორი ათავსებს პარაგრაფს, სადაც განხილულია სულ სხვა პრინციპი —

„სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით დასაყველი ქმედითობისათვის“ (§ 3). პარაგრაფების განლაგების საეთი წესი არათანმიმდევრულია, ვინაიდან მეორე და მესამე პარაგრაფებში განხილული საკითხები განუწყვეტლად დაკავშირებული არიან ერთმანეთთან და მათ შუა ცალკე დამოუკიდებელი საკითხის ჩართვა სწევს ამ ერთიანობას. ამასთან ერთად, საეჭვოა, რამდენად შეიძლება დამოუკიდებელ პრინციპებად ჩაითვალოს ავტორის გამოთქმები რომ ვინმართ, „სოციალისტურის სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანების კლასობრივად განსაზღვრების პრინციპი“ და „დანაშაულის ცნების კლასობრივად განსაზღვრების პრინციპი“. ვერდა ამისა, სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის კლასობრივი საწყისი ვლინდება არა მარტო ამ კანონმდებლობის ამოცანებისა და დანაშაულის ცნების განსაზღვრებაში, არამედ მთელი რიგი სხვა ცნებებისა და ინსტიტუტების დიდგენაში. ამიტომ, ჩვენის აზრით, უფრო სწორი იქნებოდა, რომ ავტორს ეს საკითხები ერთ პარაგრაფში განეხილა და ამ პარაგრაფისათვის ერთი უფრო ზოგადი სათაური მიეცა (ნაცვლად აშკარად უხეირო სათაურებისა: „სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის ამოცანათა კლასობრივი განსაზღვრების პრინციპი“ (გვ. 13) და „დანაშაულის ცნების კლასობრივი განსაზღვრების პრინციპი“ — (გვ. 33).

სარეცენზიო ნაშრომის ავტორი დიდ ადგილს უთმობს პრინციპს — „ბრალის გარეშე არ არსებობს სასჯელი“, — რომელიც ბატონობს სოციალისტურ სისხლის სამართალში. ავტორი კვალდაკვალ იკვლევს საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპის განმტკიცებას, დაწყებული საბჭოთა სახელმწიფოს პირველივე საკანონმდებლო აქტებიდან. ამავე დროს იგი იძლევა სახალხო დემოკრატიული ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსების იმ ნორმების ანალიზს, რომლებშიც ეს პრინციპია გატარებული. ავტორი ჰგომბს ყოველგვარ ცდას — ბრალის ცნების აგების დროს ვასცილდნენ დანაშაულის სუბიექტურ მხარეს და თვლის, რომ ბრალის ცნების არს წარმოადგენს ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში და დასასჯელი ქმედობისადმი. სარეცენზიო ნაშრომში ნაჩვენებია, რომ სახალხო დემოკრატიის ქვეყნების კრიმინალისტთა უმრავლესობა ბრალის ამ განსაზღვრებას იზიარებს.

სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამოუკიდებელ პრინციპად ავტორს მიაჩნია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში

ფართოდ გავრცელებული დებულება, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთად ერთ საფუძველს დანაშაულის შემადგენლობა წარმოადგენს. ამ პრინციპის დამოუკიდებელ პრინციპად გამოცხადება, რომელიც ავტორის აზრით, თითქოს რაღაც სხვას უნდა ნიშნავდეს, ვიდრე პრინციპი — „სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ კანონით დასასჯელი ქმედობისათვის“ (§ 3), ჩვენ დაუსაბუთებლად გვეჩვენება. დებულება, რომ პასუხისმგებლობას შეიძლება ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მაშინ, თუ ქმედობა პირდაპირ გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით, სწორედ იმას ნიშნავს, რომ ქმედობა დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს უნდა შეიცავდეს, ვინაიდან სისხლის სამართლის კანონის დისპოზიციურ ნაწილში მოცემულია იმ ნიშნების აღწერა, რომლებიც ახასიათებენ ქმედობას როგორც საზოგადოებრივად საშიშს და დასასჯელს. ამავე დროს, სარეცენზიო შრომის მე-6 პარაგრაფში მოცემული პრინციპის განსაზღვრებას არ შეესაბამება ის შემთხვევები, როდესაც სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობა შესაძლებლად თვლის პასუხისმგებლობას, თუმცა სუბიექტს არ განუხორციელებია მთლიანად დანაშაულის შემადგენლობა. ეს არის პასუხისმგებლობა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის. პირი სწორედ იმითმ ავებს პასუხის მომზადებისა და მცდელობისათვის და არა დამთავრებული დანაშაულისათვის, რომ მას ბოლომდე არ განუხორციელებია თავისი განზრახვა, ე. ი. არ შეუსრულებია განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობა. სწორედ ეს მომენტი განაპირობებს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ წესს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის.

იგივე უნდა ითქვას თანამონაწილეობის შესახებ. მხოლოდ ამსრულებელი ახორციელებს მთლიანად დანაშაულის შემადგენლობას. ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე მხოლოდ ჰქმნიან აუცილებელ პირობებს იმისათვის, რომ ამსრულებელმა განახორციელოს დანაშაულის შემადგენლობა. ამიტომ, თუ მაგალითად ამსრულებელი უარს ამბობს დანაშაულის ჩადენაზე, თანამონაწილეებმა არ შეიძლება პასუხი აგონ დამთავრებული დანაშაულისათვის, ვინაიდან მათ მოქმედებაში არ არის დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშნის ერთობლიობა, რასაც კანონი მოითხოვს.

დაუმთავრებელი დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის დასასაბუთებლად განხილული შეხედულების წარმომადგენლები იძულებული არიან სხვადასხვაგვარად გაიგონ დანაშაულის შე-

მადგენლობის ცნების შინაარსი სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილისა და განსაკუთრებული ნაწილის თვალსაზრისით. ასე, გამოდის, რომ განსაკუთრებული ნაწილის თვალსაზრისით დაუმთავრებელი დანაშაულის ჩამდენი არ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო ზოგადი ნაწილის თვალსაზრისით — ახორციელებს. ასეთმა შეხედულებამ არ შეიძლება არ შეიტანოს ბუნდოვნობა და გაურკვეველობა სისხლის სამართლის ცნებათა სისტემატიკაში. ერთი და იმავე მეცნიერული დისციპლინის ფარგლებში გვექნება ორი ერთნაირი სახელწოდების ცნება სხვადასხვა შინაარსით.

დაბოლოს, სოციალისტური ქვეყნის არც ერთ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში მითითებული არ არის, რომ პასუხისმგებლობის ერთად ერთ საფუძველს წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობა. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველებმა ამ საკითხში სრული დარკვეულობა შეიტანეს. ამ ახალ საკავშირო საკანონმდებლო აქტში სპეციალური მუხლია მიძღვნილი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველებისათვის. სახელდობრ მე-3 მუხლში ნათქვამია: „სისხლის სამართლის წესით პასუხს აგებს და დაისჯება მხოლოდ ის პირი, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში ე. ი. ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა“. ამ ფორმულის მიხედვით პასუხისმგებლობის საფუძველად ითვლება არა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება, არამედ სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ბრალეულად ჩადენა. ამ ზუსტი ფორმულით დასაბუთებულია პასუხისმგებლობა არა მარტო დამთავრებული დანაშაულისათვის, როდესაც შესრულებულია დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანი, არამედ აგრეთვე დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, ისევე როგორც თანამონაწილეთა მოქმედებისათვის ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ყოველი მოქმედებისათვის, რომელიც კანონით დასასჯელია.

შავრამ, ცხადია, იმისდა მიუხედავად, ვთვლით თუ არა დანაშაულის შემადგენლობას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველად, დანაშაულის შემადგენლობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს პასუხისმგებლობის დასაბუთებისათვის და ჩადენილი საზოგადოებრივად საშიში ქმედობის სწორი კვალიფიკაცი-

ისათვის. ამიტომ პროფ. მანკოვსკის წიგნის მკითხველი სიამოვნებით ეცნობა იმ საკითხების გადმოცემას, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობასთან არიან დაკავშირებული.

ნაშრომის მე-7 და მე-8 პარაგრაფებში ავტორი ეხება იმ პრინციპებს, რომლებიც საფუძველად უდევს სასჯელს სოციალისტურ სისხლის სამართალში. პრინციპი, რომელიც მითითებს სასჯელში იძულებისა და აღზრდის შერწყმას, ემყარება ლენინის მოძღვრებას სოციალისტური სისხლის სამართალში სასჯელის ორმაგი ამოცანის შესახებ.

ნაშრომში ავტორი ეხება აგრეთვე სასჯელის მეორე პრინციპს — სასჯელის ინდივიდუალიზაციას. იგი მიუთითებს, რომ ეს პრინციპი, დამყარებული სამართლიანობისა და მიზანშეწონილების საწყისებზე, თანმიმდევრულად არის ასახული სოციალისტური ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში და გამოიყენება ამ ქვეყნების სასამართლო პრაქტიკაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენის აზრით ნაშრომის ავტორი არამართებულად უკავშირებს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს სასამართლოსათვის კანონით მინიჭებულ უფლებას არ მიუყენოს პირს სასჯელი, „თუ პირის მოქმედებამ შეცვლილ ვითარებაში დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი ან თუ თვით პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში“ (გვ. 124). თუ მოქმედებამ დაკარგა საზოგადოებრივად საშიში ხასიათი, ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობის მოხსნა გამოდინარეობს დანაშაულის მატერიალური გაგებიდან: მოქმედება, რომელიც საზოგადოებრივად საშიშროებას აღარ წარმოადგენს, არც დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს. მეორე შემთხვევაში სასჯელი არ შეიფარდება იმის გამო, რომ პირი აღარ არის საზოგადოებრივად საშიში და, მამასადაამე, მას აღარ ესაჭიროება ხელახალი აღზრდა. ხოლო რაც შეეხება სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპს, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია გამოსწორების იდეასთან, ის მოქმედებს იმ პირების მიმართ, რომლებიც ღირსნი არიან სასჯელისა, და მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ სასჯელის სახისა და ოდენობის არჩევის დროს კანონის ფარგლებში სათვალავში უნდა

იქნეს მიღებული ყველა გარემოება, რომელიც ახასიათებს თვით ქმედობას, ვითარებას, რომელშიც იგი იყო ჩადენილი, დამნაშავეს პიროვნებას და ა. შ.

ასევე არამართებულად უნდა ჩაითვალოს ნაწრომის ავტორის აზრი, თითქოს სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპი უდევს საფუძვლად იმ არასრულწლოვანთა განთავისუფლებას სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, რომელთაც ჩაიდინეს ქურდობა არა ანგარუბით, არამედ თავისებური ბავშვური ანცობით“ (გვ. 126). სინამდვილეში, არასრულწლოვანი ასეთ შემთხვევაში თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან იმის გამო, რომ ასეთ მოქმედებას შეუძლებელია დაუქვავშიროთ მორალურ-პოლიტიკური გაკიცხვა და, მაშასადამე, პირი შეუძლებელია ჩავთვალოთ ბრალეულად საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენაში.

ჩვენის აზრით, ნაწრომის ავტორი არასწორად გამოყოფს დამოუკიდებელ პრინციპად „პრინციპს სოციალისტური სისხლის კანონმდებლობის სისტემის აგებისა იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შესაბამისად, რომლებსაც იცავს კანონი დანაშაულებრივი ხელყოფისაგან“ (§ 9). მასალა, რომელიც ამ პარაგრაფში მოცემული, უმჯობესი იყო ავტორს გადაეტანა მესამე თავში, სადაც იგი განიხილავს სოციალისტური სისხლის სამართლის კანონმდებლობის განსაკუთრებული ნაწილის სისტემის საკითხებს.

ავტორი მართებულად მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის სისტემას საფუძვლად უნდა დაედოს დანაშაულის ობიექტი, ე. ი. ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც განიცდიან ზიანს დამნაშავეს მოქმედებისაგან და რომელთაც იცავს კანონი. თანაც დანაშაულის ობიექტი ზოგჯერ შეიძლება იყოს თვით სამართლებრივი ურთიერთობა, როგორც იდეოლოგიური ხასიათის სპეციფიკური საზოგადოებრივი ურთიერთობა (გვ. 136). ამ სწორი აზრის დასაბუ-

თებისას ავტორი ზოგჯერ ხმარობს არაზუსტ გამოთქმებს. მაგალითად, ავტორის სურს გამოარკვიოს დანაშაულის უშუალო ობიექტი იმ შემთხვევაში, როდესაც ხელყოფა მიმართულია მოქალაქეთა პირად ქონებაზე, მაგრამ ეს პირადი ქონება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი დაწესებულების, საწარმოს თუ ორგანიზაციის ხელშია და ეს უკანასკნელნი მისთვის მატერიალურად პასუხისმგებელნი არიან. ამ საკითხზე ნაწრომის ავტორი არაზუსტად და გაუგებრად უპასუხებს „მოქალაქეთა ქონება ასეთ შემთხვევაში წარმოადგენს დანაშაულებრივი ხელყოფის საგნის არა რაიმე დამოუკიდებელ ცნებას დანაშაულის ობიექტის ცნების მიმართ, არამედ ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულის ობიექტის შემადგენელ ნაწილს“<sup>1</sup> (გვ. 135-136. ხაზგასმულია ავტორის მიერ. — ვ. მ.).

სარეცენზიო ნაწრომის უკანასკნელი ორი თავი მიძღვნილია სისხლის სამართლის კანონმდებლობის სისტემის საკითხებისადმი. ნაწროში იმ პერიოდშია დაწერილი, როდესაც მიმდინარებდა მუშაობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტზე და ავტორმა, ბუნებრივია, უმთავრესად ყურადღება ამ საკანონმდებლო აქტის სისტემას მიაპყრო (§ 1). აღსანიშნავია, რომ ავტორის ზოგიერთი წინადადება ემთხვევა ახალ „საფუძვლებში“ შეტანილ დებულებებს.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო ნაწრომში ზოგჯერ გვხვდება განმეორებები და აგრეთვე არაზუსტი ფორმულირებები.

მაგალითად, 38 გვერდზე იმ სწორი აზრის შემდეგ, რომ ზოგიერთი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხი სოციალისტური მშენებლობის პროცესში მნიშვნელოვნად მცირდება და ამასთან დაკავშირებით მათი დასჯადობის საჭიროება ისპობა, ავტორი აღნიშნავს: „ამიტომ საბჭოთა კანონმდებელი აუცილებლად თვლის მიუთითოს, რომ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სფერო დანაშაულთა

<sup>1</sup> „Имуществото на гражданите в тези случаи е не някакво самостоятелно понятие за предмет на престъпното посегателство, по отношение на понятието за обекта на престъплението, а съставна част на обекта на престъплението“ (стр. 135—136).

ცალკეული კატეგორიების მიმართ საბჭოთა წეს-წყობილების განმტკიცებასთან დაკავშირებით უნდა შევიწროვდეს<sup>1</sup>.

115 გვერდზე სარეცენზიო ნაშრომის ავტორი წერს: „სასჯელის ამოცანების დამუშავების სფეროში საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ შეიტანა შეძლებისდაგვარად თავისი წვლილი სამართლის სოციალისტურ მეცნიერებაში“<sup>2</sup> როგორც ჩანს, ავტორს უნდოდა ეთქვა, რომ სასჯელის ამოცანების საკითხის დამუშავებაში სამართლის სოციალისტურ მეცნიერებაზე ზეგავლენა მოახდინა საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობამ.

ძნელი სათქმელია, რა უნდოდა ეთქვა სარე-

ცენზიო ნაშრომის ავტორს შემდეგი სიტყვებით: „სოციალისტური საკუთრების უფლება არის ის სპეციფიკური ურთიერთობანი ადამიანთა შორის, რომელთაც ხელყოფს სოციალისტური ქონების გამტაცებელი პირი“<sup>3</sup> (გვ. 135).

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, სარეცენზიო ნაშრომი ჩვენი აზრით დადებით შეფასებას იმსახურებს. იგი ასრულებს თავის დანიშნულებას — გააცნოს ბულგარელ მკითხველს მთავარი პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უდევს სოციალისტურ სისხლის სამართლის კანონმდებლობას, და აგრეთვე ამ კანონმდებლობის სისტემის საკითხები.

<sup>1</sup> „Поради това съветският законодател счита за необходимо да посочи, че сферата на наказателната отговорност за определени категории престъпления трябва да се стесни във връзка с укрепването на съветския строй“ (стр. 38).

<sup>2</sup> „В властта на разработването на задачите на наказанието съветското наказателно законодателство внесе свой принос в социалистическата правна наука“ (стр. 115).

<sup>3</sup> „Правото на социалистическа собственост—това са онези специфични правоотношения между хората, на които посяга лицето, което вярде социалистическо имущество“ (стр. 135).

# სასამართლო პრაქტიკა

## სამოქალაქო სამართლის საქმეებზე

1. საცხოვრებელ ფართზე გაწერა თავისთავად არ წარმოშობს უფლებას იმ ფართზე, რომელზედაც მოქალაქეს ფაქტიურად არ უცხოვრია

ალი გასანზადეს პატიმრობაში ყოფნის დროს, 1956 წელს, მისმა დედამ რახანდა გასან კიზიმ საბინაო სამმართველოსაგან ორდერით მიიღო ერთი ოთახი 20 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართით და შესახლდა შიგ ქალიშვილით და შვილიშვილებით. სულ 4 სული.

1959 წლის დეკემბერში ალი გასანზადე განთავისუფლდა პატიმრობიდან და გაწერილი იქნა თავისი დედის ბინაში.

1960 წლის 21 სექტემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის კიროვის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ დააკმაყოფილა ალი გასანზადეს სარჩელი რახანდა გასან კიზის მიმართ და ტიხრის დადგმის საშუალებით გამოუყო მოსარჩლეს 9 კვ. მეტრი ფართობი.

გადაწყვეტილება ძალაშია დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 15 ოქტომბრის დადგენილებით.


საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა როგორც სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება ისე კოლეგიის დადგენილება და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის მითითებით, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილება გამოტანილია მხარეთა წამდელი ურთიერთობის და საქმის ფაქტიური მდგომარეობის გამორკვევის გარეშე. მოპასუხე აცხადებს, რომ მოსარჩლეს მის ოთახში არ უცხოვრია და ფაქტიურად იმყოფებოდა თავის ცოლის ბინაში. სასამართლომ უნდა შეამოწმოს ეს გარემოება და თუ დადასტურდება, რომ მოპასუხის განმარტება სინამდვილეს შეეფერება გადაწყვეტილების გამოტანის დროს უნდა გაითვალისწინოს, რომ საცხოვრებელ ფართზე გაწერა თავისთავად არ წარმოშობს უფლებას იმ საცხოვრებელ ფართზე, რომელზედაც მოქალაქეს ფაქტიურად არ უცხოვრია.

2. საბინაო სამმართველოს არ შეუძლია გაცდეს ორდერი საცხოვრებელ ფართზე, რომელიც განთავისუფლდა პირადი მესაკუთრის სახლში

ა. და მ. პიჩკოვებმა, რომლებიც ცხოვრობდნენ საბინაო სამმართველოს კუთვნილ ბინაში, აღძრეს სახალხო სასამართლოში სარჩელი ა. ნიკურაძის მიმართ მათი პირადი საკუთრების სახლიდან მისი გამოსახლების შესახებ იმ მოტივით, რომ ა. ნიკურაძე უკანონოდ არის შესახლებული მათ კუთვნილ ოთახში საბინაო სამმართველოს ორდერით.

სტალინის სახ. რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით პიჩკოვებს სარჩელში უარი უთხრა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ 1960 წლის 16 თებერვლის დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება გააუქმა და საქმე დააბრუნა ხელახალი განხილვისათვის მითითებით, რომ საბინაო სამმართველოს არ ქონდა უფლება გაეცა ორდერი საცხოვრებელ ფართობზე, რომელიც მდებარეობს პიჩკოვების პირადი საკუთრების სახლში. ამასთანვე ერთად კოლეგიამ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე პიჩკოვები თვითონ ცხოვრობდნენ საბინაო სამმართველოს კუთვნილ სახლში, სასამართლომ საქმეში უნდა ჩააბას საბინაო სამმართველო და თუ გამოირკვა, რომ არსებობს შესაძლებლობა პიჩკოვებმა იცხოვრონ თავის კუთვნილ სახლს იმ ოთახში, რომელიც ამჟამად ა. ნიკურაძის ორდერის საფუძველზე უჭირავს, სასამართლოს შეუძლია პიჩკოვების სახლიდან ნიკურაძის გამოსახლებასთან ერთად დაადგინოს თვით პიჩკოვების გამოსახლება საბინაო სამმართველოს კუთვნილ ბინიდან. და ამ ბინის ა. ნიკურაძისთვის გადაცემა.



**მ. წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრედ ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროს დამტოვებლის შვილი ან შვილიშვილი გარდაიცვლება მემკვიდრეობის გახსნამდე**

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა 1960 წლის 10 დეკემბრის დადგენილებით დააკმაყოფილა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პროტესტი საქმეზე ზურაბ, ნანი და ელენე ლ-ძეების საარჩელისა გამო ა. ე. ლ-ძის მიმართ სამემკვიდრეო ქონებადან წილის მიკუთვნების შესახებ — გააუქმა ამ საქმეზე ქუთაისის სახალხო სასამართლოს მიერ 1959 წლის 31 მარტს გამოტანილი გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 26 მაისის დადგენილება და საქმე დაუბრუნა იმავე სახალხო სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

დავა წარმოებდა ესტატე და ოლღა ლ-ძეების გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ სამემკვიდრეო ქონებაზე — ერთის მხრივ მათი შვილების ვასილ და დიმიტრი ლ-ძეების მემკვიდრეების და მეორეს მხრივ არჩილ ლ-ძის შორის, რომელმაც ძმების პატიმრობაში ყოფნის დროს გაიფორმა სამემკვიდრეო ქონება, როგორც ერთად ერთმა მემკვიდრემ და შემდეგ გაყიდა სახლის ნახევარი.

სასამართლოს გადაწყვეტილებით დიმიტრი ლ-ძის შვილების ზურაბ და ნანი ლ-ძეების მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნა და ისინი ცნობილ იქნენ ესტატე და ოლღა ლ-ძეების მემკვიდრეებად წარმომადგენლობის უფლებით. ხოლო ვასილ ლ-ძის მეუღლეს ელენე ლ-ძეს საარჩელში უარი ეთქვა.

პრეზიდიუმმა მიუთითა, რომ შესაბამისად სამოქალაქო სამართლის კოდექსის 418 მუხლისა წარმომადგენლობის უფლებით მემკვიდრედ ცნობა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სამკვიდროს დამტოვებლის შვილი ან შვილიშვილი გარდაიცვალა მემკვიდრეობის გახსნამდე. ვინაიდან დიმიტრი და ვასილ ლ-ძეები ცოცხლები იყვნენ მათი მშობლების გარდაცვალების დროისათვის, მათი სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე დავა მემკვიდრეთა შორის უნდა გადაწყდეს საერთო სამემკვიდრეო წესით და არა წარმომადგენლობის უფლების მიხედვით და რომ ასეთ პირობებში ვასილ ლ-ძის მეუღლეს ელენეს ისეთივე უფლება აქვს მოითხოვოს თავისი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ დარჩენილი ქონება, როგორც დიმიტრის შვილებს.

## სისხლის საპართლოს საქმეებზე

1. უკეთუ ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის წევრი მონაწილეობდა პირველ ან მეორე ინსტანციაში საქმის განხილვაში, ის ვერ მიიღებს მონაწილეობას ამავე საქმის პრეზიდიუმში განხილვის დროს.

სოხუმის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 23 იანვრის განაჩენით ე. დოლბაია ცნობილი იქნა დამანაშავედ სსკ 71 მუხლის მესაჩე ნაწილით, 142 მუხლით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების მეოთხე მუხლით „სახელმწიფო და საზოგადო ქონების დატაცებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ“ და ერთობლიობის პრინციპით მიუსჯა 8 წლით პატიმრობა სასჯელის შრომა-გასწორებით კოლონიაში მოხდით, რაც შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1957 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულების ამნისტიით გაუნახვერდა. ხოლო დარჩენილი 4 წელი სსკ 50 მუხლის საფუძველზე ჩაუთვალა პირობით, 5 წლით გამოსაცდელი ვადით. ე. დოლბაიას მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა სოფ. ღრანდის კოოპერატივის № 1 სასადილოს გამგეთ მიითვისა 18.179 ზან. და ასეთის აღმოჩენის შემდეგ მიიშალა.





დებულები 1 წლით შრომა-გასწორებითი მუშაობა უნდა შეეცვალა 4 თვით თავისუფლების აღკვეთით.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ პროტესტის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

### 3. განაჩენი ვერ დარჩება ძალაში უკეთუ შეფარდებული სასჯელის ღონისძიებარ შეფარდება ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს

ზუგდიდის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 8 მარტის განაჩენით ე. ლუკაშევსკი ცნობილი იქნა დამნაშავედ სსკ 19, 144 მუხლით და სსკ 48 მუხლის გამოყენებით მიუსჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

აღნიშნული განაჩენი დატოვებული იქნა ძალაში საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 24 მარტის განჩინებით.

ე. ლუკაშევსკის მსჯავრი დაედო მასში, რომ 1958 წლის 11 ოქტომბერს ღამით არ დაემორჩილა სამანქანო სადგურის მორიგე კ. ტკაჩოვს წასულიყო მისი დასაცავ ობიექტიდან და მიაყენა ფიზიკური შეურაცყოფა სახის არეში თავის დარტყმით.

კ. ტკაჩოვი წავიდა საექიმო პუნქტში პირველადი დახმარების მისაღებად და როდესაც დაბრუნდა შემთხვევის ადგილზე კვლავ სთხოვა ე. ლუკაშევსკის ეკმარებია ის უსიამოვნება, რაც მან მიაყენა და წასულიყო.

ე. ლუკაშევსკი მართალია წავიდა დასახელებულ ობიექტიდან, მაგრამ ჩაუსაფრდა კ. ტკაჩოვს და როდესაც ეს უკანასკნელი გაუსწორდა მას ესროლა ცეცხლმსროლელი იარაღიდან ბეჭში.

კ. ტკაჩოვი მიღებული დახმარების შედეგად სიკვდილს გადაარჩა, ე. ლუკაშევსკი კი შემთხვევიდან 1 წლის განმავლობაში იმალებოდა.

აღნიშნული განაჩენი სასჯელის ღმობიერების მოტივით გაპროტესტებული იქნა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის მიერ.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტის მოთხოვნა, გააუქმა სახალხო სასამართლოს განაჩენი და საქმე ხელშეორედ განსახილველად გადასცა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას, შემდგომ საფუძვლებსა გამო:

უკეთუ სასამართლომ დადასტურებულად ჩასთვალა, რომ ე. ლუკაშევსკიმ მოკვლის მიზნით ესროლა ცეცხლმსროლელი იარაღიდან კ. ტკაჩოვს, როდესაც ეს უკანასკნელი ასრულებდა სამსახურით დაკისრებულ მოვალეობას, მაშინ მასზე შეფარდებული სასჯელის ღონისძიება ღმობიერად უნდა ჩაითვალოს.

### გკითხველთა საყურადღებოდ!

შურნალ "საბჭოთა სამართლის" 1960 წლის ნომერებში გამოქვეყნებული მასალების გიბლიოგრაფიული სპიხებელი დაიბეჭდება შურნალის მეორე ნომერში.

სარედაქციო კოლეგია

მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, მ. ვეფხვაძე, მ. თოფურაძე,  
გ. ინწკირველი, ო. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე),  
თ. წერეთელი.

---

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბეგოვის ქ. № 32. ტელეფონი—3-88-05

გადაეცა წარმოებას 10/II-1961; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/III-61 წ. ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

შეკ. № 285

ტირაჟი 5.000

უფ 03067

---

საქ. ცკ-ის კვ გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунისტი“ издательства ЦК КП Грузии  
Тбилиси, ул. Ленина № 14.

6. 72/98



ფან 50 კპპ.

# СОВЕТСКОЕ ПРАВО № 1

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР  
и Юридической Комиссии при Совете Министров  
Грузинской ССР